პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 28 სექტემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 225 (2268)

დღიური

- ინგლისის და საფრანგეთის მთავრობები „უარჰყოფენ" ფარული შეთანხმების არსებობას მათ შორის.
- კონფლიქტი შეერთებულ შტატებსა და კოლუმბიას შორის.
- შვეციის მთავრობის გადადგომა.—ახალი მთავრობის შედგენა კონსერვატორებს მიენდო.
- ვანიზელოსის მიწვევა ანგორაში საბერძნეთ-თურქეთის ხელშეკრულების დასადებად.
- მექსიკის დრ. პრეზიდენტად აირჩიეს ემილიო პორტესგილია.
- საიმონის კომისია კვლავ გაემგზავრა ინდოეთში.
- დიდი აფეთქება მელილაში (მაროკო). — დაიღუპა 57 კაცი, დაიჭრა 200.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

განიარაღების ჟენეველი მოციქულები

ბოლოს, დიდი და ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ, ერთა ლიგის მესამე კომისიამ მიიღო პოლ ბონკურის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია განიარაღების კონფერენციის მომამზადებელ კომისიის მოწვევის საკითხის შესახებ. როგორც ეს რეზოლიუცია, ისე მის გარშემო მესამე კომისიაში გამართული კამათი, აგრეთვე კამათი, რომელიც წარმოებდა ერთა ლიგის პლენუმზე განიარაღების პრობლემის შესახებ, ყველასათვის ცხადყოფს, (თუ ვინმესთვის ეს კიდევ არ იყო ცხადი), ერთა ლიგის სრულ გაკოტრებას და იმპერიალისტების საომარ მზადებას.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ განიარაღების მომამზადებელ კომისიის თავმჯდომარის, ინგლისელ ლოუდონის წინადადებით, ერთა ლიგის პლენუმმა თავის დღის წესრიგიდან მოხსნა ლიგის საბჭოს გენერალურ მდივნის მოხსენების იმ ნაწილის განხილვა, რომელიც განიარაღების საკითხს შეეხებოდა. იმპერიალისტები გაურბიან ამ საკითხის პირდაპირ და საჭიროდ დასმას. მით უმეტეს შეიქნა ეს მათთვის აუცილებელი, რომ ერთა ლიგის საბჭოს მდივნის მოხსენება ძალაუნებურად უნდა შეხებოდა განიარაღების საბჭოთა პროექტს. განიარაღების საბჭოთა წინადადებებმა, რომლებმაც ფარდა ახადეს იმპერიალისტების პაციფისტურ თვალთმაქცობას, თავის დროზე ისე აუშალა მათ ნერვები, იმდენად „უსიამოვნება" მიაყენა ჟენეველ „მშვიდობის მოყვარეთ", რომ ამ წინადადებების კვლავ საჭიროდ დასმა, თუ გინდ საბჭოთა წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე, ლონუდონებმა, თავისთავად ცხადია, არ მოისურვეს.

მესამე კომისიაში განიარაღების საკითხის განხილვა შემოფარგლეს მხოლოდ იმით, თუ როდის უნდა ყოფილიყო მოწვეული განიარაღების მომამზადებელი კომისია და ამ, ამ სრულიად უბრალო საკითხის გამო გამართულმა დისკუსიამ დაგვანახა, რომ ერთა ლიგის მესვეურები ყოველნაირად ცდილობენ განიარაღების საქმის მიფუჩეჩებას. „სოციალისტ" პოლ ბონკურის პირვანდელი რეზოლიუცია ხსენებულ კომისიის მოწვევის ვადას არ საზღვრავდა, იმ კომისიის მოწვევას ის უკავშირებდა საზღვაო სახელმწიფოთა წინასწარ შეთანხმებას. მაშასადამე, კომისიის შეკრება შეიძლება დაუსრულებლივ გადადებულიყო, ვინაიდან არავითარი საფუძველი არ არის, რომ აღნიშნული შეთანხმება მიღწეული იქნება.

ინგლის-საფრანგეთის მხრით ეს იყო ამერიკის წინააღმდეგ მიმართული მანევრი: მათ უნდოდათ მოსამზადებელ კომისიის მოწვევის და საერთოდ განიარაღების საქმის ჩაშლა გადაებრალებიათ ამერიკისათვის, რომლის პოზიცია გადაჭრით უარყოფითია ინგლის-საფრანგეთის უკვე ცნობილ „საზღვაო კომპრომისის" მიმართ და რომლის შეთანხმება ამ ორ სახელმწიფოსთან საზღვაო განიარაღების საკითხში შეუძლებელი ხდება.

მეორე მხრივ, ბონკურის პირვანდელი რეზოლიუცია მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც, ვერსალის ხელშეკრულების ძალით განიარაღებული, მოითხოვს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების განიარაღებასაც, ან მისთვისაც შეიარაღების უფლების მინიჭებას. ამიტომ გერმანიის დელეგაცია აყენებდა წინადადებას განიარაღების მომამზადებელ კომისიის მოწვევის ვადის დანიშვნის და მის ახლო მომავალში მოწვევის შესახებ.

საფრანგეთისა და ინგლისის საერთო პოზიციამ განიარაღების საკითხის შესახებ მესამე კომისიაში, ისე როგორც ერთა ლიგის პლენუმზე, გამოააშკარავა მათ შორის პოლიტიკურ-სამხედრო კავშირის არსებობა.

თუ გერმანია ბონკურის რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცემდა ხმას, ამით ის უარყოფილად ჩაითვლებოდა (ერთა ლიგის საბჭოს წესდების თანახმად, სავალდებულოდ ითვლება მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც ერთხმადაა მიღებული. თავშეკავებას რომელიმე დელეგაციის მიერ მნიშვნელობა არა აქვს.) მესამე კომისიაში მთელი მეცადინეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ შეეთანხმებიათ ინგლის-საფრანგეთის და გერმანიის თვალსაზრისი. მიღწეულ იქნა „კომპრომისი", რომლის მიხედვით მოსამზადებელი კომისია შეიძლება მოწვეულ იქნეს ამა წლის ბოლოში, ან მომავალ წლის დასაწყისში. მაგრამ ამ კომპრომისს ისეთი შენიშვნები აქვს დართული, რომ მას არსებითად ყოველგვარ ღირებულებას უკარგავენ. ჯერ ერთი, კომისიის მოწვევისათვის ზუსტად გარკვეული ვადა არ არის დანიშნული. შემდეგ, ის შეიძლება არ იქნეს მოწვეული ხსენებულ დაახლოებით ვადაშიც: არსებითად ყველაფერი დამოკიდებული რჩება მომამზადებელ კომისიის თავმჯდომარეზე და სახელმწიფოთა შორის წინასწარ მოლაპარაკებაზე. ლოუდონს და დაინტერესებულ სახელმწიფოებს ყოველთვის შეუძლიათ გამონახონ საბაბი კომისიის სესიის გადასადებად. გერმანიის წარმომადგენელმა ასეთ „კომპრომისულ" წინადადებაზე კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა და გერმანია აქაც დამარცხებული გამოვიდა.

საგულისხმოა ზოგიერთ დელეგატების გამოსვლები მესამე კომისიაში. მაგ., ბენეში აცხადებს, რომ ეხლანდელი საერთო პოლიტიკური მდგომარეობა თითქო „ხელს უწყობს შეიარაღების შემცირების პირველი საფეხურის მიღწევას".— ესაა განიარაღების საქმის აბუჩად აგდება. მართლაც, როგორია ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც ასე ოპტიმისტურად ახასიათებს ინგლის - საფრანგეთის იმპერიალიზმის ვექილი— ბენეში? ინგლის- ამერიკის ბრძოლის გამწვავება, საფრანგეთ- ინგლისის სამხედრო- პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც საფრთხეს უქადის მსოფლიო მშვიდობიანობას, შეიარაღების გამალებული ზრდა, და სხ.— ყველაფერი ეს ხომ არ უწყობს ხელს შეიარაღების შემცირებას?

ინგლისის წარმომადგენელი, ლოკერ ლემპსონი კი უტიფრად ამბობს: ერთა ლიგას სურდა დაეჩქარებია მუშაობის ტემპი განიარაღების დარგში და ამით აიხსნება ზოგიერთ წრეების იმედის გაცრუებაო. ამის თქმა, ცხადია, მხოლოდ ერთა ლიგის დასაცინავად შეიძლება. განა ვინ არ იცის, რომ ერთა ლიგას თავის არსებობის მრავალი წლის განმავლობაში ნამდვილად არაფერი გაუკეთებია განიარაღების საქმისათვის.

ბონკური დაწვრილებით შეეხო მომამზადებელ კომისიის ყველა სესიას, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია განიარაღების საბჭოთა წინადადებები. ამის გახსენებას ვერც მოვსთხოვთ საფრანგეთის იმპერიალიზმის ლაქიას.

ასეთია განიარაღების დარგში იმპერიალისტების და მათი დამქაშ „სოციალისტების მოღვაწეობა", რომელსაც მსოფლიო მუშათა კლასი სათანადოდ შეაფასებს.

საბჭოების მუშაობის გენერალური შემოწმება

საბჭოთა კავშირის ცაკის 26 სექტემბრის დადგენილება — საბჭოების გადარჩევას განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს მასიურ პოლიტიკურ კამპანიას.

ეს ავალებს საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს უაღრესად სერიოზულად მოეკიდონ გადარჩევისათვის მზადების როგორც ორგანიზაციულ, ისე პოლიტიკურ მხარეს.

როდესაც კამპანიის შედეგებს ჯამი უკეთდება, ადგილები ხშირად მიუთითებენ ტექნიკურ დეფექტებზე, რომლებიც ვითომ აფუჭებენ საერთოდ კარგ სურათს. მაგრამ დროა უარვყოთ ის შეხედულება, რომ გადარჩევის კამპანიის ტექნიკას არავითარი კავშირი არა აქვს სათანადო ორგანიზაციების საერთო მუშაობასა და საქმიანობასთან. ცუდი ტექნიკა სრულებითაც არ არის შემთხვევითი საქმე, — იგი შედეგია ან საბჭოთა აპარატის ცალკე საფეხურების დეფექტების, ან მასიური მუშაობის სათანადოდ განვითარების უნარის უქონლობისა. ხოლო ამ დეფექტებისა და უუნარობის უკან შეიძლება იმალებოდეს, სერიოზული ავადმყოფობა ან ერთ-ერთი ისეთი მუწუკი, როგორიც ამ უკანასკნელ დროს არა ერთი იქნა აღმოჩენილი.

თვითეული საბჭოთა მუშაკისა და, განსაკუთრებით, ხელმძღვანელისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ კარგად დაყენებულ მასიურ მუშაობას საბოლოო ანგარიშით შედეგად მოჰყვება აგრეთვე კარგად მოგვარებული ტექნიკა, რაც გამოიხატება დროისა და ბინის მოხერხებულად ამორჩევაში, ორატორების შერჩევაში, ამომრჩევლებისათვის ფართო ინფორმაციის მიწოდებაში და სხვ.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის ცაკი თავის მიმართვაში მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებისადმი, ჩერდება საარჩევნო კამპანიის ტექნიკურ მხარეზე. ტექნიკური დეფექტებისათვის პასუხისმგებლობის ცალკე ორგანიზაციებზე და ცალკე მუშაკებზე გადაკისრება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ თავის მხრივ სუსტი ხელმძღვანელობა იყო გაწეული ამ საქმისადმი. ცენტრალურ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების თანახმად ეწყობიან, საკმაო დრო მოეპოვებათ იმისათვის, რომ ყურადღებით მოამზადონ საანგარიშო კამპანია და თვით გადარჩევა.

საორგანიზაციო ნაწილში ისინი ამთავითვე უნდა შეუდგნენ მუშაობის გეგმებისა და ვადების შემუშავებას, ხოლო ეს გეგმები და ვადები ადგილობრივ პირობებს, ძალთა რაოდენობას და სხვ. უნდა შეუთანხმონ. ცუდად შესრულებული გეგმა იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ საკმაოდ არ იყო მიღებული მხედველობაში ყველა ადგილობრივი პირობა და ყურადღებით არ იყო შესწავლილი წარსული კამპანიების გამოცდილება. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მეორე მხარეს — მთავრობის დირექტივების ქვედა საფეხურის ინსტანციებამდე გატარებას. საკმაო არ არის ინსტრუქციების დაბეჭდვა, საჭიროა თვალყურის დევნებაც მათი გავრცელებისათვის, საჭიროა ცოცხალი უშუალო ხელმძღვანელობა ადგილობრივ, საჭიროა შეუწყვეტელი ახსნა-განმარტებითი და საკონსულტაციო მუშაობა, სრული შეთანხმება ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში.

კამპანიის წარმატება უნდა განვამტკიცოთ მრავალი ზომით, რომლის დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ ფართოდ განმარტოს, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გადარჩევას ეხლანდელ შინაგან და საერთაშორისო პირობებში. საბჭოების მომავალი არჩევნები და სანგარიშო კამპანია, რომელიც არჩევნების წინ ჩატარდება, საშუალებას მოგვცემს არაჩვეულებრივად ფართოდ გავშალოთ საქმიანი თვითკრიტიკა პროლეტარული დემოკრატიისა და მასიური საბჭოთა მუშაობის დარგში.

ცაკის დადგენილება საჭიროდ სთვლის, რომ ცალკე პრაქტიკულ ამოცანად იქნეს წამოყენებული ადგილობრივი საბჭოების ანგარიშგება იმ მხრივ, თუ რამდენად სრულდება ამომრჩეველთა დავალებები. ამით შესაძლებელი იქნება სახელმწიფოებრივ მუშაობაში მშრომელთა იმ ფენების ჩაბმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ ღებულობენ მონაწილეობას საბჭოთა მუშაობაში. მაგრამ ამისთვის საჭიროა ერთი აუცილებელი პირობა, რომლის შესრულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანოებმა და პრესამ. ამის გარეშე საუკეთესო ტექნიკური ორგანიზაციაც ვერავითარ შედეგებს ვერ მოგვცემს. საჭიროა ყოველ მხრივ უზრუნველვყოთ, რომ მშრომელთ საშუალება მიეცეთ განიხილონ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი. ეს ეხება როგორც ტექნიკურ მომზადებას, ისე ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც წარმოადგენენ ადგილებზე თვითკრიტიკის სწორად გაშლის წინასწარ პირობას, საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებით.

მომავალი კამპანიის ერთ-ერთი ცენტრალური ლოზუნგია ბრძოლა საბჭოთა აპარატის გაწმენდისათვის, მისი უცხო და მავნე ელემენტებისაგან განთავისუფლებისათვის. არავითარი გადახვრა მოქმედი ინსტრუქციიდან პირების სიების შედგენის დროს, რომლებსაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება, — ასეთია საბჭოთა კავშირის ცაკის დირექტივა.

დეკრეტების ასრულების შემოწმების საჭიროებას ყველა აღიარებს. უახლოეს კვირეებში უნდა დავაწყოთ შეუწყვეტელი შემოწმება, თუ როგორ გატარდება მუშათა და გლეხთა მასებში ცაკის დადგენილება და მისი დირექტივები და რამდენად დამაკმაყოფილებლად შეასრულებენ ადგილები იმ ამოცანას, რომ ჩააბან კამპანიაში მილიონობით მშრომელნი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ.

„იზვესტია", 27 სექტემბერი.

დაიხურა ერთა ლიგის საბჭოს პლენუმი

ლონდონის პროფსაბჭო მოითხოვს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღდგენას

პოლონეთი პლეჩკაიტისის ბანდების თავდასხმას ამზადებს ლიტვის მთავრობის დასამხობად

ერთა ლიგის პლენუმი დამთავრდა

ჟენევა, 26 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმი დამთავრდა.

საბოლოო სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს ყველა ქვეყნებს შეუერთდეს გენერალურ აქტს. გენერალური აქტი აერთიანებს სამ ტიპიურ კონვენციას შემარიგებელი პროცედურისა, იურიდიული გარჩევისა და არბიტრაჟის შესახებ, მაგრამ ითვალისწინებს ყოველგვარი შესწორების შესაძლებლობას იმ სახელმწიფოების მხრივ, რომლებიც აქტს უერთდებიან; აქტით აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ შეიძლება შეერთება გენერალური აქტის მხოლოდ ერთ ნაწილში და ორმხრივი ხელშეკრულებების დადება აქტის პრინციპების მიხედვით.

იმავე სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მთავრობების ყურადღებას მიაქცევს ტიპიურ ხელშეკრულებებზე თავდაუსხმელობისა და ურთიერთ დახმარების შესახებ. თავდაუსხმელობის და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულებათა პროექტები პირველი პროექტებიდან შემდეგით განსხვავდებიან; ისინი შეიცავენ მითითებას ზოგიერთი ქვეყნის (სამხრეთ- სლავია, პოლონეთი, რუმინეთი) მიერ გამოთქმულ სურვილზე, რათა პროექტებში შეტანილი ყოფილიყო ფორმულა, რომ ხელშეკრულების ხელის მომწერმა მხარეებმა დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც თავს დაესხმის მტერი. ის სახელმწიფოები, რომლებიც მოითხოვდნენ ამ ფორმულის შეტანას, აღნიშნავდნენ, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნიკა ომის ბედს სწყვეტს პირველ ორ დღეში ან პირვე ორ საათშიაც კი და ამიტომ წინასწარი მოლაპარაკება ან ერთა ლიგისადმი მიმართვა შეიძლება განუხორციელებელი აღმოჩნდესო.

უნგრეთმა მონაწილეობა არ მიიღო კენჭის ყრაში თავდაუსხმელობის ხელშეკრულების რეზოლიუციის შესახებ.

უნგრეთის დელეგატმა აპონიმ განაცხადა: „უნგრეთს არ შეუძლია ხმა მისცეს ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების პროექტს, ვინაიდან ხელშეკრულება განიარაღებულ უნგრეთსა და თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ მის მეზობლებს შორის იქნებოდა იგივე, რაც მეწვრიმალესა და მორგანს შორის დადებული ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ".

აპონის გამოსვლამ გამოიწვია მკაცრი პასუხი ჩეხო- სლოვაკიისა და რუმინეთის წარმომადგენლების მხრივ.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ რეკომენდაცია **ტიპიურ საარბიტრაჟო და შეთანხმების ხელშეკრულებათა**, რომელნიც ამასთანავე შესაძლებელს ხდიან ყოველგვარ შესწორებასა და ახსნა- განმარტებას, **არავის არაფერს არ ავალებს.**

პლენუმის დახურვისას თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუმცა **პლენუმმა ახალ იმედებთან ერთად იმედების გაცრუებაც გამოიწვია,** მაგრამ ლიგა შეასრულებს დაპირებებს და კერძოდ მომავალ წელს, ძვირფასს შედეგებს წარუდგენს პლენუმს შეიარაღების შეზღუდვის დარგშიო. (ადს)

ჟენევა, 26 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს მე-52 სესიის უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს დადგენილება აცნობონ წევრებს და აგრეთვე არა წევრებსაც, მათ შორის შეერთებულ შტატებს; საბჭოთა კავშირს, თურქეთს და ავღანისტანს გენერალური აქტის ტექსტი და აგრეთვე ორ მხრივ საარბიტრაჟო ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

სოკალთან გამართულ ხანგრძლივი პოლემისკის შემდეგ, გერმანიის წარმომადგენელი შუბერტი დასთანხმდა იმაზე, რომ პოლონელების მიერ ზემო სილეზიაში მთელ რიგ სკოლების დახურვის საკითხის განხილვა გადაიდოს საბჭოს დეკემბრის სესიამდე.

პოლონეთი ლიტვის მთავრობის დამხობას აპირებს

„პლეჩკაიტისი ჟელიგოვსკის როლში"

კოვნო, 26 სექტემბერი. როგორც ოფიციალური „ლეტუვოს აიდას"-ი იუწყება, ამასწინად პოლონეთიდან ლიტვაში გაიქცა ოფიცერი, რომელიც პოლონეთის გენერალურ შტაბში მუშაობდა. ოფიცერმა აცნობა ლიტვის მთავრობას პლეჩკაიტისა და პილსუდსკის გეგმები ლიტვის შესახებ. იმის სიტყვით, **პოლონეთში პლეჩკაიტისს ამზადებენ ისეთივე როლისთვის, როგორიც ჟელიგოვსკიმ შეასრულა** (ჟელიგოვსკიმ 1920 წელს ვილნო დაიპყრა ძალით). **ამას წინად პილსუდსკისა და პლეჩკაიტისს თათბირი ჰქონდათ, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი პლეჩკაიტის ორგანიზაციის მოქმედების შესახებ. გადაწყდა გააძლიერონ ამ ორგანიზაციის მოქმედება და გადასდონ ამისთვის 10.000 დოლარი.** ეს ფული პლეჩკაიტისს გადაეცა. ოფიცერი ამბობს, რომ პლეჩკაიტისის მოქმედება განსაკუთრებით გაძლიერდა ვილნოში ლეგიონერთა ყრილობის გამართვის შემდეგო. **ლიტვის წინააღმდეგ მიმართული მოწოდებანი პლეჩკაიტისა იბეჭდება სახელმწიფო სტამბაში და კოვნოთი იგზავნება ვილკომირში. ვილნოში შესდგა ლიტვის განსაკუთრებული მთავრობა".** (ადს).

პოლონეთი უარყოფს

ვარშავა, 26 სექტემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს კატეგორიულად განაცხადოს, რომ ცნობა, ვითომ პოლონეთის გენერალური შტაბის ოფიცერი ლიტვაში გაქცეულიყოს ან პოლონეთ-ლიტვის საზღვარს გადასულიყოს, სრული სიცრუეა. (ადს).

შვეციის მთავრობა გადადგა

სტოკჰოლმი, 26 სექტემბერი. როგორც შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ეკმანის მთავრობამ განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ. მეფემ დაავალა ეკმანის მთავრობას— დროებით განაგრძოს მოვალეობის შესრულება. (ადს)

სტოკჰოლმი, 26 სექტემბერი. შვეციის მეფემ კონსერვატორების ბელადებს მიანდო გამოარკვიონ ბურჟუაზიულ პარტიათა კოალიციონური მთავრობის შედგენის შესაძლებლობა. სხვა ბურჟუაზიული პარტიების ბელადებმა ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს.

ლონდონის პროფკავშირთა საბჭო მოითხოვს

ურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან

ლონდონი, 25 სექტემბერი. პროფკავშირთა ლონდონის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს რა ინგლისიდან საბჭოთა კავშირში საქონლის გატანის შემცირებას და ინგლისში უმუშევრობის ზრდას, **გადაჭრით მოითხოვს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან და აგრეთვე კრედიტების გაღებას ინგლის-საბჭოთა ვაჭრობისათვის. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ დაიწყოს მოლაპარაკება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ საბჭოთა კავშირთან.**

რეზოლიუცია გადაეცა ბოლდუინს და აგრეთვე მაკდონალდს (ას).

პოლ ბონკური კმაყოფილია

ლაყბობით „განიარაღების" შესახებ

ბენეშის „არგუმენტაცია".— ფაშისტური უნგრეთის დელეგატიც კი უკმაყოფილოა „განიარაღებაზე" ლაყბობით.— ლოკერ ლემპსონი „მწუხარებას" გამოსთქვამს.— ბერნსტორფის სიტყვა.

ჟენევა, 26 სექტემბერი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევის საკითხის შესახებ პოლ ბუნკურის მიერ წარდგენილ რეზოლიუციის განხილვა დაიწყო **ბენეშის** მოხსენებით; ის გარემოება, რომ მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადა მტკიცედ არ არის განსაზღვრული, მან იმით დაასაბუთა, რომ „პლენუმს უფლება აქვს ასეთი მითითება მისცეს კომისიას, ვინაიდან მასში შედიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც ერთა ლიგის წევრები არ არიან".

შემდეგ ბენეშმა განაცხადა, რომ ახლანდელი საერთო პოლიტიკური მდგომარეობა „ხელს უწყობს შეიარაღების შემცირების პირველი ეტაპის განხორციელებას" და რომ უახლოეს სესიაზე მოსამზადებელი კომისია „უეჭველია, მიზანშეწონილად ჩასთვლის მოახსენოს ერთა ლიგის საბჭოს განიარაღების პირველი საყოველთაო კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობა და ვადა".

უნგრეთის დელეგატმა გენერალმა **ტანჩოსმა განაცხადა:** უნგრეთის დელეგაცია მონაწილეობას არ მიიღებს კენჭის ყრაში და ლიგის **ყურადღებას მიაქცევს დამარცხებული ქვეყნების „ცალმხრივი განიარაღების დამამცირებელი მდგომარეობის შეუწყნარებლობაზე".** ამასთანავე ერთად ტანჩოსმა აღნიშნა, რომ **პოლ ბონკურის რეზოლიუცია არ შეიცავს „განიარაღების კონფერენციის მოწვევის დაპირებას და კრინტსაც არა სძრავს მის შესახებ".**

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე **ბერნსტორფი** წინააღუდგა იმ მოსაზრებას, „ვითომც ჟენევის ნელი მუშაობა განიარაღების გარშემო აიხსნებოდეს იმით, რომ გერმანია მთლიანად არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას განიარაღების საქმეში". ბერნსტორფმა აღნიშნა, რომ გერმანიის სამხედრო ორგანიზაცია შეეფერება ვერსალის ხელშეკრულების დადგენილებებს.

დასასრულ ბერნსტორფმა განაცხადა: **„უშიშროებას ისე არაფერი არ გააძლიერებს, როგორც განიარაღება.** გერმანიას არ სურს ხელი შეუშალოს დიპლომატიურ მოლაპარაკებას, მაგრამ ფიქრობს, რომ მოსამზადებელი კომისია შეთანხმებათა რეგისტრაციას კი არ უნდა აწარმოებდეს, არამედ ჰქმნიდეს მათ. **რეზოლიუცია უყურადღებოდ სტოვებს განიარაღების კონფერენციის მოწვევას და პირველ რიგში აყენებს დიპლომატიურ მოლაპარაკებას, ამიტომ იგი ნაბიჯის უკან გადადგმას ნიშნავს.** შეიძლება ისე შეიცვალოს მოსამზადებელი კომისიის მუშაობის წესი, რომ პოლიტიკური დებატები ხელს არ უშლიდნენ მის მუშაობას, შეიძლება ზოგიერთი საკითხები საზღვაო ქვეკომისიას გადაეცეს. გერმანია გადაჭარბებულ მოთხოვნილებებს არ აყენებს და მზად არის ლოიალური მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის მუშაობაში განიარაღების გარშემო. გერმანიის დელეგაცია მონაწილეობას არ იღებს კენჭის ყრაში, რომ არ შეასუსტოს ის მცირე დადებითი ადგილები, რომლებსაც რეზოლიუცია შეიცავს".

ბერნსტორფის შემდეგ გამოვიდა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ლოკერ ლემპსონი;** ის ამტკიცებდა: „ერთა ლიგის მუშაობამ განიარაღების გარშემო ზოგიერთ წრეებს იმიტომ გაუცრუა იმედი, რომ ლიგას სურდა მეტი-მეტად დაეჩქარებინა ამ მუშაობის ტემპიო".

დასასრულ ლოკერ ლემპსონმა აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა „თავისი რწმენის წინააღმდეგ" დაეთანხმა რეზოლიუციას, რომელიც შეიცავს მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადის დასახელებას; ინგლისის მთავრობა ასე იმიტომ მოიქცა, რომ მთლიანობა არ დაერღვია; ამიტომ იგი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ რეზოლიუციას არ დაეთანხმნენ ზოგიერთი დელეგაციები, რომელთა მოთხოვნილებას განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ ინგლისის მთავრობა გადაჭრით უარყოფს".

დიდი სიტყვა წარმოსთქვა **პოლ ბონკურმა,** რომელმაც ჩვეულებრივი საბუთები მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ განიარაღებასა და უშიშროების უზრუნველყოფას ერთმანეთთან კავშირი აქვთ.

შემდეგ პოლ ბონკურმა მეტად დაწვრილებით განიხილა ერთა ლიგის მუშაობა განიარაღებისა და უშიშროების საკითხების გარშემო. ამასთანავე პოლ ბონკურმა სულ წვრილმანი დეტალებიც კი დაასახელა მოსამზადებელი კომისიის ყველა სესიისა და **სიტყვაც კი არ დასძრა განიარაღების საბჭოთა პროექტების შესახებ.**

კამათის შემდეგ რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული; **თავი შეიკავეს გერმანიისა და უნგრეთის დელეგაციებმა.**

იმპერიალისტები „უარჰყოფენ"

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი უარჰყოფს „კრასნაია ზვეზდა"-ს ცნობებს

პარიზი, 26 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ვინაიდან „იზვესტია" კვლავ უბრუნდება „კრასნაია ზვეზდა"-ს მიერ გამოქვეყნებულ ცნობას, საფრანგეთსა და ინგლისის შორის ვითომდა დადებულ საიდუმლო სამხედრო შეთანხმების შესახებ, — საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად უარჰყოფს ამ ცნობებს.

არავითარ შეთანხმებას, ინგლის-საფრანგეთის კომპრომისის გარდა, არ ჰქონია ადგილი აღნიშნულ ორ სახელმწიფოს შორის" (ადს).

ფრანგული გაზეთები უარყოფენ

პარიზი, 26 სექტემბერი. ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობა:

„საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში საფუძველს მოკლებულად აცხადებენ რუსულ გაზეთში დაბეჭდილ ცნობას იმის შესახებ, ვითომ ინგლისა და საფრანგეთს საზღვაო პოლიტიკის შესახებ დაედოთ შვიდი საიდუმლო შეთანხმება, რომლებიც ეხება თანამშრომლობას წყნარ ოკეანეზე, ხმელთშუა ზღვის განაწილებას საფრანგეთისა და ინგლისის გავლენის სფეროებად, ინგლისის ინტერესების აღიარებას გიბრალტარში, ხოლო საფრანგეთისა — ტანჟერში, საჰაერო ფლოტების თანამშრომლობას იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა შეთანხმების ერთ-ერთ მონაწილეს ომი მოუხდა საბჭოთა კავშირთან და სხვ." (ადს).

ინგლისი უარჰყოფს

ლონდონი, 26 სექტ. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ნათქვამია: „არ არსებობს არავითარი ისეთი შეთანხმება ან მოლაპარაკება საფრანგეთთან საჰაერო ფლოტის რაიმე საკითხში, რომელიც არ ყოფილიყო გამოქვეყნებული, და ყოველი ხმები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ზემოაღნიშნულს, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს".

მიუხედავად ამისა, **ინგლისის ავიაციის მინისტრი უარს ამბობს იმაზე, რომ გააკეთოს რაიმე განცხადება ამ საკითხის შესახებ** (ადს).

მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობა

პარიზი, 26 სექტემბერი. სენ-ეტიენში გაიხსნა მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის სრ. საფრანგეთის ყრილობა. თავმჯდომარე არნო წინადადებას იძლევა— საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნან მთავრობებისა და კაპიტალისტური რეპრესიების მსხვერპლნი.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სოლიდარობას უცხადებს გაფიცულ ფეიქრებს და დაადგინა, შეუდგეს ფულის შეგროვებას მათ სასარგებლოდ. პოლიტიკური მოხსენებით გამოსულმა კირშმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება სამუშაო ხელფასის მომატებისა და მუშათა დელეგატების უფლებათა გაფართოებისათვის.

შემდეგ მან თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა ომის საკითხის გაძლიერებას და განაცხადა: „არასოდეს იმპერიალიზმი არ ყოფილა ისეთი საშიში, როგორც ეხლა. საშიშროება მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

მომხსენებელი მოუწოდებდა მუშებს მაქსიმალური სიფრთხილისაკენ. (ადს)

შვებულ წითელ არმიელებისადმი

ამიერ-კავკასიის ცაკის მიმართვა

ამხანაგნო შვებულნო!

ორი წლის საომარი მომზადების შემდეგ თქვენ სტოვებთ კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რიგებს. თქვენს წინაშე სდგას ამჟამად ახალი მძიმე მაგრამ საპატიო ამოცანები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ხალხთა დიადი ძმური ოჯახი—ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სძლევს ყოველგვარ სიძნელეს და წარმატებით აშენებს თავის სოციალისტურ მეურნეობას. კაპიტალისტური სახელმწიფონი, რომელნიც ემზადებიან ახალ იმპერიალისტურ ომისათვის ურთიერთ შორის, პირველ რიგში ამზადებენ ახალ იერიშებს მსოფლიოს პირველ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ისინი ოცნებობენ იმაზე, რომ გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, რომელიც ნარტო თავის არსებობითაც ხელს უწყობს რევოლიუციონური მოძრაობის ფართო განვითარებას მთელ მსოფლიოში. ჩვენ მარტონი არა ვართ სოციალიზმისათვის ბრძოლაში: ბურჟუაზიულ ქვეყნებისა და კოლონიების მშრომელნიც იბრძვიან სოციალისტური რევოლიუციისათვის, ბურჟუაზიის ხელისუფლების წინააღმდეგ, ახალი ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინააღმდეგ.

სოციალისტურ სამშობლოს მტრებისაგან დასაცავად ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი თავდაცვის უნარი. თქვენ ამხანაგო შვებულნო, გეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა ამ საქმეში.

დაზგასთან და გუთანთან დაბრუნებისას გახდით აქტიური მუშაკები მოსახლეობის გასამხედროების, მისი პოლიტიკურად განათლების საქმეში. იყავით აქტიური მუშაკები საბჭოებში, კოოპერაციაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, შეგნებულად გამოიყენეთ ის დიდი ცოდნა, რომელიც მიიღეთ თქვენი უფროსებისაგან, კომისრებისაგან და პოლიტ-მუშაკებისაგან არმიის რიგებში.

გადაეცით მშრომელთ თქვენი სამხედრო ცოდნა, განამტკიცეთ საბჭოთა ორგანოები, განამტკიცეთ კოოპერაცია, პირველი იყავით ყველგან და ყოველთვის ამ მუშაობაში.

მთელი თქვენი ძალღონით დაეხმარეთ ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში.

თქვენი მუშაობით თქვენ ხელს შეუწყობთ საბჭოთა კავშირის განმტკიცებას, მისი თავდაცვის უნარის გაძლიერებას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გიძღვნით თქვენ ძმურ სალამს და საუკეთესო სურვილებს, იგი სავსებით დარწმუნებულია იმაში, რომ თქვენ სახელოვნად შეასრულებთ თქვენზე დაკისრებულ ამოცანებს.

გაუმარჯოს კავკასიის წითელ-დროშოვან არმიას—წითელი არმიელის სამხედრო გამობრძმედის სკოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ალამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. ტაგიევი.

ქ. თბილისი, 27 სექტემბერი 1928 წელი.

კომინტერნის აღმასკომში

პრეზიდიუმი და პოლ ით. სამდივნო

მოსკოვი, 27 სექტ. 3 სექტემბერს შესდგა კონგრესზე არჩეულ აღმასკომის პირველი სხდომა. აღმასკომმა ერთხმად აირჩია **პრეზიდიუმი** შემდეგი შემადგენლობით: წევრები—ბარბე, ბელლი, ბუხარინი, გიტლოუ, ილოკ, კატო, კატაიამა, კოლაროვი, ბელა კუნი, კუუსინენი, ლოზოვსკი, მანუილსკი, მოლოტოვი, მუსსო, პრუხნიაკი, პიატნიცკი, რემმელე, როსსო, სემარი, სერრა, სტალინი, ტელმანი, ხითაროვი, ცეიკინი, ჩილბუმი, ჩიუ-ვიტო, შმერალი, ემბერ-დრო და ერკოლი; კანდიდატები—ფოსტერი, განსენი, გეკკერტი, ლენსკი, მილნოვიჩი, პოლიტი, პურმანი, რესტი და ჩანგ პიაო.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა განიხილა მდგომარეობა პოლონეთის და ჩეხო- სლოვაკიის კომპარტიაში.

5 სექტემბერს შესდგა ახლად არჩეულ პრეზიდიუმის პირველი სხდომა. პრეზიდიუმმა აირჩია ახალი პოლიტიკური სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: წევრები— ბარბე, ბელლი, ბუხარინი, კუუსინენი, მოლოტოვი, პიატნიცკი, რემმელე, სერრა, ჩიუ-ვიტო, შმერალი, ემბერ-დრო, კანდიდატები— მანუილსკი, ლოზოვსკი, ხითაროვი.

პრეზიდიუმმა განიხილა მდგომარეობა ავსტრიისა და საფრანგეთის კომპარტიაში.

ნავთი და დიპლომატია

მელლონის ნათესავებს ნავთის კონცესია წაართვეს

შეერთებული შტატების ნოტა კოლუმბიის მთავრობას

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. **შეერთებულ შტატებსა და კოლუმბიას შორის იწყება მწვავე კონფლიქტი იმის გამო, რომ კოლუმბიის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ნავთის კონცესია, რომელიც მიცემული ჰქონდა კოლუმბიელ გენერალს ბარკოს და რომელიც მან „პეტროლეუმ კომპანის" მიჰყიდა.** ამ კომპანიას კი კონტროლს უწევენ ამერიკის ფინანსთა მინისტრის მელლონის ნათესავები. **ამერიკის ელჩმა ბოგოტაში (კოლუმბიის სატახტო ქალაქია) მოითხოვა საქმის სასამართლოში გარჩევა, მაგრამ კოლუმბიის მთავრობამ პასუხი არ გასცა მის მოთხოვნას.** მაშინ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა კელოგმა კოლუმბიას გაუგზავნა უკმეხი ნოტა, რომელშიაც საყვედური გამოუცხადა კოლუმბიის მთავრობას, რომ მან უპასუხოდ დასტოვა პირველი ნოტა. კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მან კელოგს გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომელიც არ იქნება გამოქვეყნებული, თუ ამას კოლუმბიის კონგრესი არ მოითხოვსო. კოლუმბიის პრესა სასტიკად აკრიტიკებს ამერიკის მთავრობის საქციელს. **კოლუმბიის კონგრესი ერთსულოვნად უჭერს მხარს მთავრობას. ბოგოტაში მოხდა დემონსტრაცია, ლოზუნგით: ძირს შეერთებული შტატების ინტერვენციაო.** (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაფიცვები ფართოვდება

მოსკოვი, 27 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი **გაბრიელ პერი** იტყობინება შემდეგს:

საფრანგეთის ჩრდილოეთ დეპარტამენტების პოლიციას მოემატა ახალი ძალები პარიზიდან. ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დააფრთხოს გაფიცული ფეიქრების ის ნაწილი, რომელნიც შრომის უნიტარულ ფედერაციას ეკუთვნიან. ქალაქ რუბეში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ როგორც ხმები დადის, მწარმოებლები მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება ხელფასის რამდენიმედ გადიდების შესახებ. ბორდოში იფეთქა ახალ გაფიცვებმა. აქ მუშაობაზე ხელი აიღო 1.500 ტრანსპორტელმა.

მოკავშირე რესპუბლიკათა ცაკ—ების თათბირი

მოსკოვი, 27 სექტემბერი. მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს მოსკოვში **ამხ. მ. კალინინის** თავმჯდომარეობით გაიხსნება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების თათბირი, რომელიც განიხილავს საბჭოთა მომავალ მორიგ არჩევნების საკითხებს. აღნიშნულ თათბირს დაესწრება აგრეთვე ზოგიერთი სოფლის საბჭოს წარმომადგენელიც.

ფიქრობენ რომ თათბირში მონაწილეობას მიიღებს 70 დელეგატი სხვადასხვა რაიონიდან.

მეთამბაქოობის კოოპერაციის თათბირი

მოსკოვი, 27 სექტემბერი. გაიხსნა მეთამბაქოობის კოოპერაციის თათბირი. თამბაქოს კოოპერატივების ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელი შეეხო მეთამბაქოობის დამაბრკოლებელ მიზეზებს და აღნიშნა, რომ სიძნელეები ამ დარგში გამოწვეულია იმით, რომ თამბაქო უმეტეს შემთხვევაში მოჰყავთ წვრილ მეურნეებს დაქუცმაცებულ მიწაზე, ბევრგან [illegible] მიწამ დაჰკარგა სინოყივრე, ცუდათაა დაყენებული მიწის ხელოვნურად განოყიერების საქმე.

იმ მიზნით, რომ [illegible] მეთამბაქოობა, აუცილებელია შემოღებულ იქნას მტკიცე ფასები თამბაქოზე, რაიც, სხვათა შორის, ერთგვარი გარანტია იქნება მეთამბაქოობისათვის მოუსავლიანობის წელში. გარდა ამისა საჭიროა, რომ თამბაქოს დამზადების საქმე მთლიანად კოოპერაციას გადაეცეს.

რა დაიხარჯება საბინაო აღმშენებლობა[illegible] 1928 წელში

მოსკოვი, 27 სექტემბერი. გამოქვეყნებულია ცნობები იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს მრეწველობა მთელ საბჭოთა კავშირში საბინაო აღმშენებლობაზე დახარჯავს 160 მილიონ მანეთს. აქედან 23 მილიონი მანეთი მიეცემა სესხად საბინაო კოოპერაციას,

ღამის ცნობები

შუამდგომლობა ბაბუშკინისა და გრომოვის დაჯილდოვების შესახებ

მოსკოვი, 27 სექტემბერი. ტრანსპორტის მუშათა კავშირის ც. კ. მიმართა საკავშირო პროფსაბჭოს თხოვნით—იშუამდგომლოს საკავშირო ცაკის წინაშე მფრინავ ბაბუშკინის და ბორტ-მექანიკოს გრომოვის დაჯილდოვების შესახებ შრომის წითელი დროშის ორდენით.

გაფიცული მემაღაროების დათხოვნა

ლონდონი, 27 სექტემბერი. რადგან მაღაროს პატრონებმა უარი განაცხადეს ხელფასის მიცემაზე ზედმეტი მუშაობისათვის, ლანკაშირის სამთო სამრეწველო რაიონის სამ ადგილას გაიფიცა 3.000 მემაღაროე. მემაღაროეთა ადგილობრივი კავშირის მოთხოვნით (კავშირს რეფორმისტები ხელმძღვანელობენ). ორი დღის შემდეგ მუშები გამოცხადნენ მაღაროებში, რომ განეახლებინათ მუშაობა, მაგრამ ადმინისტრაციამ ისინი სამუშაოდ არ დაუშვა, და განაცხადა, რომ მაღაროს პატრონებმა გადასწყვიტეს არ გაანახლონ ახლანდელი პირობებში მუშაობა და დაითხოვონ მემაღაროები.

იაპონელები მუკდენის მახლობლად ნავთის სარეწაოებს აწყობენ

ხარბინი, 27 სექტემბერი. ფუშუნის მაღაროებში (მუკდენის მახლობლად) ჩამოვიდა იაპონიის სამხედრო სამინისტროს მომარაგების დეპარტამენტის უფროსი იკედა, რომელსაც სურს დაათვალიეროს ნავთის სარეწაოების მოსაწყობად დანიშნული ადგილი.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წერილი ცაკის წევრებისადმი

მოსკოვი, 27 სექტემბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სახელით ცაკის ყველა წევრს გაეგზავნა წერილი: ცაკის წევრებს წინადადება მიეცათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფართო საანგარიშო მუშაობის ჩატარებას. ანგარიშებში უნდა შეეხონ როგორც მთავრობის მოქმედებას, ისე ადგილობრივი საბჭოების მუშაობას, (ადს).

საბოლოო კაპიტულაცია

პეკინი, 26 სექტემბერი. კვირა ღამეს დანებდნენ მოწინააღმდეგეს ჩჟილი-შანდუნის ჯარის უკანასკნელი ნაშთები. ტიანძინში მოიყვანეს 3.000 ტყვეზე მეტი. ჩჟან ცზუნ-ჩანის ბედის შესახებ აქ არაფერი იციან. რკინისგზის მოძრაობა ტიანძინსა და ტანშანს შუა აღდგენილ იქნა. (ადს)

მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის ყრილობა

საიმონის კომისია

და ინდოელი ნაციონალისტები

ლონდონი, 26 სექტემბერი. ბომბეიდან მიღებული ცნობით, შეერთებულ პროვინციების საკანონმდებლო საბჭომ დაადგინა აირჩიოს კომისია 7 კაცისაგან საიმონის კომისიასთან თანამშრომლობის მიზნით.

სვარაჯისტების (ნაციონალური პარტიის) დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ისინი თანახმა არ არიან ითანამშრომლონ საიმონის კომისიასთან და კენჭის ყრის წინ დასტოვეს სხდომა.

სახელმწიფო საბჭომ სიმლაში გადასწყვიტა ამოირჩიოს კომისია სამი წევრისაგან საიმონის კომისიასთან თანამშრომლობის მიზნით. საბჭოს სვარაჯისტმა და ლიბერალმა დეპუტატებმა კამათის დროს გაილაშქრეს ამ კომისიის არჩევის წინააღმდეგ (ადს).

მექსიკის დრ. პრეზიდენტი

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. მექსიკის კონგრესმა დროებით პრეზიდენტად აირჩია ემილიო პორტესგილი.

პორტესგილი ობრეგონის მომხრეთა მემარცხენე ფრთის წარმომადგენელია. მისი ამორჩევა აძლიერებს სამხრეთისა და სანაპირო შტატების გავლენას (ეს შტატები მუშათა და გლეხთა მოძრაობის ბაზაა).

„კრასინის" შესახვედრად

მოსკოვი, 27 სექტემბერი შესდგა იმ კომისიის სხდომა, რომელიც აწყობს ყინულის მჭრელი „კრასინ"-ის საზეიმო შეხვედრას. ყინულის მჭრელის შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ლენინგრადში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის ავიაქიმისა და მოსკოვის პრესის წარმომადგენლების სპეციალური დელეგაცია. (ადს)

სხვადასხვა

● მელილაში (მაროკო) აფეთქდა სამხედრო საწყობი, მოკლულია 57 კაცი, დაიჭრა 200, განადგურებულია მთელი ახლო მდებარე უბანი

● საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ 100 მილიონი ფრანკი გადავა გვადელუპაში გრიგალის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად.

● თურქეთის პრემიერმა ისმეტ-ფაშამ ვენიზელოსი ანგორაში მიიპატიჟა თურქეთ-საბერძნეთის ხელშეკრულების დასადებად.

საჰაერო ქიმიური „თავდასხმა" ბაქოზე

ბაქო, 27 სექტემბერი. სამოქალაქო ორგანიზაციების მოსამზადებლად საჰაერო-ქიმიური თავდასხმის შემთხვევისთვის, აგრეთვე იმისათვის, რომ მასებს გააცნონ ასეთი თავდასხმის დროს მისაღები ზომები, შეაჩვიონ ისინი დისციპლინას, სიგნალიზაციას და სხვ., ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ბაქოში და სამრეწველო რაიონებში ჩაატაროს საჰაერო ქიმიური განგაში.

ერთი კვირით ადრე ქალაქისა და მუშათა რაიონების მოსახლეობას, ადგილობრივი პრესისა და ქალაქის ყველა ნაწილში გაკრული კედლის გაზეთების საშუალებით, ეცნობა მომავალი განგაშისა და მისი ამოცანების შესახებ.

წესრიგის დასაცავად დანიშნულ იქნენ მილიცია, ჯარის ნაწილებისა და მუშათა გაძლიერებული რაზმები.

26 სექტემბერს საღამოს 10 საათზე საყვირის ხმამ აცნობა მოსახლეობას უშუალო სამხედრო-ქიმიური საშიშროება. ქალაქის ქუჩები საჩქაროდ დაცალიერდა, გამოჩნდნენ სანიტარული რაზმები და პატრულები, სახურავებზე დადგეს ტყვიისმფრქვევლები.

შავს ქალაქში ჩამოუშვეს კვამლის ფარდა, ქარხნებსა და სარეწაოებში გამოჩნდნენ გაძლიერებული დამცველები. სადივერსიო ყუმბარების დაცემის ადგილას დაუყოვნებლივ ჩნდებოდნენ ცეცხლის მქრობელი ნაწილები და საექიმო პერსონალი.

40 წუთის ბრძოლის შემდეგ შეტევა მოგერიებულ იქნა.

ბრძოლამ გამოააშკარავა მოსახლეობის დიდი მომზადება საჰაერო-ქიმიური თავდაცვისათვის, მშვენიერი დისციპლინა და შეკავშირება.

27 სექტემბერს დილით ადრე მოხდა მეორე განგაში. ფიქრობდნენ, რომ მტრის აეროპლანები, კვამლის ფარდის წყალობით უხილავად თავს დაესხმიან ქალაქს, მაგრამ ფარდა გაფანტა მსუბუქმა ქარმა, რომელიც ზღვიდან ქროდა, მეორე სიგნალის შემდეგ ზღვაში გავიდა სამხედრო ფლოტი. მალე ქალაქის თავზე სამი თვითმფრინავი გამოჩნდა, მათ 7 თვითმფრინავი მისდევდა.

დაუყოვნებლივ სროლა ასტეხეს საზენიტო ზარბაზნებმა და ტყვიისმფრქვევლებმა, რამდენიმე წუთის შემდეგ „მტრის" ესკადრილიის შესახვედრად გაფრინდნენ გამანადგურებლები, და დაიწყო საჰაერო ბრძოლა.

თავდამცველებს მხარს უჭერდნენ საზენიტო ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველი და ფლოტი.

ამ ბრძოლას შედეგად მოჰყვა მტრის უკუგდება, მან დაჰკარგა ორი თვითფრინავი.

ცალკე მოხდა თავდასხმა ბაილოვ-ბიბი-ეიბათის რაიონში. აქ მოახლოვებული საფრთხის შესახებ ცნობა გადმოსცეს მზვერავებმა. მტერმა მოახერხა სადივერსიო და ცეცხლის გამჩენი ყუმბარების ჩამოგდება. მალე ნავთსადენიდან მოისმა ლითონის ხმაური: მტერი სანავთო ხაზს ესროდა.

ძლიერი იერიში მიიტანეს კრასინის სახელობის ელექტროსადგურზე, სადაც ჩამოაგდეს 6 ყუმბარა, რომელთაც არავითარი ზიანი არ მოუყენებიათ. მეორე თავდასხმა მოგერიებულ იქნა ერთი საათის განმავლობაში.

მეორე განგაშმა ერთხელ კიდევ გამოააშკარავა მშვენიერი მომზადება არა მარტო სამხედრო ნაწილებისა, არამედ მოსახლეობისაც. ბაქომ წარმატებით მოიგერია სამხედრო-ქიმიური თავდასხმა (ადს).

საქართველოს კომპარტიის ცეკას IV პლენუმი

პლენუმის დღიური

27 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დილის სხდომა არ შემდგარა. საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. პუშენიცინის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგმა არუთინოვმა, საკიანმა, ივანოვ-კავკასკიმ, ლაკობამ და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კახიანმა. ამხ. კახიანის გამოსვლას მოუნდა საღამოს სხდომის დიდი ნაწილი. ამხ. კახიანის გამოსვლით დამთავრდა პლენუმის საღამოს სხდომა. 28 სექტემბერს დილით გაიმართება პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნების და აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმის წევრთა) თათბირი სახალხო განათლების სისტემის საკითხის შესახებ.

კამათი ამხ. პუშენიცინის მოხსენების გამო

26 სექტემბრის დილის სხდომა

პლენუმის დილის სხდომა 26 სექტმ. დაიწყო კამათით ამხ. პუშენიცინის მოხსენების გამო.

ამხ. ბაგიროვი

პირველად კამათში გამოვიდა ამხ. ბაგიროვი. იგი უპირველეს ყოვლისა, შეჩერდა კამათის ხასიათზე, რომელიც უნდა გაიშალოს საკავშირო კ. პარტიის (ბ) ცეკას რეზოლუციის და მოსმენილი მოხსენების ირგვლივ და რომლის პროცესშიაც გამოაშკარავებულ და დასახულ უნდა იქნას საქართველოს კომპარტიის ხაზი ამ რეზოლუციის ცხოვრებაში გასატარებლად.

„საქართველოს სოციალისტური განვითარების გენერალური ხაზი არის ინდუსტრიალიზაცია, —სთქვა ამხ. ბაგიროვმა,—და ეს ჩვენ უნდა გვესმოდეს იმგვარად, რომ სამრეწველო მშენებლობის სწრაფად ზრდასთან ერთად მთელი ძალ-ღონე უნდა მოვანდომოთ მრეწველობის იმ ნაწილის მოწყობას, რომელიც გადაამუშავებს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს და ამით დააჩქარებს ქართული სოფლის განვითარებისა და აღორძინების ტემპს. წყალთა მეურნეობის შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლუცია იძლევა ამომწურავ დირექტივებს ამ საკითხის მოსაგვარებლად. რასაკვირველია, ამ საქმეში ჩვენს წინ დგანან ძალიან დიდი სიძნელენი, მაგრამ მუშაობა უკვე დაიწყო.

ამხ. კანდელაკი

ხაზს უსვამს, რომ ამხ. პუშენიცინის მოხსენებაში საკმაოდ არ არის გაშუქებული ის მუშაობა, რომელსაც ატარებს საქართველოს განათლების სახ. კომისარიატი, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დარგში. კულტურული უთანხმოება ცალკე რაიონებს შორის არის მეფისა და მენშევიკების დროის მძიმე მემკვიდრეობა. რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც გაკეთებულ იქნა დღემდე კულტმშენებლობის დარგში, საკმაო არ არის. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგჯერ შეუძლებელია ამა თუ იმ ღონისძიებების გატარება ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მის გამო, რომ საკმაოდ არ მოგვეპოვებიან ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მუშაკები. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკამ ამ საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია; იგი ეხლაც ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ამას. სასკოლო ქსელი ბორჩალოს მაზრაში გადიდებულ იქნა 40 პროცენტით. მიღწევები გვაქვს სხვა მაზრებშიაც. არა მარტო საქართველოში, აზერბეიჯანშიაც თურქი კულტმუშაკების დიდი ნაკლებობაა. კულტმუშაკების ამ ნაკლებობის შევსება ხდება საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გახსნილი სპეციალური თურქული პედაგოგიური ტეხნიკუმის საშუალებით. ამ ნ მეოხებით შესაძლო გახდა თურქული ცხრაწლედის გახსნა მიმდინარე წელს. ეროვნულ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მასწავლებელთა კადრის საკითხთან.

ეროვნულ უმცირესობათათვის ლიტერატურის მიწოდების მხრივ უფრო რაციონალურია ეს ლიტერატურა მიღებულ იქნას ეროვნულ სახელმწიფოებიდან, ვიდრე გამოიცეს საქართველოს სახელგამში. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი ასეც მოიქცა. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი შეუდგა სკოლებში ღარიბთა ახალგაზრდობის რიცხვის ზრდის პროცესის შესწავლას. გლეხ-ახალგაზრდათა სკოლების ქსელიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა და წელს დაიწყო ახალგაზრდა გლეხთა სკოლების მოსწავლეთა ნივთიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება (სასწავლო ნივთების მიწოდება დღემდე სწარმოებდა).

ამხ. კანდელაკი შეეხო პროფტეხნიკური განათლების საკითხსაც. მან აღნიშნა, რომ ის საქმე სავსებით ახალია საქართველოსათვის. წარსულში საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო ბატონობდნენ ჰუმანიტარული სკოლები (გიმნაზიები). ამჟამად გვაქვს 40 სპეციალური ტეხნიკუმი. რაიც სავსებით შეთანხმებულია ხუთწლიან სამეურნეო გეგმასთან.

ამხ. გაბუნია

ამბობს შემდეგს: „ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური გარდაქმნის საქმეში უდიდეს როლს თამაშობს ის ადამიანთა მასალა, რომლის მეოხებით ვატარებთ ამ გარდაქმნას. ამგვარად, ფართოდ უნდა დაისვას კულტმუშაკების კადრის საკითხი. გარდა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მუშაკების კადრების მომზადებისა, საჭიროა პრაქტიკულ ყოველდღიურ მუშაობაში ჩავაბათ გლეხთა აქტივი. ხოლო ადმინისტრატიული და საბჭოთა დაყოფის სამსაფეხურიანი სისტემა აძნელებს მუშაობას ფართო მასების ჩასაბმელად საბჭოთა საქმიანობაში. უსათუოდ უნდა შევამციროთ სათემო ერთეული, რომელიც საჭირო არ არის, და დარაიონების საკითხის დროს უნდა გადასწყდეს სოფლის საბჭოების საკითხი".

ამხ. ფანცხავა

თავის სიტყვაში შეეხო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლუციის იმ პუნქტებს და ამხ. პუშენიცინის მოხსენების იმ ნაწილს, რომლებიც შეეხებიან ავტონომიურ რესპუბლიკებს.

„აჭარელების თანდათანობითი ჩაბმა მრეწველობაში,—სთქვა ამხ. ფანცხავამ,—აჭარისტანის ორგანიზაციის ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური ამოცანაა. ზოგიერთი შედეგი უკვე გვაქვს ამ საქმეში, როგორც, მაგალითად, ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის კადრების მომზადება „აზნეფტესტროისათვის". აჭარისტანში ძალიან მწვავედ სდგას ყოფა-ცხოვრებისა და რელიგიური საკითხები. აქაც საჭიროა მაქსიმალური მოქნილობა და ელასტიურობა ამ პრობლემების გადასაწყვეტად. არა ნაკლები მოქნილობა არის საჭირო ქალების განთავისუფლებისა და ჩადრის მოხსნის საკითხებში. კამპანიამ, რომელიც შარშან ჩატარდა ჩადრის მოხსნისათვის, წარმატებით ჩაიარა. 550 ქალმა მოიხსნა ჩადრი. ამ კამპანიის მიღწევები უსათუოდ უნდა განვამტკიცოთ. სისტემატიური მუშაობა უნდა ვაწარმოოთ სათემო უჯრედებში და სოფლად, ხოლო აჭარისტანის სოფლებში გავაგზავნოთ კულტურული მუშაკები".

ამხ. ცაგარელი

აღნიშნავს კოლმეურნეობათა განვითარების სუსტი ტემპს საქართველოში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სპეციალური პირობები საქართველოში გვაიძულებენ, ყურადღება მივაქციოთ,უპირველეს ყოვლისა, ტეხნიკური შრომის ტევადი კულტურების კოლექტივიზაციას. აპარატი, რომელიც კოლმეურნეობათა განვითარებას ხელმძღვანელობს, არსებობს მხოლოდ 1927 წლიდან, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში, კოლექტივიზაციის ტემპი არა თუ ნელდება, არამედ მნიშვნელოვნად იზრდება. კოლმეურნეობათა ცენტრმა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას წინადადებით, მოახდინა კოლმეურნეობათა სოციალური შემადგენლობის წმენდა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ის, რომ კოლმეურნეობებში არის 72 პროც. ღარიბები, 22 პროც: საშუალო გლეხები და მხოლოდ 6 პროც. შეძლებული გლეხი, რომლებიც დარჩნენ იმ კოლმეურნეობებში, სადაც წმენდა არ ჩატარებულა. გარდა ამისა, კოლმეურნეობათა ცენტრში ჩამოყალიბება ეგრედწოდებული „ველური". სტიქიურად წარმოშობილი კოლმეურნეობანი და ეროვნულ ენებზე გამოსცა კოლმეურნეობათა პირველი საკავშირო თათბირის რეზოლუცია, აგრეთვე სხვა ლიტერატურა კოლმეურნეობათა შესახებ —სულ 24.000 ცალამდე. კოლმეურნეობათა ცენტრმა სასოფლო-სამეურნეო ბანკთან ერთად გაანაწილა კრედიტი—250.000 მანეთამდე, —მანქანები და მუშა-საქონელი. ძირითადი ამოცანა, რომლის გადაწყვეტილებისათვის მუშაობდა კოლმეურნეობათა ცენტრი უკანასკნელ ხანებში, არის კონტრაქტაცია და პროდუქციის დამზადება კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ დამზადებული მთელი ხორბლიდან 80 პროც. მოდის კოლმეურნეობებზე და მხოლოდ 20 პროც. მოდის ინდივიდუალურ მეურნეობებზე. ჩაის კონტრაქტაცია გატარებულია 59 პროცენტით.

ამხ. მამულია

ამხ. მამულიამ სთქვა: „ამხ. პუშენიცინის მოხსენებაზე მსჯელობის დროს იმდენად მას არ უნდა ვეკამათოთ, რამდენადაც ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ რეზოლუციის ცხოვრებაში გატარების გზებსა და საშუალებებს, რომელიც მიიღო საკ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციაში შეტანილია ერთი პუნქტი კულტურული მაკრატლის არსებობის შესახებ საქართველოს ცალკე რაიონებს შორის. ცენტრალური ყურადღება კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგში უნდა გადატანილ იქნეს ჩამორჩენილ და განსაკუთრებით ნაციონალური უმცირესობათა რაიონებში. მომავალში განათლების სახალხო კომისარიატის სახსრები ხელახლად უნდა იქნეს განაწილებული ამ მიმართულებით. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ადგილებიც. ხშირად კულტურულად ყველაზე უფრო ჩამორჩენილი რაიონები ძლიერნი არიან თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით, და აქ საჭიროა გადავიტანოთ სახალხო განათლებისათვის საჭირო საშუალებათა უფრო სწრაფი ზრდის კურსი ადგილობრივ ბიუჯეტებზე, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სკოლების ქსელის ზრდა. ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი სკოლების თვისობრივ გაუმჯობესებას. ეს კი აუცილებლად საჭიროა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ შედეგებს, რომელიც მოგვცეს წელს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებმა გამოცდებმა. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სკოლების სოციალური შემადგენლობა ცუდი და არადამაკმაყოფილებელი იყოს. მაგრამ ამჟამად საჭიროა, ჩვენს სკოლებში მოჰყვეს მუშათა, ღარიბეს გლეხთა და სოფლის მოჯამაგირეთა ყველა ბავშვი. მიუხედავად იმისა, რომ პროფტეხნიკური განათლების სკოლების ქსელი ძალიან გაიზარდა და მენშევიკების პერიოდთან შედარებით, იგი მაინც არ არის საკმარისი ჩვენი მეურნეობის განვითარების დღევანდელ პირობებში. ჩვენი პროფტეხნიკური სკოლები ვერ არიან თვისობრივად დამაკმაყოფილებელნი. ეს უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ პროფტეხნიკური განათლების მატერიალური ბაზა მეტად სუსტია. საჭიროა განათლების სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სახსართა იმნაირად განაწილება, რომ პროფტეხნიკური განათლებისათვის გადადებულ იქნას უფრო მეტი თანხა.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, როგორც სამეურნეო, ისე იდეოლოგიური ფრონტზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა მუშაობას ინტელიგენციის შორის. მიუხედავად დიდი მიღწევებისა ინტელიგენციის დაპყრობის საქმეში, ჩვენ კვლავ უნდა დავსვათ ეს საკითხი. ამ მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას უცხო იდეოლოგიასთან. აქტიურ საბჭოთა მშენებლობაში უნდა ჩავაბათ საბჭოებისადმი თანაგრძნობით განწყობილი ინტელიგენცია, სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ინტელიგენციის ახალი კადრების აღზრდის საქმეს მუშათა და გლეხთა წრეებიდან, როგორც ამას გვიკარნახებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია.

რეზოლუციის მეექვსე პუნქტი ლაპარაკობს პარტგანათლების მუშაობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა ჯერ სუსტად არის დაყენებული. ეს სისუსტე უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ბევრი ორგანიზაცია და უჯრედი ჯერ კიდევ ვერ აფასებს ჯეროვნად პარტიულ აღმზრდელი მუშაობის მნიშვნელობას, მეტად მცირერიცხოვანია და არა საკმაოდ მტკიცე პარტგანათლების ქსელის ხელმძღვანელთა კადრები; ამ კადრებს არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია, მეტად შეზღუდულია მატერიალური რესურსები, გადადებული ამ კადრების გადასამზადებლად და, საერთოდ პარტიული აღმზრდელი მუშაობის საწარმოებლად.

ეს სისუსტე აიხსნება იმითაც, რომ პარტიული მუშაობის სისტემაში სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობას არ უჭირავს ჯერ-ჯერობით სათანადო ადგილი. კულტურული მშენებლობის სათანადო დონეზე დასაყენებლად და მასზე მტკიცე და სწორი პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად საჭიროა გავაძლიეროთ ყურადღება სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობისადმი, საჭიროა შევქმნათ სააგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ მუშაკთა მტკიცე კადრები, საჭიროა გავადიდოთ სახსრები კულტურული მუშაობის საჭიროებისათვის როგორც პარტიული ხაზით, ისე პროფკავშირული, პოლიტგანათლებათა განყოფილებების, კოოპერაციის და სამეურნეო ორგანოთა ხაზით".

26 სექტემბრის საღამოს სხდომა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 26 სექტემბრის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. პუშენიცინის მოხსენების გამო. მასთან ერთად განხილულ იქნა, მისი პრაქტიკულად განხორციელების მხრივ, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია, მიღებული საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ მოხსენების გამო.

პირველად ამხ. პუშენიცინის მოხსენების გამო საღამოს სხდომაზე ილაპარაკა ამხ. აბასმა.

ამხ. აბასი

აქ გამოსული ამხანაგები შეეხნენ საკმაოდ არსებით მომენტებს, რომლებითაც დასახულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის პრაქტიკული განხორციელება, მაგრამ ჩემის აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავსტოვოთ უყურადღებოდ ერთი საკითხი, რომელიც ეკუთვნის ჩვენი მუშაობის დადებითი მხარეს. საჭიროა აქ მკაფიოდ, სრულიად ნათლად შევაფასოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის საერთო ხელმძღვანელობა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობა. ამ საკითხზე მხოლოდ ერთი აზრი შეიძლება იქნეს მიღებული ჩვენ წრეში—სახელდობრ ის. რომ საქართველოს რთულ პირობებში, იმ საქართველოს, რომელიც ნაწილია ამიერ-კავკასიის არა ნაკლებ რთული პოლიტიკური ორგანოებისა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სავსებით გადაჭრა ხელმძღვანელობის ამოცანა. საქართველოს და ამიერ-კავკასიის სინამდვილეში ნაციონალური პოლიტიკა წარმოადგენს იმ საცდელ მომენტს, რომელზედაც სწარმოებს ხელმძღვანელობის ნამდვილი შემოწმება. მე ვფიქრობ, რომ ამ დარგში ჩვენ გვაქვს საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ რამდენად სწორი იყო პარტიის ხელმძღვანელობის კურსი საქართველოში. ეს კურსი, წარმოადგენს იმ პოლიტიკის გაგრძელებას, რომლის ავტორიც ამხ. სერგოა, და რომლის შედეგია ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცება საქართველოში და ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება. მოსმენილი მოხსენება და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკას, ჩვენს ყურადღებას აქცევს ავტონომიების საკითხს. საწარმოო ძალთა განვითარება განაპირა რაიონებში აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ავტონომიის კულტურულ კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან და მასში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის აღზრდის საქმესთან. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ცოტას ვმუშაობთ ადგილებზე და ცენტრში კავშირის განსამტკიცებლად თვით საქართველოსა და ავტონომიებს შორის. არიან აბსოლიუტურად დამოუკიდებელი სახალხო კომისარიატები, როგორც, მაგალითად, განათლების სახალხო კომისარიატი და სხვ. აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატი, მაგალითად, არ ექვემდებარება საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიმუშაოთ კომისარიატებს შორის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის დარგში? ამხანაგური კავშირი იქ, სადაც არ არსებობს პირდაპირი დაქვემდებარება, ჰქმნის უფრო რეალური კავშირს თვით საქართველოსა და ავტონომიებს შორის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის იგივე რეზოლუცია აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მუშაობა კულტურის განსავითარებლად განაპირა კუთხეებში. შეუძლებელია კულტურული განვითარება განაპირა კუთხეებში, შეძლებულია მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში, თუ არ მივცემთ ამ მასებს გასაგებ ენას. აფხაზეთის ენის საკითხში რეალურად ჯერ ძალიან ცოტა რამ გაკეთდა.. ამავე დროს აფხაზეთის ენის რეფორმის საკითხი სავსებით მომწიფებულია და საჭიროა მხოლოდ სპეციალური თანხების გადადება ამ საქმისათვის. ამ რეფორმის დაყოვნება აფერხებს აფხაზეთის კულტურულ ზრდასაც".

ამხ. მაჩაიძე

შეეხო უმთავრესად პროფკავშირთა მასიური მუშაობას. „მართალია მასიური მუშაობის დაყენების საქმეში ჩვენ მრავალი არსებითი დეფექტი გვაქვს,—სთქვა ამხ. მაჩაიძემ,—მაგრამ საქართველოს პროფკავშირების მიერ ჩატარებული მასიური მუშაობის შედეგად, თუ გინდ ინდუსტრიალიზაციის სესხის საქმეში, მუშათა ჩაბმის მხრივ საბჭოთა მშენებლობაში და წარმოების რაციონალიზაციაში, ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მიღწევაც. მასიური მუშაობა როგორც პროფკავშირული, ისე პარტიული ხაზით საჭიროა თავიდანვე ჩავაყენოთ ისეთ კალაპოტში, რომ მან უზრუნველჰყოს აქტიური პროლეტარული მასების და პროლეტარული დემოკრატიის თავისუფალი განვითარება".

ამხ. ჟვანია

თავის სიტყვაში უმთავრესად შეეხო მასიურ მუშაობას სოფლად სასოფლო-მეურნეობის ამაღლებისა და ინტენსიფიკაციის დარგში. მან აღნიშნა, მიწის ნაკლებობის პირობები საქართველოში, გამოუსადეგარი მიწის დიდი რაოდენობა, მწვავედ სვამენ წყალთა მეურნეობისა და მიწათმოწყობის მუშაობის საკითხებს.

ამხ. ყურულაშვილი

ამბობს; ამოცანა, რომელიც მახლობელი დროისათვის ჩვენს წინაშე სდგას, არის საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ის გადაწყვეტილებათა განხორციელება და იმ ნაკლთა გამოსწორება, რომლებიც აღნიშნულია რეზოლუციაში. უპირველეს ყოვლისა უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სამეურნეო კადრები, რომლების გარეშეც სამრეწველო მშენებლობის ზრდა აუცილებლად შეფერხდება. მრეწველობის რა დარგები უნდა განვავითაროთ? პირველ რიგში, რასაკვირველია, სამთო მრეწველობა. ჩვენ გვაქვს ქვანახშირით ისეთი მდიდარი რაიონი, როგორიც ტყვარჩელია, რომელსაც საერთო საკავშირო მნიშვნელობა აქვს და რომელიც საუკეთესო ბუდობაა კოქსისა, მარგანეცის მრეწველობისა და ელექტრონის იაფი ენერგიის (თეთრი ნახშირის) ბაზარზე ჩვენ უნდა განვავითაროთ ქიმიური და ფერო-მარგანეცის მრეწველობა. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი წინასწარ პირობებს უქმნიან ამომღები და დამმუშავებითი მრეწველობის განვითარებას. ჩვენ ჯერ კიდევ საკმარისად არ ვიცნობთ ყველა ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს, საგამოკვლევო მუშაობა ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. მიმდინარე წელს ამ საქმისათვის გადადებულია 200.000 მანეთი. ჩვენ შეგვიძლიან ამ სამუშაოს მოწყობა და დაყენება, თუ მომავალში სახსარს არ შეგვიმცირებენ. მრეწველობის გადაშლის გეგმაში გვმართებს სიფრთხილე, რომ ადგილი არ ჰქონდეს წვრილი წარმოებების ადგილას მსხვილი წარმოებებით გატაცებას. მრეწველობის გადაშლა უნდა ვაწარმოოთ ნედლეულის ბაზისა და ბუნებრივი წინასწარ პირობების ნიადაგზე. მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგში კი საჭიროა რამდენიმე მისი ცენტრალიზაცია.

ამხ. შოგირაძე

შეეხო უმთავრესად სოფლად მუშაობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ჩქარი ტემპით გატარდეს მიწის მოწყობის საქმე. ჭაობების ამოშრობასთან (დასავლეთ საქართველოში) დაკავშირებულია მოსახლეობის არა მარტო ეკონომიური, არამედ კულტურული ზრდაც. აღმოსავლეთ საქართველოს მორწყვა კი ერთ-ერთი უდიდეს სტიმულთაგანია სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ინტენსიფიკაციისათვის. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმე ბრკოლდება, მანქანებს მიწოდების საქმის სუსტად დაყენების გამო. ამ გარემოებას მახლობელ დროში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ჯიოევი

(სამხრეთ-ოსეთი)

შეეხო სასკოლო მშენებლობას და ამ მხრივ ეროვნულ უმცირესობათა დაკმაყოფილების საკითხს. მან აღნიშნა, რომ სკოლათა ქსელის გაფართოვება ძალიან ნელა მიმდინარეობს, თუმცა წარსულთან(მენშევიკების პერიოდთან) შედარებით, სკოლათა რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზარდა. სასკოლო მშენებლობის ერთ-ერთ დეფექტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ არ არის სრული 4-წლედი. ამნაირად, მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება სწარმოებს და არ სწარმოებს თუნდაც სკოლის მუშაკთა კადრების მომზადება, რადგან 4 წლედის უქონლობა და 7-წლედსა და 9-წლედ შუა საფეხურის გაწყვეტა აფერხებს ამ მუშაობას. სახსრების სიმცირეც ხელს უშლის სკოლათა ქსელის გაფართოვების საქმეს რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. შემდეგ ამხ. ჯიოევი პლენუმის ყურადღებას აქცევს კულტურულ მუშაობას სამხრეთ-ოსეთში და მუშაობას ყოფა-ცხოვრებისა და რელიგიური ცრუმორწმუნეობის დარგში ასეთი ხასიათის მუშაობას სამხრეთ-ოსეთში მრავალი არსებითი ნაკლი აქვს.

ამხ. ჯავახიძე

(ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კ.)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ს რეზოლუცია დირექტივებს აძლევს საქართველოს კომპარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირს მათი შემდგომი მუშაობისათვის. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირი, რომელიც გაიზარდა რიცხობრივად, მოითხოვს მუშათა შემადგენლობის განმტკიცებასა და გაძლიერებას. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის აქტიური მონაწილეობა იმ კამპანიებში, რომლებსაც ატარებს კომპარტია, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებში და სოფლებში ახალგაზრდათა კომკავშირის მასიური მუშაობის გამოცოცხლება მოწმობს იმას, რომ ის სწორ ხელმძღვანელობას უწევს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირისათვის ცენტრალური საკითხია მისი ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე და ახალგაზრდობაზე რელიგიური და ყოფა-ცხოვრებითი გავლენების დაძლევის ხაზით. ამ ბრძოლაში საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირს თვალსაჩინო მიღწევები აქვს. შემდეგ ამხ. ჯავახიძე შეეხო კომკავშირის პარტხელმძღვანელობის საკითხს. ეს ხელმძღვანელობა არ არის საკმარისი, განსაკუთრებით ადგილებზე. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კ. მიერ ახლო მომავალში განზრახული 10 პროცენტიანი გამოკვლევა კომკავშირის მუშაობისა მოითხოვს, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაციები განსაკუთრებულის ყურადღებით მიუდგნენ საქმეს, რის შესახებ საჭიროა ადგილებს დირექტივა მიეცეთ.

ამხ. გუდავაძე

ამბობს, რომ თვითკრიტიკამ შეჰხსნა ფართო პროლეტარული მასები. მუშათა შორის ადგილი აქვს საგრძნობ გამოცოცხლებას და აქტივობის ზრდას. მომავალში საჭიროა ეს მუშაობა გაღრმავდეს და მასების აქტივობის მიზანშეწონილად განვითარებით თვითკრიტიკისა და პროლეტარული დემოკრატიის განვითარების გზით მასები ჩაბმულ იქნან წარმოების რაციონალიზაციაში.

ამხ. გუდავაძის გამოსვლით დასრულდა პლენუმის 26 სექტემბრის საღამოს სხდომა.

დღეს პლენუმზე

დღეს, 28 სექტემბერს დილის 9 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნების და აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეთა (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მე-IV პლენუმის წევრთა) **თათბირი სახალხო განათლების საკითხის შესახებ.**

თათბირზე, დასახელებულთა გარდა, მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: ლ. ქართველიშვილი, ა. კვირიკაძე, ქ. კაჭარავა, მ. ტოროშელიძე, ქ. სულაქველიძე, არჩილ მიქაძე და გეგენავა (განათლების მუშაკთა კავშირი), პოლოსოვი (ცენტრალური პარტიული სკოლა), ლ. სალუქვაძე, ს. ხუნდაძე, დ. გვაზავა, ს. გეგენავა, ს. კიკაბიძე, გ. კვიცარიძე და ვ. კანდელაკი (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ლ. რუხაძე, მთვარელიძე, ვ. იმედაძე, სამოხვალოვი (სახელმწიფო პოლიტეხნიკური უნივერსიტეტი), დოლგოპოლოვი (სახელმწიფო პოლიტეხნიკური უნივერსიტეტი), გ. ყურულაშვილი, ვ. ავაქოვი, ს. ჟულელი, ძამანაშვილი, ჯავახიძე (ახალგაზრდათა კომკავშირი), ჯავახიშვილი (ახალგაზრდათა კომკავშირი), ბარნაბიშვილი (ახალგაზრდათა კომკავშირი), აზარაშვილი (ახალგაზრდათა კომკავშირი), ვარო ჯაფარიძე, მხითაროვი, ბ. მაჩაიძე, კუჭაიძე, ფრანგულიანი, ბედია, ადამიანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ა.-კ. რკინისგზელთა მე-7 ყრილობა

კამათი საგზაო კომიტეტის მუშაობის შესახებ

ყრილობის მეორე, მესამე და მეოთხე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საგზაო კომიტეტის მუშაობის შესახებ. სულ კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა 67 კაცი. მოკამათენი თავიანთ სიტყვებში უმთავრესად ეხებოდნენ ახალი სატარიფო რეფორმის ზოგიერთ ნაკლულოვანებებს, საბინაო კოოპერაციის და ბინათმშენებლობის საკითხს, საწარმოო თათბირების მუშაობას, შრომის დისციპლინას, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ახალგაზრდობის მდგომარეობას, დაწინაურების საკითხს, გამომგონებლობას, ბიუროკრატიზმს, შრომის დაცვის საკითხებს, სპეცტანსაცმლების დარიგების მოუწესრიგებლობას და სხვა.

ამხ. სართანია (თბილისი) ეხება მთავარ სახელოსნოებში რეფორმის გატარებას და აღნიშნავს, რომ ახალი სატარიფო რეფორმის გატარებამ ვერ გადასჭრა შრომის ხელფასის საკითხი. ზოგჯერ არაკვალიფიციური მუშები იღებენ კვალიფიციურ მუშებზე უფრო მაღალ ხელფასს. აღნიშნავს აგრეთვე მუშებისათვის შეშის მიწოდების მოუწესრიგებლობას.

ამხ. სადიხი (ბაქო) შეეხო ბიუროკრატიზმის საკითხს და აღნიშნა, რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად არ კმარა მარტო ლოზუნგების წამოსროლა, არამედ საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებების მიღება.

ამხ. ტუმანოვი (ლენინაკანი) ამბობს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საწარმოო თათბირების დადგენილებები 50 პროცენტით ტარდება ცხოვრებაში. სამხრეთ უბანში კი ეს დადგენილებები 20 პროცენტის ფარგლებშიც კი არ ახორციელდება. ამის გამო მუშები გულგრილად ეპყრობიან საწარმოო თათბირებს.

ამხ. გოგოლაშვილი (ქუთაისი) შეეხო საბინაო კოოპერაციის სუსტ მუშაობას და განაცხადა, რომ საბინაო კოოპერაციის გამგეობებში უმთავრესად შედიან ადმინისტრატორები.. აშენებულ ბინებში თვით ისინი სახლდებიან და დაბალი ჯამაგირიანი მუშები კი ისევ უბინაოდ არიან. ის მიუთითებს საგზაო კომიტეტს მომავლისათვის ყურადღება მიაქციოს ასეთ არანორმალობას.

ამხ. [illegible] (ბაქო) ეხება უმუშევრობის საკითხს და აღნიშნავს, რომ ახალი ხაზის გასაყვან სამუშაოზე არა კავშირის წევრები იქნენ მიღებულნი, ვინაიდან უმუშევრებმა დიდი ქალაქების დატოვება არ ისურვეს და ამჯობინეს აქ კავშირიდან დახმარების მიღება. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ ასეთი უმუშევრების წინააღმდეგ საგზაო კომიტეტმა მიიღოს შესატყვისი ზომები.

ამხ. ლატარია (თბილისი) აღნიშნავს უკანასკნელ ხანებში კულტმუშაობის შენელებას პლეხანოვის სახელობის კლუბში. ეხება აგრეთვე რკინის გზელთა შვილების საბავშვო ბაღებში მოთავსების სიძნელეს და აცხადებს რომ ხშირად საბავშვო ბაღები უვარგის ბინებშია მოთავსებული, რის გამო ბავშვებს დაავადმყოფება მოჰყვის,

ამხ. მიხაილოვა (განჯა) ეხება საბავშვო ბაღების უქონლობას, სპეცტანსაცმლების უვარგისობას და კვების საქმის მოწესრიგებას რკინისგზელ მუშებისათვის.

ამხ. ლაბაძე (ბათომი) ეხება კულტმუშაობის სისუსტეს და კლუბების უქონლობას რკ. გზის პატარა უბნებში. ასეთ უბნებისათვის მას საჭიროდ მიაჩნია ვაგონ-კლუბების გამოყენება და მოძრავი კინოს მიწოდება.

ამხ. [illegible] (სამტრედია) შეეხო შრომის დისციპლინის საკითხს და განაცხადა, რომ შრომის დისციპლინის დარღვევაში მარტო მუშებს არ უნდა დაედოს ბრალი. ხშირად ადმინისტრაცია უწყობს ხელს დისციპლინის დარღვევას, როდესაც ის არ აკმაყოფილებს მუშის კანონიერ მოთხოვნილებებს და ხდის საკონფლიქტოთ. საკონფლიქტო კომისიებში საკითხების გადაწყვეტა იგვიანებს, რაც ხელს უწყობს შრომის დისციპლინის დარღვევას. ადმინისტრაციამ ფულადი საკითხი არ უნდა გახადოს სადაოდ. აღნიშნავს აგრეთვე სპეცტანსაცმლის საკითხს და ამბობს, რომ სპეცტანსაცმელი ეძლევა მაღალ ჯამაგირიანებს, ხოლო დაბალ თანრიგიანებს ცუდი ღირსებისა.

ამხ. ბაუპტმანი (თბილისი) ეხება ახალგაზრდობის შრომის პირობებს რკინის გზებზე და ამბობს, რომ საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში ახალგაზრდობა სწავლობს 3 წელიწადს. ხელობის შესწავლის შემდეგ კი ისინი უსაქმოდ რჩებიან, ანდა შავი მუშების მოვალეობას ასრულებენ. არ ეძლევა აგრეთვე ყურადღება საწარმოო თათბირებზე ახალგაზრდობის მიერ შემოტანილ წინადადებას, ახალგაზრდობის შრომის კულტმუშაობის გაჩაღებას და სხ.

—:—

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე შემდეგმა ამხანაგებმა: არაქელოვმა, მამედოვმა, [illegible], მიშინმა, მოვსესიანმა, ბუაძემ, კუკულავამ, გელაშვილმა და სხვ.

—:—

გუშინ საღამოს სხდომაც მოუნდა კამათს ამხ. საბაშვილის მოხსენების შესახებ.

რკინის გზელ ინჟინერ-ტეხნიკოსების სახელით კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. გვერდწითელმა, რომელმაც ინჟინერ-ტეხნიკოსების მონაწილეობის გასაძლიერებლად პროფესიონალურ მოძრაობაში საჭიროდ სცნო, რომ საგზაო კომიტეტმა ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციას გაუწიოს მეტი ხელმძღვანელობა და ჩაითრიოს მისი წევრები კავშირის მუშაობაში.

კამათში გამოსული დანარჩენი ამხანაგებიც ეხებოდნენ იმავე საკითხებს, რომელსაც შეეხნენ წინა სხდომებზე გამოსული ორატორები.

კამათის დამთავრების შემდეგ საგზაო კომიტეტის სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგემ ამხ. უსტიაშვილმა პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე.

შეკითხვებზე პასუხის გაცემით დამთავრდა ყრილობის მეხუთე სხდომა.

საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის

საკავშ. ცაკის ცირკულიარული წერილი

მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს

მოსკოვი, 27 სექტემბერი. მოხდა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა მომავალი საარჩევნო კამპანიის საკითხი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა ცირკულიარული წერილით მიმართა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს. ამ წერილში პრეზიდიუმი მიუთითებს იმაზე, რომ მომავალი საარჩევნო კამპანიაში აუცილებლად თავიდან აცილებულ იქნას ყველა ის ნაკლი, რომელიც შემჩნეულ იქნა 1927 წლის კამპანიის დროს. პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნას საანგარიშო კამპანიის სწორი ორგანიზაცია. ამ მიზნით საარჩევნო კამპანიის და ამომრჩეველთა კრებების ორგანიზაციის საქმეში ჩაბმულ უნდა იქნას ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მშრომელთა მასებს განსახილველად, გარდა ადგილობრივი საკითხებისა, უნდა წარედგინოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი. პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია, ყოველგვარად ხელი შეუწყოთ, რომ მშრომელთ ამ საკითხების განხილვის საშუალება მიეცეთ; ამისათვის უნდა გაფართოვდეს საარჩევნო კრებების ქსელი, ყველა გამოსადეგი სადგომი უნდა დაეთმოს კრებას და გამოყოფილ იქნან მომხსენებელნი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმი მოითხოვს, რომ არჩევნების ჩატარების დროს ადგილებზე სავსებით და სისწორით განხორციელებულ იქნას კანონმდებლობა არჩევნების შესახებ, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა მშრომელის საარჩევნო უფლებას. საბჭოების გადარჩევა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიაა. ამიტომ მთელი საარჩევნო მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეების შეკავშირებას ღარიბებს გლეხობასთან, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, და საშუალო გლეხობასთან მათი კავშირის ყოველმხრივად განმტკიცებას კულაკების და ანტისაბჭოთა ელემენტების მოსაგერიებლად.

ცაკის პრეზიდიუმი, მიაქცევს რა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების ყურადღებას იმ ამოცანებზე, რომლებიც საბჭოების არჩევნების ორგანიზაციის და წარმოების საქმეში საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დგას, წინადადებას აძლევს მათ—დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას ამ კამპანიისთვის. ამ მიზნით, პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა დაარსდეს ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები; დამუშავდეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარების გეგმა, დანიშნულ იქნას მისი შესრულების ვადები, დაწყებულ იქნას იმ პირთა სიების შედგენა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამოერთვათ, მიღებულ იქნას ზომები იმისთვის, რომ კამპანია ორგანიზაციულ-ტეხნიკურად ნორმალურად ჩატარდეს. პრეზიდიუმს, რომელიც ხაზს უსვამს მომავალ საარჩევნო კამპანიის განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას, ცენტრალურ ორგანიზაციულ ამოცანად მიაჩნია საარჩევნო მუშაობაში მთელი საბჭოთა აპარატის, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მთელი საბჭოთა აქტივის ჩაბმა. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ ამ დირექტივების განსამარტებლად და განსავითარებლად დაამუშაონ დირექტიული მითითებანი საბჭოებისა და აღმასკომებისათვის. (ადს).

—:—

ცენტრალური საარჩევნო კომისია

მოსკოვი, 27 სექტემბერი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ცენტრალური საარჩევნო კომისია საბჭოების გადარჩევისთვის. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ენუქიძე, წევრებად: ამხ-ბი კაგანოვიჩი, კრინიცკი, დოგადოვი, იანსონი, პოლუიანოვი; რახმანოვი; არტიუხინა, კულზეშიროვი, ვლასენკო; კუბიაკი; ზარანოვი, ხავკინი, მოსკვინი, ზაუმანი, და კისელევი. (ადს).

—:—

მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 27 სექტემბერი. მომავალ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად 5 ოქტომბრისთვის ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით მოწვეული იქნება სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ც. აღ. კომიტეტების, აღმასკომების; ქალაქის საბჭოების და სოფლის საბჭოების წარმომადგენელნი. (ადს)

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილება

საბჭოების საარჩევნო კამპანიის შესახებ

მომავალი საარჩევნო კამპანია— ეს მესამე ფართო საზოგადოებრივი კამპანია— პარტიის პოლიტიკური ხაზის სისწორის შემოწმება იქნება.

გასული წლის საარჩევნო კამპანიამ გვიჩვენა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების აქტივობის თვალსაჩინო ზრდა, გააძლიერა ღარიბი გლეხობის პოზიცია სოფელში და განამტკიცა მისი ბლოკი საშუალო შეძლების გლეხობასთან, რაც ხელს უწყობდა პარტიისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გამაგრებას და კულაკების იზოლიაციას.

თანამედროვე პერიოდში, ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების გართულების პირობებში, ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ხვედრითი წონის განუწყვეტელი ზრდისა და პროლეტარული დიქტატურის გამაგრების ფონზე, მუშათა კლასს თავის გზაზე ხვდება აშკარა თუ ფარულ წინააღმდეგობა შინაური მტრის—ნეპმანი—კულაკის, „მავნებლისა" და სხვათა სახით.

მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილი ფენების ერთგვარი გამოცოცხლება აუცილებლად გამომჟღავნდება მომავალ საარჩევნო კამპანიაში მშრომელთა იმ ფენებზე გავლენისთვის ბრძოლაში, რომელნიც მუშათა კლასს მიჰყვებიან. ამიტომ მიმდინარე წელს საბჭოთა არჩევნები განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციების მხრივ (პარტიისა, პროფკავშირებისა, კომკავშირისა და სხვ.)

საარჩევნო კამპანიის წარმატებით მომზადება და ჩატარება, უპირველესად ყოვლისა, გულისხმობს შემოქმედებითი თვითკრიტიკის ტალღის გაღვივებას დაბლიდან ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფო ორგანიზმის ნაკლთა გამოსააშკარავებლად, პროლეტარული დიქტატურის „ყველა მტრის წინააღმდეგ მასიურად გასალაშქრებლად", მუშათა და გლეხთა მასების ჩასაბმელად სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაში (ინდუსტრიალიზაცია, სასოფლო- მეურნეობის კოლექტივიზაცია და სხვ.), საბჭოების, როგორც ფართო მასების პოლიტიკური აღზრდის ცენტრების, მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

იღებს რა მხედველობაში გასულ საარჩევნო კამპანიის გამოცდილებას და იმ ამოცანებს, რომელნიც დგანან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ- კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს რესპუბლიკათა კომპარტიების (ბ) ცენტრალურ, საოლქო, სამაზრო და დედაქალაქების კომიტეტებს:

1. გულდასმით და თავის დროზე დაამუშავონ საარჩევნო კამპანიის ყველა ტეხნიკური საკითხი და მისცენ ადგილებს საკმარისი ვადა არჩევნებს მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად.

2. მიაქციონ მეტად სერიოზული ყურადღება საარჩევნო კომისიების პერსონალურ შერჩევას, სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას საარჩევნო კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში. პერიოდულად მოისმინონ კომიტეტებში ინფორმაცია არჩევნების მსვლელობის შესახებ და დაუყოვნებლივ, კამპანიის დასრულებამდე და მისი საერთო შეფასებამდე, გამოასწორონ შემჩნეული დეფექტები.

3. მაქსიმალურად ჩააბან საარჩევნო კამპანიაში საარჩევნო ხმის მქონე მოსახლეობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ არჩევნებში ჩაბმულ იქნას ამრჩეველთა უფრო ჩამორჩენილი ნაწილი, კერძოდ: ქალები, ეროვნული უმცირესობანი, მომთაბარენი და სხვ.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაციონალური უმცირესობათა რაიონებში არჩევნების ჩატარების დროს კლასობრივი ხაზის მკაფიოდ გატარებას.

5. მიიღონ გადამწყვეტი ზომები არჩევნებისადმი ფორმალური და არასერიოზული დამოკიდებულების წინააღმდეგ, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ამრჩევლებისათვის შესაძლებლობა საბჭოთა მუშაობის რაც შეიძლება ფართო კრიტიკისა, საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში დეფექტებისა, ჩვენი პოლიტიკის დამახინჯებისა, ბიუროკრატიზმისა და სხვ. გამომჟღავნებისა.

6. ფართოდ გაშალონ საბჭოს დეპუტატების საანგარიშო კამპანია წარმოებებში, დაწესებულებებში, კოლექტიურ მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, წითელ არმიის ნაწილებში და სხ., ამისთვის წინასწარ იქნას დამუშავებული როგორც წესრიგი, ისე სქემა მოხსენებისა, მაგრამ, ამასთან, უნდა უკუგდებულ იქნას ყოველივე ცდა იმ ტრაფარეტული მოხსენებების შედგენისა, რომლებიც ხატავენ შაბლონურ [illegible] სურათს.

7. უზრუნველჰყონ პროფესიონალურ კავშირების (განსაკუთრებით მიწა- ტყის მუშაკთა კავშირის) აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კამპანიის პროცესში.

8. განამტკიცონ და გააფართოვონ შარშანდელი წლის კამპანიის მიღწევები საბჭოებში ქალთა ჩაბმის საქმეში და წამოაყენონ ქალები არა მარტო საბჭოებში, არამედ საბჭოთა ხელმძღვანელ სამუშაოებზედაც.

9. სოფლად საბჭოთა არჩევნების ჩატარების დროს მტკიცედ დაიცვან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო შეძლების გლეხობასთან და დასახონ ამოცანად კულაკების სრული იზოლიაცია. წინდაწინ იქნას დამზადებული საარჩევნო უფლებებს მოკლებული პირთა სია, თან თვალყური ედევნოს, რომ ადგილი არ ექნეს ამიერ-კავკასიის ცაკის მიერ ამ საკითხის შესახებ მოცემულ სწორი დირექტივებისაგან არავითარ გადახრას არ ექნეს ადგილი.

10. ქალაქის საბჭოებში კანდიდატთა დასახელების დროს მიღებულ იქნეს მხედველობაში ამ საბჭოებში მუშური შემადგენლობის გაძლიერების საჭიროება, ამასთანავე უზრუნველყოფილი იქნას მანდატების სათანადო რიცხვი ერთგული საბჭოთა ინტელიგენციისათვის, განსაკუთრებით ტეხნიკური ინტელიგენციისათვის, რომელიც წარმოებაში დაკავშირებულია მუშათა მასებთან.

11. სოფლის საბჭოების შემადგენლობაში სოფლის მოჯამაგირეებისა, ღარიბი გლეხობისა, კოლმეურნეობათა წევრებისა და სხვ. როლის გადიდებასთან ერთად დაეთმოს ადგილების სათანადო რაოდენობა საბჭოებში საშუალო შეძლების გლეხებს და სოფლის ინტელიგენციას, განსაკუთრებით მასწავლებლობას, აგრონომებს და სხვ.

12. სოფლად საბჭოებში და აღმასრულებელ ორგანოებში კანდიდატთა დასახელების დროს ჩაბმული იქნან მუშაობაში და ასარჩევ ორგანოთა სიაში შეტანილ იქნან აქტიური და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული შევბული წითელ არმიელები.

13. საარჩევნო კამპანიის დროს, უეჭველია, ადგილი ექნება ყველა მტრულ, ანტისაბჭოთა ორგანიზაციების გამოცოცხლებას. ამიტომ პარტორგანიზაციებს, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოებს მართებთ ამ მიმართულებით სააგიტაციო- საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერება და გამომჟღავნება ანტი-საბჭოთა ელემენტების ყოველი ცდისა, რომ ჩვენი მეგობრების სახით გავიდნენ საბჭოებში.

14. არა უგვიანეს ერთი თვისა არჩევნების დაწყებამდე გაჩაღებულ იქნას ფართო სააგიტაციო კამპანია პერიოდულ პრესაში. გაშუქებულ იქნას ადგილობრივ გაზეთებში წინასწარ საანგარიშო კამპანიის მსვლელობა, დაეთმოს ადგილი კრიტიკულ შენიშვნებს, საქმიან პრაქტიკულ წინადადებებს და სხვ.

თავის დროზე იქნას გამოქვეყნებული პერიოდულ პრესაში და კედლის გაზეთებში დავალებები დეპუტატებისადმი, ამრჩეველთა კრებების რეზოლუციები თავისი დეპუტატებისა და საბჭოთა აღმასრულებელი ორგანოების მოხსენების შესახებ.

ამ დირექტივების სისწორით და თავის დროზე გატარება ცხოვრებაში უნდა უზრუნველყოფილი იქნას საბჭოთა არჩევნების კამპანიის ჩამტარებელი კადრის ყურადღებით შერჩევის გზით, კამპანიისადმი განუწყვეტელი ყურადღებით ყველა პარტიული და კომკავშირული, საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული, არმიისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ, საბჭოთა ფართო მასიური მუშაობის გაძლიერებით და დეპუტატების კავშირის გაძლიერების გზით თავის ამომრჩევლებთან.

წარსული საარჩევნო კამპანიის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთმა პარტორგანიზაციებმა საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისა და საბჭოთა დემოკრატიის პრინციპის განმტკიცების ლოზუნგი, ისე გაიგეს, როგორც კამპანიის ხელმძღვანელობაზე უარის თქმა, და ისინი ფაქტიურად ამომრჩეველთა მასებს მისდევდნენ კუდში. ამ მოვლენას გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ.

საარჩევნო კამპანიის მთელი მუშაობა, როგორიცაა: მოსამზადებელი სააგიტაციო კამპანია, საარჩევნო კომისიების შედგენა, საბჭოთა და მათ აღმასრულებელ ორგანოთა საანგარიშო კამპანია, ორგანიზაცია მუშებისა, ღარიბი გლეხებისა, ან სოფლის მოჯამაგირეებისა, საშუალო შეძლების გლეხებისა და პროფკავშირული მასების, დამუშავება და მომზადება საარჩევნო სიებისა და სხ.—უნდა სწარმოებდეს პარტიული ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით.

იმ მიზნით, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიპყრობილი იქნას საარჩევნო კამპანიაზე, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ- კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა არჩევნების პერიოდში არავითარი სხვა კამპანია არ იქნას ჩატარებული.

კამპანიის მსვლელობის შესახებ ყოველი ორი კვირის შემდეგ წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში.

საბჭოების გადარჩევა და ჩვენი ამოცანები

დეკემბრიდან დაიწყება მოსამზადებელი მუშაობა საბჭოების მომავალ არჩევნებისათვის. 1929 წლის თებერვლიდან ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე უნდა დაიწყოს თვით არჩევნები. არჩევნები უნდა დამთავრდეს მარტში, ეს საჭიროა, კერძოდ, იმიტომ, რომ არჩევნები ყველგან იქნეს დამთავრებული ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობამდე,რომლის მოწვევა განზრახულია აპრილის პირველ რიცხვებისათვის, უწროს გაზაფხულის მინდვრის მუშაობის დაწყისმა.

ეს მოსაზრებანი და აგრეთვე წინანდელი არჩევნების გამოცდილება აყენებს ჩვენს წინაშე მთელ რიგ სერიოზულ ამოცანებს.

საქმეს თუ ჩავუკვირდებით, ეს ამოცანები არსებითად არ წარმოადგენენ ახალ რამეს. პირიქით, ისინი წარსულ კამპანიის დროსაც იდგნენ ჩვენს წინაშე, მაგრამ ჩვენ მაინც ვერც შევსძელით თავიდან აგვეცილებია მრავალი დეფექტი. უნდა ვეცადოთ, რომ ამ დეფექტს მომავალ კამპანიაში აღარ ჰქონდეს ადგილი.

პირველ რიგში საჭიროა მთელი სიგრძე-სიგანით დავსვათ თვითკრიტიკის ამოცანა კამპანიის საანგარიშგებო პერიოდში. კამპანიის ამ პერიოდში საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ეხლანდელი საბჭოების მუშაობის რაც შეიძლება სრული კრიტიკის შესაძლებლობა ამომრჩეველთა ფართო მასების მხრივ. ასეთი კრიტიკის საგანს შეადგენს შემოწმება იმისა, თუ რამდენად არის შესრულებული დირექტივები, შემოწმება საბჭოების მუშაობისა ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის საქმეში, მათი მუშაობის შეფასება ადგილობრივ საჭიროებათა დაინტერესების დაკმაყოფილების საქმეში და სხვ. ამავე შედის ცალკე მუშაკთა მოქმედების შეფასება ამომრჩეველთა მასების მხრივ.

საარჩევნო კამპანიის ამ პირველ ნაწილს უნდა მიექცეს განსაკუთრებით ფხიზელი ყურადღება, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ამომრჩეველთა ინტერესის ზრდა თვით არჩევნებისადმი, ამისათვის ფრიად სასურველია არჩევნების წინა კამპანიის დროს მთელ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე გაიმართოს გლეხების კონფერენციები რაიონულ მასშტაბით. ამ კონფერენციებზე უნდა დაისვას საკითხები საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა სოფლად და აგრეთვე განხილულ იქნეს ამ უკანასკნელ ხანებში მიღებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სხვ. დარგში.

რაც შეეხება თვით არჩევნებს, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთო გაუმჯობესებისა არჩევნების გატარების ორგანიზაციისა და წესის მხრივ, აგრეთვე მიუხედავად იმ შედეგებისა, რომლებსაც მივაღწიეთ საბჭოთა მუშაობის გაცხოველების მხრივ წარსული პერიოდის განმავლობაში, ზოგ რაიონებში მაინც ჰქონდა ადგილი მთელ რიგ დეფექტებს, როგორც თვით არჩევნების ჩატარებაში, ისე საბჭოთა მუშაობაშიც.

იყო, მაგალითად, შემთხვევები შემცდარი დამოკიდებულებისა საშუალო გლეხობისადმი და ხშირად ჰქონდა ადგილი მისი ინტერესების და უფლებების ერთგვარ შებღალვას. უნდა ვეცადოთ, რომ ეხლანდელი არჩევნები ჩატარდეს საშუალო, ღარიბ და მოჯამაგირე გლეხის მჭიდრო კავშირის პირობებში, საჭიროა ჩავაბათ საბჭოებში საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილი.

ჩვენს წინაშე სდგას აგრეთვე ფრიად სერიოზული ამოცანა კანდიდატების შერჩევისა ახალი საბჭოების წევრებად. წარსულში ჩვენ გვყავდა ძლიერ ბევრი წერა-კითხვის უცოდინარი არა მარტო საბჭოების წევრთა, არამედ აღმასკომის მუშაკთა, მათ თავმჯდომარეთა და სხვა შორის, განსაკუთრებით შემთხვევით, პასიურ და ამიტომ ვადამდე შეცვლილ ელემენტებს შორის. უნდა გვახსოვდეს, რომ ამჟამად სოფლის საბჭოებს მინიჭებული აქვთ გაფართოებული უფლებები, კერძოდ მათ მიეცათ უფლება იქონიონ საკუთარი ბიუჯეტი, ამრიგად, საბჭოს მუშაობა შესამჩნევად გართულდა გლეხთა მასების გაძლიერებულ აქტივობის პირობებში, რის გამოც საკითხი კანდიდატურა საბჭოში წინასწარ უნდა იქნეს აწონილ-დაწონილი ყოველმხრივ და ყოველ ორგანიზაციაში და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი წამოყენება საარჩევნო კრებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შევბულ წითელარმიელებს,რომელნიც კარგად არიან მომზადებულნი წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს ქვედა საბჭოთა აპარატში სამუშაოდ. წარსული კამპანიის დროს ამ მხრივაც ჰქონდა ადგილი მრავალ დეფექტს.

საჭიროა აგრეთვე შევეხოთ ყოფა-ცხოვრების ნაშთების საკითხს და განვიხილოთ მათი გავლენა ქალის მონაწილეობაზე საბჭოთა მუშაობაში.

მართალია, ამ მხრივ ჩვენ უკვე მივაღწიეთ დიდ წარმატებას, ჩვენ ბევრი გვყავს ქალი—საბჭოს წევრი, საბჭოს ხელმძღვანელ ორგანოთა—პრეზიდიუმების და აღმასკომების წევრი, საბჭოს თავმჯდომარე, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და სხვ. მაგრამ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ეს შედეგები. მომავალ არჩევნებში ქალებმა უნდა მიიღონ უფრო მეტი მონაწილეობა, ქალები უნდა ამოვირჩიოთ საბჭოებში, დავაწინაუროთ პასუხისაგებ საბჭოთა მუშაობაზე. ამ მხრივ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს დიდ საარჩევნო უბნების დაყოფა წვრილ უბნებად, მუშაობის გადატანა ამომრჩეველთა მასებში, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ სოფლებისათვის, რომელნიც დიდად არიან დაშორებულნი ერთმანეთისაგან. საარჩევნო კრებების, განსაკუთრებით პირველ საარჩევნო კრებების დაახლოვება ამომრჩევლებთან, ეჭვს გარეშეა, უფრო ძლიერად მიიზიდავს თვით ამომრჩეველს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომავალ არჩევნებში ყოველმხრივ უნდა იქნეს დაცული ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები. ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები უნდა შევიყვანოთ საარჩევნო კომისიებში და უზრუნველვყოთ მათი მონაწილეობა საბჭოებში.

ასეთია მომავალი საარჩევნო კამპანიის მთავარი ამოცანები. აქედან გამომდინარეობენ პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირების და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ამოცანებიც სოფლად.

მათ ყველამ უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელ კამპანიაში. ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ღარიბებს გლეხობის მიზანშეწონილად მოწყობილი კრებები, სადაც უნდა სწარმოებდეს წინანდელი საბჭოს მოქმედების ძლიერი კრიტიკა და ახალი საბჭოში წამოყენებულ კანდიდატების შეფასება, ვინაიდან მხოლოდ ღარიბების გლეხობის გამოსვლა მთლიანი ფრონტით, პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით და მჭიდრო კავშირით საშუალო გლეხთან. დაუხშოს კარი საბჭოებში კულაკურ და კულაკების გავლენის ქვეშ მყოფ ელემენტებს.

კერძოდ პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო კომისიების სწორ ორგანიზაციისა და თვით კამპანიის ხელმძღვანელობის საქმეს. წარსულში ამ საქმეს არ ჰქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება იმ მოსაზრებით, რომ „ჩვენში უკვე გამეფდა ნამდვილი საბჭოთა დემოკრატია"-ო. ეს შემცდარი მოსაზრება, რადგანაც ხელმძღვანელობის შესუსტების შედეგად საარჩევნო კომისიებში და შემდეგ თვით საბჭოებში ახერხებენ შეპარვას კულაკური ელემენტები. ბრძოლა მათ წინააღმდეგ და საშუალო და ღარიბებს გლეხთა ჩაბმა კამპანიაში წარმოადგენს პარტიისა და კომკავშირის უჯრედების აუცილებელ ამოცანას სოფლად.

პროფკავშირულ ორგანიზაციათა და განსაკუთრებით მიწისა და ტყის მუშაკთა კავშირის ამოცანას შეადგენს სოფლის მოჯამაგირეების ჩაბმა არჩევნების კამპანიაში. წინანდელ არჩევნებში მათი მონაწილეობა აშკარად სუსტი იყო. აქ, ეჭვს გარეშეა, თავი იჩინა დამქირავებელთა ძალდატანებამ მოჯამაგირეების მიმართ, მაგრამ უფრო მეტად ეს გამოწვეული იყო თვით კავშირის სუსტი მუშაობით სოფლის მოჯამაგირეების ჩაბმისა და მათ წინაშე მდგომ ამოცანების განმარტების საქმეში. ჩაბან სოფლის მოჯამაგირეები არჩევნებში, გამოაყოფინოს მათ თავის წრიდან ყველაზე აქტიურ ელემენტების კანდიდატურა— ეს მიწისა და ტყის მუშაკთა კავშირის ამოცანა.

ბოლოს, ისე, როგორც უწინ, მთელი კამპანიის წარმატებისათვის სოფლად, ქალაქი უნდა დაეხმაროს სოფელს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქალაქის მუშათა, განსაკუთრებით დაზგის მომუშავეთა, პროლეტარული კულტურისა და იდეოლოგიის წარმომადგენელთა და გამტარებელთა მიმაგრება სოფელზე არჩევნების კამპანიის განმავლობაში. მათი მონაწილეობა კამპანიაში ერთი მხრივ უზრუნველჰყოფს არჩევნების წესიერ მსვლელობას, წარმატებას კულაკთან, ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და სხვ. ბრძოლაში და მეორე მხრივ ხელს შეუწყობს ახალ საბჭოთა მომავალ მუშაობის წარმატებასაც.

ცალკე უნდა გამოიყოს საკითხი ამომრჩეველთა მიერ ახალ საბჭოებისათვის მიცემულ დირექტივების შესახებ, ამ დირექტივების დამუშავების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა მუშაობის შემდგომ გაცხოველებას, სოფლის საჭიროებებს, სოფლის მშენებლობას, სანიტარიას, განათლებას, კოოპერაციის და განსაკუთრებით კოლექტიურ მეურნეობათა, ამხანაგობათა, კომუნებისა და სხვ. განმტკიცებას.

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მომენტს— საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად გარჩევა გლეხების იმ განცხადებებისა, რომელნიც შეეხებიან არჩევნებს, და სწრაფი პასუხის მიცემა ამ განცხადებებზე. წინად გლეხები იღებდნენ პასუხს არა არჩევნების დროს ან არჩევნებამდე, არამედ არჩევნების შემდეგ, რასაც მოსდევდა შეცდომები და უკმაყოფილება. ამას ადგილი აღარ უნდა ექნეს მომავალ არჩევნებში.

თავის-თავად ცხადია, რომ დიდი როლი შეუძლია ითამაშოს არჩევნებში ჩვენს საბჭოთა პრესას. ჩვენმა, განსაკუთრებით საგლეხო გაზეთებმა გაიკვლიოს გზა ამიერ-კავკასიის უაღრესად მიყრუებულ კუთხეებში. გლეხები შეიჩვიენ მათ და ყურს უგდებენ მათ სიტყვას, წარსულ არჩევნების დროს პრესის მონაწილეობა ალაგ-ალაგ სუსტი იყო.

საჭიროა, რომ ტეხნიკურ გაზეთების მსგავსად, რომელნიც უკვე აშუქებენ საარჩევნო კამპანიის საკითხებს, ეხლავე და რაც შეიძლება აქტიურად მიუდგეს მათ ამიერ-კავკასიის პრესაც. ეს ამოცანა თანასწორად ეხება როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკანურ და საოლქო გაზეთებსაც.

აი ის ძირითადი ამოცანები, რომელნიც სდგანან, ჩვენის აზრით, მომავალი საარჩევნო კამპანიის წინაშე. მათ სწორ გადაჭრაზე დამოკიდებულია არჩევნების წარმატებით მსვლელობა და საბჭოების მუშაობის წარმატებაც მომავალში. ხოლო ამაზე კი თავის მხრივ დამოკიდებულია საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება სოფლად და სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარება ამიერ-კავკასიაში. **ი. ტაგიევი.**

მიმდინარე მომენტი და პრესა

ამხ. მოლოტოვის მოხსენება რედაქტორების სრულიად საკავშირო თათბირზე

პრესა და პარტიის ლოზუნგები

მოსკოვი, 26 სექტემბერი. გაზეთების რედაქტორთა დღევანდელი თათბირი სრულიად მომწიფებული საქმეა. პრესამ და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენმა გაზეთებმა მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს მთელი პარტიის მუშაობაში და მთელ სოციალისტურ მშენებლობაში. რედაქტორების უკანასკნელი თათბირი მოხდა 1925 წელს. ამ წელთან შედარებით ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ ამ დარგში.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი როლი ითამაშა პრესამ პარტიის ძირითადი ლოზუნგის განმარტებაში—ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგისა, რომელიც მე-15 ყრილობის შემდეგ ცენტრალურ ლოზუნგად გადაიქცა. დიდია პრესის როლი ისეთი ლოზუნგის პოპულიარიზაციის საქმეში, როგორიც არის კოლექტივიზაციის ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა მე-15 პარტიულმა ყრილობამ მასიური მუშაობის დღიურ ამოცანად.

პრესისა და უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გაზეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევათ დღეს, როცა ჩვენმა პარტიამ წამოაყენა ისეთი ლოზუნგები, როგორიც არის, კულტურული რევოლიუცია და თვითკრიტიკა.

თუ ადვილი გასაგებია ის, რომ პრესამ განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს კულტურული რევოლიუციის ლოზუნგის გატარების საქმეში, თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებაში ჩვენმა გაზეთებმა უკვე დაიჭირეს პირველი ადგილი. ცხადია, თვითკრიტიკა არ უნდა შეადგენდეს პრესის განსაკუთრებულ კუთვნილებას. დღევანდელ პირობებში თვითკრიტიკის ლოზუნგით გამსჭვალული უნდა იყოს მუშაობა ყოველი კომუნისტისა, ყოველი შეგნებული პროლეტარისა, რა ორგანიზაციაშიც უნდა მუშაობდეს იგი, რადგან ჩვენს ორგანოებში, პარტიულ ორგანოებშიაც კი, ჯერ კიდევ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბიუროკრატიზმს, ეგრედწოდებულ ბიუროკრატიულ გადამახინჯებებს, რომლებთან საბრძოლველადაც მოუწოდებს მუშათა მასებს თვითკრიტიკის ლოზუნგი. საჭიროა მხოლოდ გაზეთების რედაქტორთა ყრილობაზე გულახდილად ვაღიაროთ, რომ ამ ლოზუნგს თვით პრესისათვისაც აქვს ამჟამად ფრიად აქტუალური მნიშვნელობა.

დაე, დღევანდელმა თათბირმა უზრუნველჰყოს ნამდვილი ყოველმხრივი გაგება თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებისა. თათბირის მონაწილეებმა საქმის მნიშვნელობის სრული შეგნებით უნდა დასვან თავიანთ წინაშე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გატარებული ეს ლოზუნგი თვით პრესის მიმართ, კერძოდ—გაზეთების მიმართ.

თვითკრიტიკის ლოზუნგის ფართო პრაქტიკული გადაშლის ერთ-ერთ მთავარ გარანტიას წარმოადგენს ის, რომ პარტიის პოლიტიკას ყველგან მხარს უჭერენ მუშათა კლასის ფართო მასები; მხარს უჭერენ აგრეთვე არა მარტო გლეხთა და სოფლის მოჯამაგირეთა ფართო ფენები, არამედ სოფლის საშუალო მასებიც. მაგრამ მუშათა კლასისა და გლეხობის მოწინავე ფენებიც ღრმა ნდობასა და დახმარებასთან ერთად ჩვენი პოლიტიკის გატარების საქმეში, პარტია ყოველთვის აწარმოებდა თავის ორგანოთა მუშაობის შემოწმებას, აგრეთვე იმის შემოწმებას, თუ რამდენად წესიერად ტარდებიან პარტიის ღონისძიებანი, და, ახალ პირობებთან დაკავშირებით, აყენებდა ახალ და ახალ პრაქტიკულ ამოცანებს.

ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, რომელმაც დაწვრილებით გაიხილა სამეურნეო მშენებლობის უდიდესი საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ გამწვავებულ სამეურნეო სიძნელეთა ლიკვიდაციის საკითხს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წლის პირველ ნახევარში—პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფო ძირითადი ორგანოების მუშაობის შემოწმების თვალსაზრისით და ამასთან ერთად ახალი პრაქტიკულ ამოცანათა აღნუსხვის მიზნით. ივლისის პლენუმს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მუშაობა და გადაწყვეტილებანი მოითხოვენ ყურადღებით შესწავლას.

პარტიამ გადაჭრით გაილაშქრა პოლიტიკური ხაზის იმ მერყეობის წინააღმდეგ, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს მსჯელობაში იმის შესახებ, თითქოს ჩვენსა და საშუალო გლეხობას შორის გათიშვა მომხდარიყოს; გაილაშქრა აგრეთვე ეგრეთწოდებული „დათმობათა თეორიის“ წინააღმდეგ, რომელიც გულისხმობდა წვრილ-ბურჟუაზიულ სოფლისთვის დაუსრულებელ დათმობებს (იმის აღუნიშნავად, რომ პროლეტარიატს შეუძლია წავიდეს მხოლოდ ისეთ დათმობებზე, რომლებიც შეეფერებიან მის ძალებს და მისაღები არიან მისთვის) და სხვ. ამასთან ერთად პლენუმმა ერთსულოვნად წამოაყენა მრავალი ახალი პრაქტიკული ამოცანა, თანაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალ ამოცანებს მარცვლეული მეურნეობის ამაღლების საქმეში.

სამეურნეო მდგომარეობის შესახებ

წლევანდელი წლის პირველ ნახევარში სამეურნეო სიძნელეთა გამწვავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი სამეურნეო ცხოვრებისათვის. ამ სიძნელეთა გამოყენება მოისურვეს ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა, ბურჟუაზიულმა ელემენტებმა ქალაქად და სოფლად (კულაკებმა). პურის დამზადების გამწვავების პერიოდში რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა კულაკები აშკარად გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სოფლის შეძლებული კულაკური ნაწილი განსაკუთრებით ამხედრდა პურის ფასების საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა სახელმწიფოს სხვადასხვა საგანგებო ზომები უნდა მიეღო, რომ უკუექცია კულაკების იერიში და უზრუნველეყო პურის დამზადების გეგმა. საბჭოთა სახელმწიფომ მოახერხა მუშათა რაიონებისა და წითელი არმიის უზრუნველყოფა პურით. სხვადასხვა პრაქტიკული ღონისძიების წყალობით შექმნილია უფრო ხელსაყრელი პირობები პურის დამზადების ახალი კამპანიისათვის.

ახლავე, ახალი კამპანიის დასაწყისშივე, ჩვენ გვაქვს ზოგიერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ დარგში დასახული ღონისძიებანი სრულ შესაძლებლობას გვაძლევენ ისე ჩავატაროთ წელს პურის დამზადების საქმე, როგორც ც. კ.-ის ივლისის პლენუმმა დაგვისახა (საგანგებო ზომების მიუღებლად და სხვ.)

სამეურნეო სიძნელეთა გამწვავებას აუცილებლად უნდა გამოეწვია ერთგვარი შიში ჩვენი შემდგომი სამეურნეო განვითარების შესახებ. სოციალისტური მშენებლობა გვიხდება ისედაც ძნელ პირობებში, ამასთან ისეთ ქვეყანაში, სადაც გლეხობა სჭარბობს, თანმიმდევრობით გატარება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი გეზისა, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის გამომდინარეობს საერთაშორისო მდგომარეობიდან, შეუძლებელია ისე, თუ არ გადავლახავთ უდიდეს სიძნელეებს მუშათა მასების თანდათან გადიდებულ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში. ეს აზრი კიდევ უფრო მეტად შეეხება სოფელს, სადაც სოციალიზმის წარმატება აუცილებლად დაკავშირებულია კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის ერთგვარ, ზოგჯერ მეტად შესამჩნევ გაძლიერებასთან ამ სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ, რომელიც ძლევამოსილად მიიმართება წინ და თავის გავლენას უმორჩილებს ღარიბ და საშუალო გლეხების უფრო და უფრო ფართო ფენებს.

ადვილად გასაგებია, რომ სამეურნეო მშენებლობის სიძნელეთა გამწვავება იწვევს მოსახლეობის წვრილ-ბურჟუაზიული ფენების ერთგვარ რყევას და აუცილებლად გავლენას ახდენს პარტიის ზოგიერთ ნაწილებზე. ყველაფერი ეს მოითხოვს ჩვენგან, რომ გულდასმით გავითვალისწინოთ საქმის ვითარება არა მარტო მიმდინარე მომენტის თვალსაზრისით, არამედ შემდგომი პერსპექტივების თვალსაზრისითაც.

მაგრამ მიმდინარე სამ. წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და ახალი სამეურნეო წლის ზოგადად ახსნილი პერსპექტივები საბუთს გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ახალი სამეურნეო წლის განმავლობაში დიდ ნაბიჯებს გადავდგამთ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ჯერ ადრეა ლაპარაკი ახალი სამეურნეო წლის რაიმე საბოლოო გეგმების შესახებ. არსებობს მხოლოდ წინასწარი ხაზები ამ დარგში. მაგრამ განსაზღვრული ელემენტები აქ ცოტად თუ ბევრად გამორკვეულია.

ავიღოთ სახელმწიფო ბიუჯეტი. აქ წინასწარი გეგმების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენაა საჭირო, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთავარი ხაზების კვანძს. წინასწარი ვარაუდით ამ დარგში იმას გვეუბნება, რომ ახალი სამეურნეო წლიდან ბიუჯეტი გაიზრდება დაახლოვებით 15—20 პროცენტით. ბიუჯეტის ასეთი ზრდის დროსაც კი ჩვენ ვერ დავიკმაყოფილებთ ზოგიერთს უაღრესად ელემენტარულ საჭიროებას, ის კი ცხადია, რომ მომავალ წელს არსებითად შენარჩუნებული იქნება უკანასკნელი წლების ბიუჯეტის ზრდის ტემპი, რომელიც სრულიად უჩვეულოა ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის. განსაკუთრებით საჭიროა ამასთანავე იმის აღნიშვნა რომ ჩვენი ფულის (ჩერვონეცის) კურსი თავისი სიმკვიდრით ადასტურებს იმ სამეურნეო საფუძვლის სიმტკიცეს, რომელზედაც სწარმოებს საბჭოთა მშენებლობის გაძლიერება.

მრეწველობის საქმეში უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადავდგით. მიმდინარე სამეურნეო წელს მრეწველობის ზრდის ტემპი პროდუქციას გაადიდებს 22—23 პროცენტით, შიგადაშიგ ერთგვარი შეფერხების მიუხედავად. ახალი წლის განმავლობაში მოსალოდნელია, მაგალითად, მრეწველობის პროდუქციის შემდგომი წინანდებურად ზრდა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ შევანელებთ სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი საქონლის სიმცირეს. საჭირო იქნება, რომ დიდი ყურადღება მივაქციოთ თვითღირებულების შემცირებას და გავაძლიეროთ მუშაობა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, ურომლისოდაც შეუძლებელია ხელფასის შემდგომი აწევა. მომავალ წელს განსაკუთრებით ძლიერდება მრეწველობის განვითარების ტემპი, რაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეზის სწორი გატარების შედეგია.

ორიოდე სიტყვა სოფლის მეურნეობის შესახებ. სამხრეთის ზოგიერთი რაიონის, მეტადრე უკრაინის სამხრეთის მიმართ, უნდა აღვნიშნოთ მეტის-მეტად არა ხელსაყრელი მდგომარეობა. ოდესიდან მელიტოპოლამდე უმნიშვნელოვანესი რაიონები დიდად დაზარალდნენ გვალვისაგან.

ჩვენ საერთო მოსავალს, მეტადრე ჭვავისას და ნაწილობრივ ხორბლეულისას, ნაკლებობა დაეტყობა. მიუხედავად ამისა, წელს მოსავალი შარშანდელზე ნაკლები არ იქნება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის რაიონების წყალობით (ვოლგის მხარე, ციმბირი, კაზაკსტანი). ამგვარად, ზედიზედ დაგვიდგა ოთხი მოსავლიანი წელიწადი, რაც მეტად ხელსაყრელ პირობად უნდა ჩავთვალოთ ჩვენი სამეურნეო ცხოვრებისათვის.

სათესლე მასალებით დახმარების საქმეში ფართო ღონისძიებათა მიღებით საბჭოთა ხელისუფლებამ დაანახვა სოფლის ფართო მასებს უაღრესი ყურადღება გლეხობის საჭიროებათა მიმართ (სახელმწიფომ დაახლოებით 40 მილიონი ფუთი სათესლე მასალა ასესხა სოფლის ღარიბ და საშუალო ფენებს, რაც წარსულ წლებში არასოდეს არ მომხდარა). ამ ღონისძიებას შეუძლებელია უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონდეს სოფლად. შევეხოთ ბოლოს ახალი პურის დამზადების კამპანიას. იგი შეგვიანდა სხვადასხვა მიზეზის წყალობით (ნათესების თვალსაჩინო ნაწილების დაღუპვა სამხრეთით, ცივი ზამთარი ცენტრალურ რაიონში და სხვა). მაგრამ პურის დამზადების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. პურის დამზადების ზრდის ტემპი ამჟამად არ ჩამორჩება წარსულ წლებს, როდესაც პირველ თვეებში პურის დამზადება სრულიად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. მეტიც: უკანასკნელმა ხუთდღეულმა სექტემბერში დაგვანახვა არა მარტო თვალსაჩინო ზრდა წინახუთდღეულებთან შედარებით, არამედ იგი თავისი შედეგით (18 მილიონ ფუთზე მეტი) აღემატება შარშანდელი წლის სექტემბრის ყოველ ხუთდღეულს (შარშანდელი სექტემბრის უდიდესმა ხუთდღეულმა მოგვცა 17,2 მილიონი ფუთი) და საერთოდ წარსული წლების სექტემბრის ყოველ ხუთდღეულს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პურის დამზადების მთელი კამპანია სავსებით უზრუნველყოფილია. ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ კმაყოფილებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ამ წლის პირველ თვეებში პურის დამზადების კამპანიის მსვლელობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა სისწორე არსებითად დადასტურებულია და შემდგომი შეუფერხებელი მუშაობით ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ამ ფრონტზე მთავარი ჩვენი პოზიციები. ჩვენ განთავისუფლებას ვიწყებთ სამეურნეო სიძნელეთა გამწვავებისაგან.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს წრეში აღარ არიან მოწუწუნე კომუნისტები, რომელთაც დღემდე არ სურთ შენიშნონ, რომ პურის დამზადების საქმეში აშკარა გარდატეხა მოხდა, რომელიც ახლა მთელი ჩვენი ძალღონით უნდა განვამტკიცოთ პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

წუწუნს იმ სიძნელეთა გამო, რომლებიც გზაზე ხვდება სოციალისტური რევოლიუციის ძალების შეუფერხებელ გადიდებას, პარტიამ ც. კ.—ის უკანასკნელი პლენუმის ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებებში დაუპირისპირა ბრძოლის პრაქტიკული ზომები ამ სიძნელეთა დასაძლევად.

როგორც სჩანს, საბჭოთა კავშირის გადაღმაც ნელ-ნელა ხვდებიან, რომ უნიადაგოა და არაკეთილსინდისიერი იმფორმაცია საბჭოთა კავშირის სამეურნეო სიძნელეთა დაუძლევლობის შესახებ, თუმცა სულ უკანასკნელ დღეებამდე ამ უხეირო ინფორმაციით პირდაპირ გაჟღენთილი იყო იმპერიალისტური და, სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატიული პრესაც.

ჩვენს თვალწინ არის რამდენიმე სიმპტომი ასეთი გამოფხიზლებისა, რომელიც ხდება საბჭოთა კავშირის იმპერიალისტური მტრების გააფთრების ზრდის მიუხედავად. გერმანიის მიერ შეწყვეტილი სავაჭრო მოლაპარაკება ხელახლა იწყება გერმანიის მთავრობის თაოსნობით. ჯერ თითქოს შეჩერებულია ერთ დროს დაწყებული უცხოეთის ზოგიერთი ბანკის იერიში ჩვენი კრედიტების ხაზით. აქა-იქ ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ უცხოეთის კაპიტალისტური წრეები, მათ შორის ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც ნორმალური ურთიერთობა არა აქვთ საბჭოთა კავშირთან, ცდილობენ გააძლიერონ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან.

ასეთი ფაქტების არსებობა, უეჭველია, იმის სიმპტომია, რომ ჩვენი დაუძინებელი მტრების თავში ამჟამად უფრო სწორი წარმოდგენა იქმნება საბჭოთა კავშირის ნამდვილი სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.

რასაკვირველია, ჩვენ სრულებითაც არა ვართ უზრუნველყოფილნი, რომ ხვალ და ზეგ ამა თუ იმ ძირმომპალ იმპერიალისტურ სახელმწიფოს გაბატონებული კაპიტალისტური ჯგუფები არ ეცდებიან ხელახლა მოჰკიდონ ხელი იარაღს აშკარა ან ნახევრად აშკარა ეკონომიური ბლოკადისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ზემოქმედების ასეთი ცდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, არსებითად რომ ვთქვათ, არასოდეს არ შეუწყვეტიათ და არც შესწყვეტენ იმ დრომდე, სანამ საბოლოოდ არ დაემხობა იმპერიალიზმი, რომელიც უფრო და უფრო იხლართება თავის წინააღმდეგობათა ბადეში. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ განსაზღვრული გარდატეხა დადგა ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში წლის პირველი ნახევრის დროებითი გამწვავების შემდეგ, უკვე ერთგვარ გამოხატულებას ჰპოვებს კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირისადმი.

მით უფრო უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე მეურნეობის გაძლიერებისაკენ. მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველა ჩვენი ორგანოს—საბჭოების, კოოპერაციის, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირების და სხვა ორგანოების პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესებას.

სოციალიზმზე გადასვლა და სოფელი

ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალი ხანის პირობებში. ჩვენ ვმუშაობთ წარსულის უამრავ ნაშთებს შორის, ბურჟუაზიისა და მემამულეთა ბატონობის ნაშთებს შორის. ეს კიდევ იჩენს თავს ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაობაში, თუმცა ამ აპარატის გასაუმჯობესებლად პარტია განუწყვეტლივ მუშაობდა წარსული წლების განმავლობაში. სოციალისტური მშენებლობის უფრო და უფრო გაძლიერებულ ელემენტებთან ერთად, ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვთ რევოლიუციის წინადროის მემამულეთა და ბურჟუაზიული წყობილების საზიზღარ ნაშთებს.

თვითკრიტიკის ლოზუნგის პრაქტიკულად გადაშლა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ამჟამად იმისათვის, რომ მთელი ჩვენი ძალღონით, მასების აქტიური დახმარებით, შევუტიოთ წარსულის ნაშთებს, რომლებიც ეგოდენ ნათლად პოულობენ თავიანთ გამოხატულებას ჩვენი ორგანოების მუშაობის მრავალრიცხოვან ბიუროკრატიულ ელემენტებში. თვითკრიტიკა დაგვეხმარება აღვგავოთ სოციალიზმის გზიდან ჩვენი ქვეყნის მეშჩანურ-ბურჟუაზიული და ბატონ-ყმური წარსულის გახრწნილი ელემენტები.

ერთის მხრით, ჩვენ თვალწინ სწარმოებს პროცესი ნამდვილად სოციალისტური ელემენტების ზრდისა. ჩვენ არა თუ აღვადგინეთ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული ინდუსტრია, არამედ სწრაფად ვანვითარებთ ახალი ფაბრიკების, ქარხნებისა და ელექტრო-სადგურების მშენებლობასაც. ჩვენ ვანვითარებთ ძველ საბჭოთა მეურნეობებს და ვაწყობთ საბჭოთა ახალ მეურნეობების გიგანტიურ ქსელს. კოოპერაცია მილიონობით იპყრობს გლეხთა მეურნეობებს. ამასთან ერთად, მიუხედავად მისი მრავალი დღევანდელი დეფექტისა, კოლექტივიზაციამ უკვე მიაღწია უდიდეს პრაქტიკულ წარმატებას.

წრეულს დიდად წაიწია წინ ნათესების კონტრაქტაციის საქმემ, თუმცა აქაც აქვს ადგილი მრავალ დეფექტსა და შეცდომას. აქტუალურად დაისვა ისეთი საკითხი, როგორიც არის უშუალო კავშირის გაბმა მუშათა კოოპერაციასა (მაგალითად, მოსკოვის) და ერთ-ერთი უდიდესი პურის ოლქის (მაგალითად, ყუბანი) სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას შორის, და საკითხი მარცვლეულ ნათესების ისეთი სახის კონტრაქტაციის ინტენსიურად გავრცელებისა, რომელიც უზრუნველჰყოფს მუშათა კოოპერაციისათვის პურის წარმატებით დამზადებას, ხოლო გლეხთა კოოპერაციას გაუწევს ყოველმხრივ პროლეტარულ დახმარებას სოფლის ღარიბებს და საშუალო ფენების სამეურნეო და კულტურული აღორძინების საქმეში. წამოყენებულია აგრეთვე საკითხი უშუალო კავშირის დამყარებისა ცალკე (ვსთქვათ, სელის) ტრესტებს და ისეთ გუბერნიებს შორის, სადაც ყველაზე უფროა განვითარებული სელის წარმოება. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ პროლეტარულმა სამრეწველომ თავისი უშუალო კავშირით ადგილობრივ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სათანადო ორგანოებთან, ერთის მხრით, უკეთ უნდა უზრუნველჰყოს თავისი თავი საჭირო ნედლეულით, ხოლო მეორეს მხრით, დაეხმაროს გლეხობას სამეურნეო და კულტურული აღორძინების საქმეში.

აუარებელი მაგალითია ჩვენი ქვეყნის ნამდვილად სოციალისტური ელემენტების ღირსშესანიშნავი ზრდისა.

ამრიგად ერთის მხრით, ჩვენს წინაშე იზრდება და უფრო და უფრო ძლიერდება ნამდვილი სოციალისტური ელემენტები ხოლო მეორეს მხრით, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვეჯახებით დაბრკოლებათა ეკლიან მავთულს (ბატონყმობის ნაშთები, იარები აპარატში და სხვ.), რომელსაც სოციალიზმი განუწყვეტლივ უნდა ებრძოდეს თავისი ძლევამოსილი განვითარების გზაზე.

ყველაზე მეტ სიძნელეებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში ადგილი ჰქონდა და აქვს სოფლად. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ამისა, პროლეტარული ქალაქის მიერ სოფლის საშუალო და ღარიბ ფენებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმე სრულებით ვერ არის სათანადოდ დაყენებული. ეს დახმარება კი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს პროლეტარული ხელმძღვანელობის საქმეში გლეხთა მასების მიმართ. თუ ქალაქში კიდევ ვხვდებით. ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ბიუროკრატიული დამოკიდებულება მასებისადმი და ხელმძღვანელი ორგანოთა გახრწნა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სმოლენსკში (ფაბრიკა „კატუშკა“-ში), სოფლად თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდავთ სხვადასხვა ორგანოთა უსაზღვრო სისაძაგლეს და უკანონობას, განსაკუთრებით სოფლის ღარიბებს მოსახლეობის მიმართ. გლეხების სრული უუფლებობა მეფეთა უღელ ქვეშ მრავალი საუკუნის განმავლობაში, მასების სიბნელე და უკულტურობა, პირდაპირი გავლენა კულაკებისა, მღვდლებისა და ძველი რეჟიმის სხვა ნაშთებისა ხელისუფლებისა და კოოპერაციის ორგანოებში ჯერ კიდევ საგრძნობლად იჩენენ თავს საბჭოთა კავშირის მრავალ და მრავალ სოფლებში. ის გარემოება, რომ დღევანდელი დახმარება პროლეტარული ორგანიზაციებისა საშუალო და ღარიბებს გლეხებისა და სოფლის მოჯამაგირეთა მიმართ სრულიად არ არის დაყენებული სათანადო დონეზე, აშკარად მტკიცდება იმ სიველურისა და ძალდატანების აღმაშფოთებელი ფაქტებით, რომელთაც არ უნდა ჰქონდეთ ადგილი საბჭოთა სახელმწიფოში.

ჩვენ საკმაოდ და ზედმეტადაც მოგვეპოვება საბჭოთა ხელისუფლების კანონები, რომელნიც ეგრე კარგად უპასუხებენ სოფლის ღარიბებს და საშუალო გლეხების მოთხოვნილებებს, მაგრამ ნამდვილად ჩვენს ორგანოებს სოფლად არ ძალუძთ უზრუნველჰყონ რევოლიუციონური კანონიერების უმარტივესი მოთხოვნილებანი აღნიშნულ მასების ინტერესების დასაცავად.

ლუდორვაის საქმე

მე უნდა მოვიყვანო ისეთი ფაქტი სოფლის ცხოვრების უკულმართობისა და უკანონობის დარგიდან, რომლის დაჯერებაც თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ის ფაქტი, რომელსაც მე მოგითხრობთ, დაწვრილებითაა აღწერილი ერთ ადგილობრივ და ერთ ცენტრალურ გაზეთში.

საქმე შემდეგშია. მიმდინარე წლის ივნისის უკანასკნელ რიცხვებში ვოტიაკების ავტონომიურ ოლქში სცემეს 800 გლეხ-ვოტიაკს (მოძრაობა დარბაზში). ქალაქ იჟევსკის მახლობლად მდებარეობს სამი სოფელი: ლუდორვაი (სულ 9 ვერსის მანძილზე საოლქო ცენტრიდან), ლუძი და იუსკი. აი როგორ აღწერს „იჟევსკაია პრავდა“ (11 ივლისის ნომერში) სოფელ ლუდორვაის გლეხების ცემას:

„ოთხ საათზე სცემდნენ სკოლაში, შემდეგ გადავიდნენ ცეცხლის მქრობელთა რაზმის სადგომში. უმეტესობა მოდიოდა წყნარად და უსიტყვოდ უშვერდნენ ზურგს. სცემდნენ ყოველნაირად. ის, ვისაც მამა თეთრებმა დაუხვრიტეს, სამი დღე იწვა ცემის შემდეგ; ერთი ქალი საშინლად გაჰკიოდა, სცემდნენ 14-15 წლის ბიჭებს, თითქმის ბავშვებს. ვინც ყრილობაზე არ იყო იბარებდნენ საცემად. შემდეგ მოიფიქრეს და გადასწყვიტეს განაჩენის შედგენა, ვინც არ მოდიოდა ხელის მოსაწერად, იმასთან სახლში მიჰქონდათ; სახლში არ სცემდნენ, მიჰყავდათ ცეცხლის მქრობელთა რაზმის სადგურში. ზოგმა წინააღმდეგობა გაუწია, ვინ ცულით, ვინ თოფით“.

აი, მოკლედ თვით ცემის ამბავი. რაშია საქმე, რამ გამოიწვია ეს ფაქტი ლუდორვაის საქმე?

ცემის საბაბი, როგორც ხსნის ბევრი თვით სოფელში, იყო ის გარემოება, რომ გლეხების ნაწილმა არ შეაკეთა თავისი ღობე, რის გამოც საქონელი გადადიოდა სხვის ყანებში (ხმები: „ვინ სცემდა?“). შემდეგში დაინახავთ, როგორ მოხდა ყველაფერი ეს. როგორც გამოირკვა, სცემდნენ თვით გლეხები: ლუდორვაის გლეხებს დაუწყო ცემა ლოძის გლეხთა ჯგუფმა. ცემის წინ შეძლებულმა გლეხებმა გამართეს ტყეში თათბირი ურთიერთ შორის. სცემდნენ წინდაწინ მომარაგებული წკეპლებით. სცემეს ბევრ ისეთ გლეხს, რომელის ღობეც სულ არ საჭიროებდა შეკეთებას. ყველაზე უფრო ჯავრს იყრიდნენ ღარიბ გლეხებზე და შემდეგ საშუალო გლეხებზე. ამ მხრივ საჩივარი არ შემოსულა არც ერთი კულაკისაგან.

ასეთია ნამდვილი სარჩული სამი საბჭოთა სოფლის ღარიბებს და საშუალო გლეხთა წამებისა. ცხადია, საქმე ღობეში არაა. მიზეზი უნდა ვეძიოთ ამ საქმის კლასობრივ სარჩულში. ვოტიაკების საოლქო კომიტეტმა სპეციალური კომისიის მუშაობით ადგილობრივ გამოარკვია საქმე. „იჟევსკაია პრავდა“-ს და „ბედნოტა“-ს თანამშრომლებმაც ინახულეს ის ადგილები. გაზეთი და ვოტიაკების ოლქის ხელმძღვანელი ორგანოები არსებითად ერთნაირად აფასებენ ამ ფაქტის ნამდვილ მიზეზებს. უფრო დაწვრილებით არის აღწერილი ამ ფაქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სოფელ ლუდორვაის, სადაც 193 კომლი სცხოვრობს (ათას სულამდე). აქედან ნაცემია 150 გლეხი. ამ სოფელში განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში საშინლად გამწვავდა მიწის სარგებლობის საკითხი. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, თუ მივიღებთ „იჟევსკაია პრავდა“-ს შემდეგ მოსაზრებას სოფელ ლუდორვაის შესახებ:

„მიწის ხელახლად დანაწილება არ მომხდარა 46 წლის განმავლობაში. მიწა დანაწილებულია სულთა მიხედვით. გარდა ამისა, შეძლებულ გლეხობას აქვს გადამალული, როგორც ერთმა სთქვა, ბაბუისდროინდელი მიწა, ანდერძით მიღებული. ყველა გაუბედავ თხოვნაზე მიწის ხელახალი განაწილების შესახებ, სოფლის შეძლებული ნაწილი უპასუხებდა სხვადასხვა მუქარით. ეს მუქარა იქამდეც კი მიდიოდა, რომ ღარიბ გლეხებს ეუბნებოდნენ—მოგკლავთო. ღარიბი გლეხობა ერთგვარ ინტენსიობას იჩენდა ურთიერთ დამხმარე კომიტეტში. ეს კომიტეტი მატერიალურად არ იყო იმდენად ძლიერი, მაგრამ მისი მნიშვნელობა თვალსაჩინო იყო, რამდენადაც იგი ლეგალურად შეკრების საშუალებას იძლეოდა. სოფლის ყრილობაზე შეძლებული ელემენტების ხელმძღვანელობით ურთიერთ დამხმარე კომიტეტი დაშალეს და კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი გააძევეს სოფლის ყრილობიდან. სოფლის ზედაფენებს განსაკუთრებით აღელვებდა პურის დამზადების კამპანია.

როგორც გაზეთებში დაბეჭდილი მასალებიდან სჩანს, ღარიბი გლეხები 1924 წლიდან დაწყებული უფრო დაჟინებით და მტკიცედ სვამენ მიწის ხელმეორედ განაწილების საკითხს და იმ საკითხს, რომ გამოყოფილიყო მიწა მათი ცალკე ამხანაგობებისათვის. მაგრამ მათი ცდა რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ დამთავრდა წარმატებით საბჭოთა კანცელარიებში (სამაზრო სადგილ-მამულო სამმართველო და სხვ.); ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც კი, რომ ახალი ამხანაგობის წესდება ორჯერ დაიკარგა კანცელარიაში. წელს ამ ამხანაგობათა მოწყობის საქმე იკისრა შვებულმა წითელარმიელმა და კულტუროსანმა საშუალო გლეხმა კალინინმა. ის არის ერთერთი იმ მოწინავე ახალგაზრდა გლეხთაგან, რომლებმაც გაიარეს ერთგვარი საზოგადოებრივი სკოლა და ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით შეუძლიათ ჩაუყარონ საძირკველი ახალ საბჭოთა სოფელს. ადგილობრივმა კულაკებმა იგრძნეს, რომ რაღაც განსაკუთრებული ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა დაიცვან თავი შეკავშირებული ღარიბი და საშუალო გლეხობისაგან. ამისათვის, უფრო მზრუნველი, მუყაით მეურნეთა ინტერესების დაცვის საბაბით კულაკებმა და შეძლებულმა გლეხებმა გადასწყვიტეს, დაესაჯათ და დაეშინებინათ ღარიბი გლეხობა და აგრეთვე საშუალო გლეხები, რათა მათ უარი განეცხადებინათ ღარიბთა ამხანაგობებისათვის მიწის გამოყოფის მოთხოვნაზე და სხვა თავიანთ იმედებზე ახალი ცხოვრების შექმნის შესახებ საბჭოთა წყობილების ახალ პირობებში.

კულაკების ბატონობის, პარპაშის მრავალი საგულისხმო მაგალითი მოჰყავთ „იჟევსკაია პრავდა“-ს და „ბედნოტა“-ს. აქ ადგილი აქვს ღარიბი გლეხების აშკარად უსამართლოდ დაბეგვრას გადასახადით და გადასახადის შემსუბუქებას შეძლებული გლეხობისათვის; ადგილი აქვს კულაკების პარპაშს ადგილობრივ კოოპერაციის და საბჭოთა ორგანოებში; მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოებში არჩეული ღარიბი გლეხობა უმრავლესობას შეადგენდა, საქმეებს ფაქტიურად სწყვეტდა შეძლებულ-კულაკური ჯგუფში გლეხკომის დაშლა აქ კულაკების პირდაპირი ზეგავლენით მოხდა.

თქვენ შემეკითხებით: იყვნენ თუ არა ამ თემში კომუნისტები? საოლქო კომიტეტის კომისია თავის მოხსენებაში იუწყება, რომ სათემო პარტიულ ორგანიზაციაში აქ ირიცხება 23 წევრი და 18 კანდიდატი. ალბად, კომკავშირთა ორგანიზაციაც არსებობს. ლუდორვაის გლეხობის ცემის ამბავი სათემო კომიტეტმა არ იცოდა საოლქო კომიტეტის კომისიის ჩასვლამდე. აი, როგორ „მუშაობენ“ სოფლის ორგანიზაციის ზოგიერთი ამხანაგები.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სასოფლო საბჭომ და სათემო აღმასკომმა ხელი არ შეუშალა ყოფილი ნორვინის თემის გლეხების ცემას. ადგილობრივი სათემო ორგანოების ხელმძღვანელებს არავითარ შემთხვევაში არ უნდოდათ გაეგოთ, თუ რატომ იწვევს გლეხების ცემის ფაქტი პრესის და საბჭოთა ხელისუფლების მაღლამდგომი ორგანოების ასეთ ყურადღებას.

აი, თურმე როგორი ფაქტები შეიძლება მოხდეს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-11 წლის თავზე. ჩემ მიერ ნაამბობი ფაქტი, რასაკვირველია, იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ ამგვარი ფაქტების არსებობის შესაძლებლობა მოწმობს, რომ სოფლად ჯერ კიდევ ბევრ რამ დარჩა საერობო უფროსთა და სხვ. ბურჟუაზიულ-მემამულეთა ხროვის ყოფილი ბატონობის დროიდან.

საბჭოებსაც კი, რომელთა გამოცოცხლებისათვის ვმუშაობთ უკვე რამდენიმე წელიწადია, ზოგჯერ იყენებენ როგორც საფარს მათ ზურგს უკან მდგომი შეძლებულ-კულაკური ჯგუფებისათვის, ხოლო პარტიული ორგანიზაციები სოფლად ხშირად განზე დგანან და სათანადოდ არ იცავენ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინტერესებს. და რამდენი ქურდი, წურბელა, კულაკი, ვაჭარი და ძველი რეჟიმის სხვა ნაშთი შეძვრა ჩვენს ახალ საბჭოთა კოოპერატივებში სოფლად. აშკარაა, რა უდიდესი მუშაობა უნდა შეასრულოს ჩვენმა პარტიამ იმ ნამდვილი საბჭოთა მშენებლობის განმტკიცებისა და დაცვის საქმეში, რომელიც, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მიუხედავად კულაკური, მეშჩანური და ჩინოვნიკური ელემენტების ყველა წინააღმდეგობისა სახელმწიფო აპარატში და კოოპერაციაში, ფართოდ იკაფავს გზას ახალი საბჭოთა სოფლისაკენ.

ზემოდმოყვანილი ფაქტი სოფელ ლუდორვაის, ლუძის და იუსკის გლეხების ცემისა გვაკარნახებს, უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას სოფლად, რევოლიუციონური კანონიერების ნამდვილად განმტკიცებას და გლეხთა მასების კულტურული დონის აწევის ამოცანებს. ყოველსავე ამას ჩვენ წარმატებით შევასრულებთ, თუ პროლეტარული ორგანიზაციები ნამდვილად დაეხმარებიან ჩვენს ჩამორჩენილ სოფელს.

თავის-თავად ცხადია, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგის პრაქტიკულად განვითარება სოფლის პირობებში მოითხოვს—გავაძლიეროთ ყურადღება და გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა ამ მხრივ. მაგრამ ლუდორვაიში, ლუძში და იუსკში მომხდარი ფაქტები არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ გაშუქებულად. ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გავაკეთეთ ყველა ის, რაც გამომდინარეობს ლუდორვაის საქმიდან.

მართლაც, დღემდე არც ერთმა გაზეთმა არ გვაცნობა, თუ რა გაკეთდა ბოლოს და ბოლოს ლუდორვაიში, ლუძში და იუსკში იმისათვის რომ საფუძვლიანად შეცვლილიყო მდგომარეობა ამ სოფლებში? ღარიბებმა და მთელმა ღარიბთა და საშუალოთა მასამ ჩამოაშორა თუ არა ადგილობრივ ორგანოებს კულაკური ზედაფენა. მოსპო თუ არა მათ გავლენა ამ ორგანოებზე? ამაზე ჯერ კიდევ არაფერი ისმის.

უნდა ითქვას, რომ, „ბედნოტა“-ს გარდა, არც ერთი ცენტრალური გაზეთი დღემდე არ გამოეხმაურა ლუდორვაის საქმეს. ეს მაშინ, როდესაც საჭიროა ადგილობრივი ორგანოების—საბჭოების, კოოპერატივების და სხვ. და ამასთან ერთად პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საფუძვლიანად გაუმჯობესება ნამდვილად იქნას უზრუნველყოფილი ხელმძღვანელი ორგანოების ფხიზელი კონტროლისა და სათანადო ხალხის შეწყობის საშუალებით. ამ შემთხვევაში გაზეთებს დიდი სოციალისტური მნიშვნელობის საქმე შეუძლიათ შეასრულონ. მაშინ ლუდორვაის საქმე ახალ იმპულსს მისცემს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას არა მარტო ვოტიაკების ოლქში, არამედ სხვა ოლქებში და რაიონებშიაც.

თვითკრიტიკის ლოზუნგი და ბეჭდვითი სიტყვა

ლუდორვაის საქმე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბრძოლა ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის არ შეიძლება მხოლოდ ზემოდან სწარმოებდეს. ის გვიჩვენებს აგრეთვე, რომ მასების ჩაბმა ამ დეფექტებთან ბრძოლის საქმეში დღევანდლამდე სუსტად სწარმოებს.

ეს ბრძოლა უნდა სწარმოებდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა მარტო ზემოდან, არამედ ძირიდანაც. თვითკრიტიკის ლოზუნგის დედა-აზრს შეადგენს მასების ჩაბმა ჩვენი ორგანოების დეფექტებთან ბრძოლაში და ამ ბრძოლის ყოველგვარი გაძლიერება ძირიდან. თვითკრიტიკის ძირიდან განვითარების შიში, შიში იმისა რომ ჩვეულებრივ მუშა ან ღარიბი გლეხი ძალიან მაგრად ან ძალიან მკვახედ გააკრიტიკებს სათანადო პირს თუ ორგანოს, მხოლოდ ერთ-ერთი მეტად ცუდი სახეა ბიუროკრატიული მიდგომისა მასებისადმი. ამ ბიუროკრატიულ შიშს ჩვენს აპარატში სისტემატიური და ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

განა ბიუროკრატიული ელფერი არ დაჰკრავს ზოგიერთი ორგანოს დამოკიდებულებას მუშკორთა მოძრაობისადმი? ამ საქმისადმი ყურადღება უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შენელდა.

უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ „პრავდას“ მიერ მოწვეული მუშკორთა ყრილობა საგრძნობლად წინ წასწევს ამ საქმეს. თვითკრიტიკის განვითარება გულისხმობს არა მარტო მასების ჩაბმას ყველა პროლეტარული ორგანიზაციის მუშაობაში, არამედ მასების ხელახალ აღზრდასაც მათი მონაწილეობის საფუძველზე სოციალისტურ მშენებლობაში. სოციალიზმის ამოცანა არა მარტო წვრილი მეურნეობის გარდაქმნა, არამედ თვით მშრომელი მასების ხელახალი აღზრდაც, პირველ ყოვლისა მუშათა კლასის, მშრომელთა ავანგარდის სოციალისტური აღზრდა. აქედან ცხადია, თუ რა ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თვითკრიტიკის ლოზუნგს.

ალბად, ბევრი აქ დამსწრე ამხანაგი თვითკრიტიკის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა დროს ხშირად წარმოიდგენს იმ სიძნელეებს, რომლებიც წინ ეღობება ამ ლოზუნგის პრაქტიკულ განვითარებას.

უეჭველია, ასეთი სიძნელე ბევრია. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციებიც კი, იმის ნაცვლად, რომ საჭირო დახმარება გაუწიონ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს ამ საქმეში, ნაკლებად ებრძვიან ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას თვითკრიტიკისადმი. პრესის მუშაკებს და, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი გაზეთების რედაქტორებს ბევრი ამისთანა ფაქტი ეცოდინებათ. ჩვენი პრესა და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საუკეთესო გაზეთები ტყუილად არა დგანან თვითკრიტიკის ავანპოსტებზე.

მუშათა და გლეხთა მასებთან ნამდვილად დაკავშირებული გაზეთები ეხლა დიდძალ მასალას იღებენ ჩვეულებრივი მუშებისა და გლეხებისაგან, რომლებიც აკრიტიკებენ საბჭოების, კოოპერატივების, პროფკავშირების, სამეურნეო ორგანოების და თვით პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დეფექტებს. ეს მასალა უფრო და უფრო ხშირად პოულობს ბინას ჩვენს გაზეთებში. თუ ამ მასალას პრესა ფართოდ არ გამოიყენებს, შეუძლებელი იქნება თვითკრიტიკის ნამდვილი განვითარება. გაზეთების საუკეთესო მუშაკები, რომლებიც ახლა თვითკრიტიკის ავანგარდში დგანან, შემდეგაც მტკიცედ, უყოყმანოდ უნდა იდგნენ ამ სადარაჯოზე—რევოლიუციონურად, კომუნისტურად. თავიდან უნდა იქნას აცილებული ისეთი ფაქტები, როდესაც „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლები“ წარმოადგენენ გაზეთების რაღაც უცხო ნაწილს. უნდა მოვახერხოთ, რომ პარტიის ხელმძღვანელობით გაზეთები უფრო მედგრად ებრძოდნენ დეფექტებს, მარჯვედ ჰკვეთდნენ ბიუროკრატიზმის წყლულებს. იქ, სადაც ეს საჭირო იქნება, ადგილობრივ გაზეთებს დაეხმარებიან ზემდგომი პარტიული ორგანოები. მაგრამ საჭიროა, რომ გაზეთების ხელმძღვანელ მუშაკებს ყოველთვის ახსოვდეთ, რომ ისინი ასრულებენ მხოლოდ ნაწილს იმ მუშაობისას, რომელიც ჩვენში ხორციელდება პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პარტიის ხელმძღვანელობით. როგორც ვიცით, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში გაზეთების ტირაჟი ერთი ორად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი გაზეთები მაინც ვერ სწვდებიან მილიონ და მილიონ მშრომელებს. მარტო სოფლის მიყრუებულ რაიონებში კი არა, ქალაქებშიაც მშრომელთა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები უგაზეთოდ რჩებიან. ამიტომ უნდა აღვიაროთ, რომ სრულიად მოსწიფდა რაც შეიძლება უფრო პოპულიარული გაზეთის, მაგალითად, „მუშის კაპიკის“ შექმნა. საჭიროა აგრეთვე მოხერხდეს, რომ გლეხთა გაზეთი უფრო ხელმისაწვდომი გახდეს სოფლის ყველაზე მეტად ჩამორჩენილი ფენებისათვის.

გაზეთების მიმართ შესაფერი ზომების მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურული რევოლიუციის ლოზუნგის განხორციელების ამოცანებთან. კარგად ვიცით პრესის დიდი როლი სამეურნეო მშენებლობის საქმეში. ამ დარგში ვერ კმაყოფილდებოდა სოფლის მეურნეობის საჭიროება. ამიტომ ც. კ.-მა საჭიროდ სცნო ახალი დიდი სასოფლო-სამეურნეო გაზეთის შექმნა. მასში უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სადგილ-მამულო ორგანოების ცენტრალურმა, მეტადრე ადგილობრივმა, მუშაკებმა და სოფელთან დაკავშირებული ყველა სახის კოოპერაციის მუშაკებმა.

რამდენიმე სიტყვა თვითკრიტიკის შესახებ თვით პრესის მიმართ. რატომ არსად არაფერი ისმის ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც პრესის ხელმძღვანელი ცენტრალური ორგანოები აკრიტიკებდნენ სხვა ცენტრალურ ორგანოებს? ადგილობრივი პრესის ორგანოების კრიტიკაც თითქმის არ არსებობს. კომუნისტური პრესის მონოპოლიური მდგომარეობის გამო კი თვითკრიტიკის უქონლობა ამ დარგში მეტის მეტად მავნებელია. კარგი იქნებოდა, რომ ამ ხაზით კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგმულიყო მარტო ცენტრში კი არა, ოლქებშიაც.

ბოლოს, საჭიროა შევეხოთ ჩვენი ინფორმაციის საქმეს, ამასთან დაკავშირებით, უმთავრესად კი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების ინფორმაციასთან დაკავშირებით, მე უნდა შევეხო ისეთ პატივცემულ დაწესებულებას, როგორიც „საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოა“ (ხმები ადგილებიდან: „გთხოვთ“).

ამ დარგში მომწიფდა თვალსაჩინო გაუმჯობესებათა საჭიროება. ჩვენს უცხოურ ინფორმაციაში ზოგჯერ შეგხვდება უაღრესად „საინტერესო“ დეტალები. მაგალითად, სააგენტო იტყობინებოდა, თუ რომელი კალმით, რომელ სამელნიდან, სახელდობრ რომელმა დიპლომატმა ივანემ ან კარლმა მოაწერეს ხელი იმპერიალისტი კელოგის განთქმულ (ალბად თავისი სიყალბით) პაქტსაო. ცხადია, რომ ეს აბდა-უბდა მუშებისა და გლეხებისათვის საჭირო არ არის. ბევრ უმნიშვნელო ამბავს გვატყობინებენ ჩინეთის შესახებ, ამა თუ იმ ჩინელი გენერლის ჩუანის შესახებ, მეტად დიდი ყურადღება ექცევა სულელურ ლაყბობას ყოველგვარ სოციალ-გაიძვერობსას, მაგალითად, პოლ ბონკურის ლაყბობას ერთა ლიგაში. ასეთი რამების შესახებ უფრო მოკლე ცნობებია საჭირო.

ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ ყოველს, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანს, გეზის შეცვლას ან ახალ მოვლენას ბურჟუაზიულ და, სპეციალურად, სოციალ-იმპერიალისტურ წრეებში. მეტად მცირე ყურადღება ექცევა ეკონომიური და სოციალური განვითარებას ძირითად საკითხებს საზღვარგარეთ, საკმაო ყურადღება არ ექცევა მშრომელი მასების ნამდვილი მდგომარეობის საკითხებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მოვიყვან ამასთან დაკავშირებით ერთ მაგალითს. ეხლახანს სავაჭრო-სამრეწველო გაზეთში (№ 211) გამოქვეყნდა მეტად მნიშვნელოვანი ცნობა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული მსოფლიო მეურნეობის სექციის მოხსენების შესახებ. გაზეთში მოყვანილი იყო მეტად საყურადღებო ცნობები მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობისა და სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიური განვითარების შესახებ? (მაგალითად, იაპონიისა და იტალიის მძიმე ეკონომიური დეპრესიის შესახებ, ჩრდილ. ამერ. შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში არსებულ დიდ სიძნელეთა შესახებ და სხვ.) სამწუხაროდ, სხვა გაზეთებში ამის შესახებ არაფერი არ დაბეჭდილა, არა იმიტომ, რომ მათ ფურცლებზე წინათ ყოფილიყოს დაბეჭდილი ეს ცნობები. საჭიროა გავიხსენოთ, რომ კარგი ინფორმაცია, ინფორმაცია მარქსისტული ღერძითა და მასებისადმი ბოლშევიკური ალღოთი ხშირად გვაკლია. ეს კი მეტის მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

პოლიტიკური ხაზი და პრესა

პრესის ამოცანები განისაზღვრება არა მარტო შინაგანი, არამედ საერთაშორისო მდგომარეობითაც. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კომინტერნის მეექვსე კონგრესის გადაწყვეტილებები, რომლებშიაც მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზი. მეექვსე კონგრესმა მიიღო კომინტერნის პროგრამა. ამ პროგრამაში მოცემულია პერსპექტივები კომუნიზმის ბრძოლისა კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ამასთან ერთად დახასიათებულია რეფორმიზმის განსაკუთრებული როლი კაპიტალიზმის კრიზისის თანდათანი გაღრმავების პირობებში.

კომუნიზმი, კაპიტალიზმი და რეფორმიზმი—აი სამი ძირითადი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მთავარი ყურადღება ექცევა კომინტერნის პროგრამაში. ამასთან პროგრამა აშკარავებს რეფორმიზმის როლს და უდავოდ ამტკიცებს, რომ რეფორმიზმი წარმოადგენს იმპერიალიზმის აგენტურას მუშათა კლასში. ამრიგად, მხოლოდ კომუნიზმი წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც ამჟამად უპირისპირდება კაპიტალისტური მონობის სისტემას.

მაგრამ მსოფლიო პროლეტარიატს, რომელიც უფრო და უფრო ფართო მასებით ირაზმება კომუნიზმის დროშის გარშემო, ჰყავს ძლიერი რევოლიუციონური მოკავშირე—იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული კოლონიები. კოლონიების მოსახლეობის მასები მისწრაფვიან იმპერიალისტური უღლიდან განთავისუფლებისაკენ. საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე პროგრამამ მთელი სიგრძე-სიგანით წამოაყენა პროლეტარული დიქტატურისთვის ბრძოლის ამოცანა.

პროგრამის შემდეგ კონგრესის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ძირითადი პოლიტიკური რეზოლიუცია. ამ რეზოლიუციაში კომინტერნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლას და ამასთან დაკავშირებით ბრძოლას იმ განწყობილებებსა და გადახრებთან კომპარტიის შიგნით, რომლებიც აიხსნებიან სოციალ-დემოკრატიის გავლენით ზოგიერთ კომუნისტურ ელემენტებზე.

მეექვსე კონგრესმა გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება კომპარტიის შიგნით არსებულ მემარჯვენე გადახრათა წინააღმდეგ და ამ გადახრებთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ. კონგრესის რეზოლიუციის ეს დირექტივა განსაკუთრებით გაძლიერებულია უცხოეთის ცალკე კომპარტიების მიმართ. ამასთან ერთად დირექტივა მემარჯვენე გადახრებისა და მათთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ წარმოადგენს მეექვსე კონგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასკვნას საერთოდ კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართ. ჩვენი პარტია მუშაობს განსაკუთრებულ პირობებში, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ჩვენში სოციალ-დემოკრატიის ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი ნაშთებიც კი აღარ არსებობენ. მეორეს მხრივ, იმ ქვეყანაში სადაც მოსახლეობის უმრავლესობას წვრილი ბურჟუაზია შეადგენს, არ შეიძლება არ არსებობდეს მრავალი გზა წვრილ-ბურჟუაზიული გავლენისათვის ჩვენი პარტიის ცალკე უმნიშვნელო ფენებზე. ყველას გვახსოვს ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა პარტია წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთ სახესთან—ტროცკიზმთან. ტროცკისტული ელემენტების გამოცოცხლების ახალი ცდები საჭიროდ ხდიან, რომ გაძლიერებული ყურადღება მიექცეს მათთან ბრძოლას, რომელიც უკანასკნელ დროს რამდენიმედ შესუსტდა. სამარცხვინო მარცხის შემდეგ უკვე ვერაფერი ვეღარ გაამართლებს რაიმე იმედს, რომ ჩვენს პარტიაში გაძლიერდეს ტროცკიზმის გავლენა, მაგრამ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ამ მიმართულებით ეხლა უნდა გაძლიერდეს. ტყუილად კი არ მიმართავენ ტროცკისტული ელემენტები ეხლა ისეთ ფანდებს, როგორიცაა სულელური ჭორები და ცილისწამება პარტიაზე, აგრეთვე ცრუ ხმების გავრცელება „ლიდერის“ ავადმყოფობის შესახებ. ასეთი ტროცკისტული ფანდია ჭორების გავრცელება, თითქოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არსებობს „მემარჯვენე“ და „ცენტრისტური“ ფრთა. პარტიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებები საკმაო პასუხს წარმოადგენენ ამ ჭორებსა და ცილისწამებაზე.

მაგრამ ტროცკიზმი, რომელმაც გაიძრო „მემარცხენეობის“ სამოსელი და საკმაოდ გულახდილად გადაიქცა მენშევიკურ მიმდინარეობად ოპორტუნიზმის მხოლოდ ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ჩვენს პირობებში. არ შეიძლება ანგარიშში არ გაეწიოს იმას, რომ ჩვენში ადგილი აქვს ოპორტუნისტულ განწყობილებათა სხვა სახეებსაც. ცეკას ივლისის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა ორ ფრონტზე. როგორც იმ ელემენტების წინააღმდეგ, „რომლებიც სცდილობენ დროებით მიღებულ ზომებს მუდმივი იძულებითი კურსის ხასიათი მისცენ და ამით საფრთხე შეუქმნან მუშების და გლეხობის ძირითადი მასების კავშირის საქმეს“, ისე იმ ელემენტების წინააღმდეგ, „რომლებიც წარმოადგენენ ბურჟუაზიული ტენდენციების გამოხატულებას ჩვენს ქვეყანაში, სცდილობენ გვერდი აუხვიონ ყრილობის გადაწყვეტილებებს და განავითარონ შემდგომი შეტევა კულაკებზე“. პარტიული ხაზის ასეთი გამრუდების წინააღმდეგ ჩვენ ეხლა სისტემატიურად უნდა ვიბრძოლოთ. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს შემდეგი. ჩვენს რიგებში სრულიად დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ყოველ დამოუკიდებელ აზრს და ყოველ კრიტიკულ შენიშვნას წინდაწინვე უარყოფენ, როგორც გადახრას“, „კინკლაობას“ და სხვ., როგორც ეს ცეკას ივლისის მიმართვაშია ნათქვამი. მაგრამ, მეორე მხრივ, პარტია არასოდეს არ მოითმენს, რომ მის რიგებში ვინმემ სცადოს დაიცვას ანტი-ლენინური „თეორიები“ ან ლიბერალურად მოეპყრას რომელიმე ჯგუფებს და გადახრებს გენერალური ბოლშევიკური ხაზიდან. ტროცკიზმის განადგურების შემდეგ, მისი გამოცოცხლების წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის საჭიროებასთან ერთად, პარტიის წინაშე ის ამოცანა სდგას, რომ გაძლიერებულ იქნას ბრძოლა სხვა მერყეობის, უწინარეს ყოვლისა, აშკარა და ფარული ოპორტუნისტული მერყეობის, წინააღმდეგ. ეს მთლიანად გამომდინარეობს მეექვსე კონგრესის გადაწყვეტილებიდან; კონგრესს საჭიროდ მიაჩნია ბრძოლის გაძლიერება სწორედ მემარჯვენე გადახრათა წინააღმდეგ. პარტიას მკვიდრი ბაზა აქვს მუშაობისათვის მიმდინარე მომენტის პირობებში, ეს ბაზაა—მეთხუთმეტე ყრილობის გადაწყვეტილება და პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემდგომი გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე პარტია უკუაგდებს ყოველგვარ მერყეობას და ყოველგვარ გადახრას მარჯვნივ თუ მარცხნივ და მტკიცედ, ნერვიულობის გარეშე, განაგრძობს თავის მუშაობას. ოპორტუნისტულ გავლენათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და მეექვსე ფუძველზე პარტია ამაგრებს თავის მასებს კონგრესის მიერ მოცემულ დირექტივების საფუძველზე პარტია ამაგრებს თავის რიგებს და კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს მასებს თავისი ხელმძღვანელობით.

ყოველსავე ამაში ბეჭდვითი სიტყვა, და, კერძოდ, გაზეთები უდიდეს როლს ასრულებენ. თუ ბეჭდვითი სიტყვა უდიდეს როლს თამაშობს სოციალიზმის პრაქტიკული მშენებლობის საქმეში, კიდევ უფრო დიდია პრესის როლი კომუნისტური კადრების ჭეშმარიტად ბოლშევიკური იდეური აღზრდის საქმეში და ამასთან ერთად მუშათა კლასის ფართო მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. (მქუხარე ტაში).

საბჭ. და პარტიული პრესის ძირითადი საკითხები

ამხ. ინგულოვის მოხსენება

მოსკოვი, 26 სექტემბერი. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური პირობების გართულება,—სთქვა ამხ. ინგულოვმა—იწვევს პრესის ამოცანებისა და მისი მუშაობის მეთოდების გართულებას. პრესის ძირითადი ამოცანაა—შესძლოს მშრომელთა უაღრესად ფართო ფენების დარაზმვა პარტიის ლოზუნგების ირგვლივ და პოლიტიკურად აღზარდოს მასები ამ ლოზუნგების საფუძველზე. ამ ძირითად ამოცანას კიდევ უნდა დაემატოს ჩვენი პრესის ორი ფუნქცია. პირველი ფუნქციაა—საზოგადოებრივი პროლეტარული კონტროლის დაწესება მშენებლობის ყველა დარგზე, ე. ი. იმ მუშაობის შესრულება, რომელიც თვითკრიტიკის ლოზუნგიდან გამომდინარეობს. მეორე ფუნქციაა—მასების კულტურული აღზრდა.

უკანასკნელ წლებში ჩვენს პრესას თვალსაჩინო მიღწევები აქვს: მან უფრო საპასუხისმგებლო ადგილი დაიკავა ჩვენი მშენებლობის საერთო სისტემაში. გაძლიერდა და გაიზარდა მისი როლი პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანოების ღონისძიებათა შემზადებაში. თვითკრიტიკის დარგში პრესა სათავეში უდგას იმ მოძრაობას, რომელიც მხოლოდ ეხლა ფართოვდება.

რა დეფექტებია ჩვენი პრესის მუშაობაში? უწინარეს ყოვლისა, მან ჯერ კიდევ ვერ მოიშორა მრავალი ძველი ცუდი ტრადიცია, რომელიც ახასიათებდა პრესას წარსულ წლებში, განსაკუთრებით სამოქალაქო ომის დროს, პრესამ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ხმაურობას, ლაყბობას და საეგიტაციო განგაშს. პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ აქტიურ წინააღმდეგობას ვერ უწევს კლასობრივ მტერს, რაც პრესაში მტრული განწყობილების და იდეოლოგიის შეპარვის შესაძლებლობას ჰქმნის. პრესა საკმაო ყურადღებას ვერ აქცევს მასების ხმას, ისე ვერ აყალიბებს მასალას, რომ ამ მასალის მიხედვით პარტიის წინაშე ახალი საკითხები წამოაყენოს.

პრესას დიდი უნარი აქვს იმისათვის, რომ მასები აამოძრავოს. უკანასკნელ წლებში ამ დარგში ბევრი რამ გაკეთდა: ეწყობოდა დათვალიერებები, მიტინგები და საწარმოო კონფერენციები. მაგრამ გაზეთებმა კიდევ ვერ შესძლეს სათანადოდ განემტკიცებიათ თავიანთი გავლენა მასებზე და განევითარებიათ მასებში საზოგადოებრივი ალღო. ჩვენს პრესას არაქათს აცლის კამპანიების სიმრავლე. იმ საერთო პოლიტიკური საკითხებიდან, რომლებიც დგანან განსაზღვრულ მომენტში პარტიის წინაშე, გაზეთები ვერ ახერხებენ ძირითადი საკითხის გამოყოფას. როგორია ჩვენი პარტიის ამოცანა? პოლიტიკურად აღზარდოს მასები და ასწავლოს მათ. რის მიხედვით შეიძლება მასების აღზრდა? იმის მიხედვით, რაც დღეს ძირითადი საკითხია სოციალისტური მშენებლობისათვის. უნდა შეგვეძლოს ძირითადი პრობლემების წამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მასების გაერთიანება და დარაზმვა.

ჩვენ უკეთ ვატარებთ პრიმიტიული ხასიათის კამპანიებს—სესხების, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სხვ. კამპანიებს. უნდა ითქვას, რომ ჩვენს კამპანიებს სარჩულად უფრო ის უდევს, რომ თავბრუ დაასხან მკითხველს. ჩვენი გაზეთები კამპანიების დროს მკითხველს დალაგებით არ უხსნიან, თუ რაშია საქმე. ჩვენი კამპანიები უმთავრესად ვიწრო საეგიტაციო ხასიათს ატარებენ. მათ კი უნდა მიეცეს უფრო პროპაგანდისტური ხასიათი, დეკლარაცია კი არ არის საჭირო, არამედ მოთხრობა, ახსნა და განმარტება.

ჩვენი გაზეთების ხასიათი და შინაარსი

რევოლიუციამდე ჩვენ გვქონდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის ორი ტიპი: „პრავდა“—მებრძოლი საეგიტაციო ორგანო, და „ნაშ პუტ“, რომელიც გათვალისწინებული იყო უკვე ცოტად თუ ბევრად განვითარებული მუშა მკითხველისათვის, „ნაშ პუტ“ პროპაგანდისტული ტიპის გაზეთი იყო, ეხლანდელი ჩვენი გაზეთების უმრავლესობას მხედველობაში ისეთი მუშა ჰყავს, რომელსაც უკვე აქვს ერთგვარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აღზრდა. ეს მკითხველი მოითხოვს ფაქტებისა და მოვლენების დამშვიდებულ და გასაგებ ახსნას. ჩვენი მასიური მუშურ-გლეხური გაზეთები „ნაშ პუტ“-ის ტიპის მიხედვით უნდა ეწყობოდნენ.

როგორ არის დაყენებული ჩვენი გაზეთების განყოფილებები

ჩვენს გაზეთებში უცხოეთის ინფორმაცია უმთავრესად იწერება გაწრთვნილი დიპლომატებისათვის, ისეთი ხალხისათვის, რომელსაც კარგად აქვს შეთვისებული დიპლომატიის ყოველი წვრილმანი. ჩვენი შინაური ინფორმაცია ფორმალურია, მოსაწყენი და იმდენად ცალმხრივი, რომ მუშა მკითხველს უჭირს მისი შეთვისება. ჩვენ მარტო ინფორმაციას არ უნდა ვიძლეოდეთ, არ უნდა ვჯერდებოდეთ ოქმისებურად გადმოცემას, უნდა ჩამოვაყალიბოთ მკითხველის შეგნებაში ის, რასაც იგი გაზეთის საშუალებით სხვადასხვა სახით ღებულობს. ეს შეიძლება მეთაური წერილის საშუალებით. უკანასკნელ დროს ჩვენი მეთაური წერილი კრიზისს განიცდიდა: მასში არ იყო სიცოცხლე, ის უხეირო ლექვას წარმოადგენდა. ზოგიერთი გაზეთი ეხლაც არ ათავსებს მეთაურ წერილებს. ეს სწორი არ არის. მეთაური ხელს უწყობს ფაქტებისა და მოვლენების შეთვისებას. უნდა უარვყოთ ცუდი მეთაურები და არა საერთოდ მეთაური წერილები, რომ ოფიციალური დეპეშების გადამუშავება მკითხველის დონის მიხედვით საჭიროა, ეს აქსიომაა, მაგრამ ამ აქსიომის განმეორება ყოველ წელიწადს გვიხდება.

დიდი ნაკლი აქვს მასიურ მუშურ და გლეხურ პრესას. ეს ნაკლი მდგომარეობს თავისებურ ცხურ გადახრაში. პარტიის მეცამეტე ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია, რომ მუშური გაზეთები უნდა ასახავდნენ სოფლის საკითხებს, ხოლო მეორეს მხრივ გლეხობისათვის საინტერესო საკითხები მუშურ გაზეთში უნდა პოულობდნენ გამოხატულებას. დღემდე ეს ასე არ არის.

ჩვენს გაზეთებს მაჩანჩალობა ახასიათებს, ჩვენ უკან ვრჩებით ცხოვრებას. რაციონალიზაციის, შრომის ნაყოფიერების აწევის და შრომითი დისციპლინისათვის ბრძოლის საკითხებში მუშათა პრესას კიდევ ვერ უჭირავს ის აქტიური პოზიცია, რომელიც მას უნდა ეჭიროს. მრავალ შემთხვევაში ჩვენი გაზეთები ან სიჩუმით უვლიან გვერდს უარყოფით ფაქტებს ან კვერს უკრავენ მუშების ცალკე ჯგუფებს, რომლებიც ზოგჯერ ხელს უშლიან რაციონალიზაციის გატარებას.

გლეხურ პრესას სხვა ნაკლი აქვს: მის თვალსაჩინო ნაწილს სურს მშვიდობიანი ურთიერთობა იქონიოს კულაკებთან. ამ გაზეთებში სიტყვა „კულაკი“ თითქმის არ გვხვდება.

ეს პირდაპირ უარის თქმაა პროლეტარული პოლიტიკის გატარებაზე სოფლად. გლეხურმა პრესამ ხელი უნდა აიღოს თავისი ამოცანების ისე, გაგებაზე, თითქოს მისი დანიშნულება მხოლოდ კულტურული მუშაობაა. მან უფრო მტკიცე, უფრო გარკვეული კლასობრივი პოზიცია უნდა დაიჭიროს.

როგორია პრესის შინაპარტიული დემოკრატიის გატარების საქმეში?

ამ დარგში ერთგვარი გარდატეხა გვაქვს. გაზეთები უფრო დაუახლოვდნენ პარტიულ კომიტეტებს, უფრო აქტიურად ახდენენ გავლენას პარტიული ცხოვრების ყველა დარგზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, პრესის ეს მუშაობა ჯერ კიდევ საკმაო არაა. ჩვენ არასწორი წარმოდგენა გვაქვს პარტიული ცხოვრების განყოფილებაზე. ჩვენ გვგონია, რომ პარტიული ცხოვრების განყოფილება ის კუთხეა, სადაც იწერება, რომ ამა თუ იმ უჯრედებმა „ჩაატარა სწავლება ამდენი და ამდენი პროცენტით“: პარტიული ცხოვრების განყოფილება მისთვის გადადებული სვეტების რიცხვით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ უნდა ეხებოდეს პარტიული ცხოვრების ყველა საკითხს, თავისი ინიციატივით უნდა აყენებდეს ამა თუ იმ საკითხებს და მიაქცევდეს მათზე პარტიული ორგანოების მთავარ ყურადღებას.

შემდეგ ჩვენი გაზეთების ნაკლი ისაა, რომ ისინი შინაპარტიულ თვითკრიტიკას არ აწარმოებენ. ჩვენში არის გაზეთების ჯგუფი, რომელიც ამ მხრივ შეიძლება ნიმუშად გამოდგეს მთელი პრესისთვის, კერძოდ ცენტრალური პრესისთვისაც. ამ ჯგუფს შეადგენენ ციმბირის გაზეთები, რომლებიც გაბედულად და ინიციატივით აყენებენ შინაპარტიული თვითკრიტიკის საკითხებს. ეს, ალბად მით აიხსნება, რომ სწორედ ციმბირში აიღეს ისეთი კურსი, რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თვით პარტორგანიზაციების შეცდომების გაკრიტიკება. თვითკრიტიკა უწინარეს ყოვლისა პარტორგანიზაციებიდან უნდა დაიწყოს და განვითარდეს.

მასების კულტურული აღზრდის საკითხებს ჩვენში ყურადღება არ ექცევა. ამ მხრივ პრესა სათანადოდ ვერ აფასებს თავის მნიშვნელობას, მას შეგნებული არა აქვს, რომ ის კულტურულ - აღმზრდელობით ფაქტორს წარმოადგენს, ხოლო მუშისა და გლეხისათვის გაზეთი კულტურის მთავარი გამტარებელია. გაზეთი ყოველდღიურად აწარმოებს აღმზრდელობით მუშაობას.

ჩვენი გაზეთების სასამართლოს განყოფილებები, რომლებიც ჩვენი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნას უნდა უწყობდნენ ხელს, მეტად ცალმხრივია. ჩვენი გაზეთები ხშირად ვერ ამჩნევენ სასამართლოს ისეთ საქმეებს, რომლებიც ყველაზე უკეთ ახასიათებენ მუშათა ყოფა-ცხოვრებას.

არავინ არ ამბობს, რომ სრულებით უნდა გავაუქმოთ ჩვენს გაზეთებში თეატრის, ტექნიკის და ბიბლიოგრაფიის საკითხები, მაგრამ საჭიროა მათი გაუმჯობესება.

პრესის მასიური მუშაობა

როდესაც ვლაპარაკობთ პრესის მასიური მუშაობის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ საზოგადოებრივი და საწარმოო დათვალიერებანი, რომელიც ფართოდ გავრცელდნენ. ამ გამოძახება-მიტინგებს, რომლებიც მილიონობით აუდიტორიას ჰკრებენ, ერთი მიზანი აქვთ—დარაზმონ გაზეთების ირგვლივ მუშებისა და გლეხების ფართო მასა. მუშათა მასების აქტივობისა და კულტუროსნობის ზრდა იმას მოწმობს, რომ ეხლა დროა დაისვას საკითხი ქარხნების ნაბეჭდი გაზეთების განვითარების უზრუნველყოფის შესახებ. მხოლოდ ამ გაზეთებს სწორი პარტიული ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს, რომ ისინი ცალკე შემთხვევებში კინკლაობისა და ანტიპარტიული მუშაობის იარაღად არ გადაიქცნენ.

რა უარყოფით მოვლენებს აქვს ადგილი გაზეთების მასიური მუშაობის დარგში? უწინარეს ყოვლისა ამ საქმის ირგვლივ დიდი განგაშია. ამ განგაშის ნაცვლად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მასიური მუშაობის კონკრეტული შედეგი და განმტკიცებულ იქნას გაზეთის გავლენა მუშათა იმ ფენებზე, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაებენ. აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ჩატარებულ გადათვალიერების წყალობით მშენებლობაში მიღებული დადებითი ეფექტი. ამისათვის საჭიროა უფრო სწორად და რაციონალურად მოვაგვაროთ იმ წინადადებათა ასრულების შემოწმება, რომლებიც შემოაქვთ მუშებსა და გლეხებს დათვალიერების დროს.

საერთო დასკვნა ჩვენი მასიური მუშაობის შესახებ ასეთია: პრესამ უდიდესი ინიციატივა გამოიჩინა, ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ჯერ კიდევ ისეთი არაფერი გაკეთებულა, რაზედაც შეიძლებოდეს ყველა გაზეთს მივუთითოთ, როგორც მუშაობის სავალდებულო ფორმაზე. დათვალიერება შეიძლება ყველას ვურჩიოთ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის, უწინარეს ყოვლისა, კარგად იქნება მოწყობილი და ეს მუშაობა შეთანხმებულ იქნება ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან. თუ მიზნად კონკრეტული შედეგების მიღწევა იქნება დასახული, თუ გაზეთების ირგვლივ დარაზმული იქნებიან მასები და რაც შეიძლება ფართოდ იქნება დაკმაყოფილებული მათი ინტერესები.

საგაზეთო ქსელის ზრდის პერსპექტივები

1924 წლის იანვარში ერთი გაზეთი მოდიოდა მოზრდილი მოსახლეობის 20 სულზე, 1928 წელს ერთი გაზეთი მოდის მოზრდილი მოსახლეობის 11 სულზე. აქ დიდი წარმატება აშკარაა.

როგორ ნაწილდებიან გაზეთები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის? მთელი რიგი ცნობების მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საშუალოდ თითო გაზეთი მოდის ორ მუშაზე. ეს ფრიად კარგი ამბავია. მაგრამ, სამწუხაროდ, სოფლის მხრივ საქმე გაცილებით უფრო სუსტადაა. მეცამეტე პარტიული ყრილობა მოითხოვდა, რომ გლეხის პრესას მიეღწია 2 მილიონიან ტირაჟამდე უახლოესი წლის განმავლობაში. ამჟამად მისი ტირაჟი უდრის 1.400.00 ცალს. ყველა გაზეთის საერთო ტირაჟი სოფლად უდრის 2,5 მილიონ ცალს. ეს წარმოადგენს დაახლოვებით იმას, რასაც ჩვენ ოდესღაც ვესწრაფვებოდით—ერთი გაზეთი 10 კომლზე. მაგრამ თვით განაწილება ამ გაზეთებისა არ შეეფერება იმას, რაც ჩვენ გვინდოდა, ვინაიდან გაზეთები, ჯერ ერთი, ერთნაირად არ იკვლევენ გზას ყველა კომლში, ხოლო მეორე,—ისინი ხვდებიან დაწესებულებებში და იკარგებიან საფოსტო განყოფილებებში.

რაც შეეხება გაზეთების ქსელს, ამ უახლოეს დროში ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ მისი ზრდის ტემპი ისეთივე სწრაფი იყოს, როგორც წარსულ წლებში. ჩვენ უყურადღებოდ გვყავს დატოვებული მუშათა და გლეხთა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები. ჩვენი მუშური და გლეხური გაზეთები, რომლებიც წინად მასიურ ხასიათს ატარებდნენ, ამჟამად ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდნენ ფართო მასებისათვის.

ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა შევქმნათ მაქსიმალურად პოპულიარული მასიური გაზეთი მუშებისა და გლეხებისათვის. ასეთი გაზეთი ზომით პატარა, მოკლედ და საინტერესოდ უნდა მოგვითხრობდეს ყველაფერის შესახებ. ეს ამოცანა მეტად ძნელია და მისი წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა დიდი მუშაობა. ადგილობრივ გლეხურ გაზეთებს მხედველობაში უნდა ჰყავდეთ ჩამორჩენილი გლეხობა.

საჭიროა გავაძლიეროთ პარტიის ხელმძღვანელობა ბეჭდვითი საქმეში.

ჩვენი ხელმძღვანელობა პრესის საქმეზე ვერ არის სათანადოდ დაყენებული. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბეჭდვითი საქმის განყოფილებანი, რომელნიც ერთდროს არსებობდნენ პარტიულ კომიტეტებთან, არ იყვნენ ორგანიულად დაკავშირებულნი მათთან. ამ თვალსაზრისით ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი საქმის განყოფილების გაერთიანება ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან წარმოადგენს ზომას, მიმართულს პარტიული ხელმძღვანელობის საქმის გაუმჯობესებისაკენ. პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერების პირველ ცდას წარმოადგენს დღევანდელი თათბირი.

ეს ცდა უნდა გადაიქცეს რეგულიარულად არსებულ პრესის ხელმძღვანელ ინსტიტუტად. გაზეთების გამოკვლევას ადგილებზე ცენტრალური კომიტეტის საეგიტაციო საპროპაგანდო კომიტეტი აწარმოებს უფრო ხშირად. ფრიად სასარგებლოა გამოცდილების გაცვლა-გამოცვლაც ცალკე გაზეთებს შორის. რა თქმა უნდა, აუცილებლად საჭიროა სახელმძღვანელო დირექტივების გაცემა საერთო პრესის მეშვეობით უმეტეს შემთხვევაში ხელმძღვანელობის ადგილს ჩვენში იჭერს შემდგომი ცენზურა და რეპრესიები. ეს მეთოდები ხელმძღვანელობისა ფრიად უვარგისია.

ხელმძღვანელ კადრების შესახებ

გაზეთის ავტორიტეტისა და მისი პარტიული ხელმძღვანელის საკითხი არსებითი საკითხია პრესისათვის ხელმძღვანელობის საქმეში. რას ვხედავთ ჩვენ ამჟამად პრესის ხელმძღვანელი კადრების დარგში? გვახარებს იატაკ-ქვეშ მუშაობაში გამობრძმედილ მუშაკთა მაღალი პროცენტი—17,6 პროც. მაგრამ საკითხის ყურადღებით გაცნობის შემდეგ, გაიგებთ, რომ ეს უმთავრესად ცენტრალური გაზეთების რედაქტორები არიან. პარტიული რედაქტორების ძირითადი კადრის სტაჟი იწყება დაახლოვებით 1918—22 წლებიდან (61 პროც.) ასეთმა სტაჟმა არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ადგილობრივ პარტიულ ორგანოთა დამოკიდებულებაზე რედაქტორებთან. რედაქტორების 85 პროცენტს არა აქვს მიღებული სასკოლო და პარტიული განათლება. 78 პროცენტს აქვს 7 წელზე ნაკლები ლიტერატურული სტაჟი.

პარტიული კადრების გაუმჯობესების საკითხის დაყენებასთან ერთად, დროულია დავსვათ საკითხი ისეთი მდგომარეობის ჩამოყალიბების შესახებ, როდესაც რედაქტორი შესძლებს იკისროს მთელი პასუხისმგებლობა ამ მუშაობისათვის, რომელსაც ასრულებს იგი: რედაქტორი უნდა იყოს წევრი პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელი კოლექტივისა.

რაც შეეხება ჩვენი რედაქციების აპარატს, მათ მიმართ უნდა გამოვიტანოთ ისეთი დასკვნა, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მისი პარტიული შემადგენლობა—ეს არის დღევანდელი მომენტის ძირითადი მოთხოვნილება.

ჩვენს წინაშე, ამრიგად, სდგას სამი მთავარი ამოცანა: კლასობრივი სიფხიზლე მთელ ბეჭდვითი მუშაობაში, ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, მუშათა მასების განმტკიცება პარტიაში და კონკრეტულ დადებითი შედეგების უზრუნველყოფა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დარგში, პრესის ისეთი აპარატის შექმნა, რომელშიაც გამჯდარი იქნება „კეთილი ბოლშევიკური სისხლი“.

პარტიული ცხოვრება

მასიური მუშაობის დეფექტები

ყველასათვის ცნობილია პარტიის დირექტივები მასიური მუშაობის შესახებ. საქ. კომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ამ საკითხს და მთელი სიგრძე სიგანით წამოჭრა ის ჩვენი ორგანიზაციების წინაშე თავისი უკანასკნელი მომართვით.

უნდა ითქვას, რომ ამ მომართვისა და პარტიის სხვა დირექტივების დამუშავების შემდეგ მასიური მუშაობა ადგილებზე საგრძნობლად გაუმჯობესდა. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ეს მუშაობა უნაკლოდ სწარმოებდეს, ჯერ-ჯერობით ნაადრევი და შეუძლებელია. მასიურ მუშაობას კიდევ მრავალი ნაკლი აქვს, ბევრ უჯრედს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია ამ მუშაობის ფორმები და მეთოდები, ვერ გამოუნახავს უპარტიო მასასთან დაახლოვების გზა.

მასიური მუშაობის გაღრმავების ერთ-ერთი საშუალება უჯრედის ღია კრებების ხშირი მოწვევაა. სამწუხაროდ დღემდე უჯრედების დიდი ნაწილი ერიდება ღია სხდომების გამართვას. იმ ადგილებში კი, სადაც ღია სხდომები ხშირად ეწყობა, უპარტიოების დასწრება ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ასე მაგალითად ხაშურის დეპოში 200-ზე მეტი უპარტიო მუშაა, ამ რიცხვიდან უჯრედის ღია კრებებზე 25-30 კაცი ესწრება, ასეთივე რაოდენობა ესწრება მოძრაობის დარგის უჯრედსაც, თუმცა ხსენებულ დარგში უპარტიოების რიცხვი 800 კაცს აღემატება.

ღია კრებების დღის წესრიგი მეტ წილად ვერ არის სათანადოთ შერჩეული, ისმება სააგიტაციო, ან საერთო ხასიათის საკითხები, რაც ცხადია ვერ აინტერესებს დამსწრე უპარტიო მასას.

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგ უჯრედებში ამხანაგურად არ ეპყრობიან უპარტიოებს. ხაშურის მოძრაობის დარგის უჯრედის ღია კრებებზე ხშირად დღის წესრიგის რამდენიმე საკითხის ამოწურვის შემდეგ უპარტიოებს უცხადებენ: „ეხლა საიდუმლო საკითხები გვაქვს გასარჩევი და გთხოვთ კრება დატოვოთო“. ასეთი მიდგომით რასაკვირველია, საბოლოოდ ეკარგება უპარტიო მუშას უჯრედის სხდომაზე დასწრების ხალისი.

საერთოდ კი უპარტიო მასას უკანასკნელად დიდად აინტერესებს ღია პარტიულ კრებებზე დასწრება. ბათომის ორგანიზაციის რამდენიმე უჯრედში (ადგ. ტრანსპ. უჯრედი, მახუნცეთის უჯრ. და სხვ.) უპარტიოები აშკარად აცხადებდნენ: „ჩვენ ძლიერ გვაინტერესებს უჯრედების მუშაობა, ერთი მხრივ იმიტომ, რომ უჯრედის სხდომებზე ხშირად ირჩევა სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებითი საკითხები, მეორე მხრივ კი ჩვენ ეხლა მეტი უფლება გვეძლევა გამოვდიოთ და აშკარად გავაკრიტიკოთ წარმოებისა და ცალკე პირთა საქმიანობის ნაკლოვანებებით“.

უპარტიო მუშების ასეთი ჯანსაღი განწყობილება აუცილებლად უნდა გამოიყენონ პარტუჯრედებმა. მათ უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უპარტიოთა მონაწილეობით გამოაცოცხლონ ღია კრებების მუშაობა.

მასიური მუშაობის ძირითად ფორმას მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს კრებებიც მეტწილად უსიცოცხლოდ მუშაობენ. აქაც, როგორც უჯრედის ღია კრებებზე მთავარი ხელის შემშლელი მიზეზი დღის წესრიგის შეურჩევლობაა. კრებებზე ხშირად ისმენენ მოხსენებებს საერთაშორისო მდგომარეობაზე და სხვა „მსოფლიო მაშტაბის“ საკითხებზე, თავისი წარმოების მტკივნეული საკითხები კი ავიწყდებათ.

თუ რა შედეგს იწვევს დღის წესრიგის ასეთი შერჩევა ამაში დასარწმუნებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: გორის მაზრაში ერთ-ერთი წარმოების მუშათა საერთო კრებაზე დასმული იყო პროფესიონალური და საგიტაციო ხასიათის საკითხები. მოხსენებების გარშემო სულ სამი შეკითხვა შემოვიდა. კამათში კი არავის მიუღია მონაწილეობა. როდესაც მიმდინარე საკითხებზე გადავიდნენ, ერთმა მუშამ წამოაყენა საკითხი ხელფასის მომატება-შემცირების შესახებ. ამ საკითხმა კრება იმდენად გამოაცოცხლა, რომ კამათში 17 კაცი გამოვიდა.

ეს უბრალო მაგალითი ნათლად მოწმობს, რომ მუშურ მასას უფრო აინტერესებს წარმოების მდგომარეობის საკითხები. ჩვენც ალღო უნდა ავუღოთ ამ ინტერესს და მეტი ყურადღება მივაქციოთ ხსენებულ საკითხების გაშუქებას.

სამწუხაროდ ზოგ ადგილებში სულ წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი. ბორჯომის წარმოებათა წყლის ჩამომსხმელ განყოფილებაში უჯრედი სრულიად არ ღებულობს ზომებს იმისთვის, რომ მუშებს წარმოების მდგომარეობა გააცნოს. აქ მუშები ცალკე კომუნისტებისაგან ღებულობენ ახსნა განმარტებას, მაგრამ ეს მათ არ აკმაყოფილებს, რადგან ხმები დადის წარმოების შეკვეცის შესახებ.

ორიოდე სიტყვა საწარმოო-ეკონომიური თათბირების მუშაობაზე. ფაქტია, რომ ამ თათბირებს მრავალი მიღწევა აქვთ, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი ყურადღება მიექცეს მათ მუშაობას. ბევრ ადგილას საწ. თათბირების შემადგენლობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მაგალითად, ზესტაფონის სადგურთან არსებული საწ. კომისიის 13 წევრიდან 7 ადმინისტრაციის წარმომადგენელია. ეს იმიტომ ხდება, რომ აქ შემოღებულია საწ. კომისიის წევრთა მექანიკური დანიშვნა..

ასეთ მოვლენებს აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ, საწ. კომისიებსა და თათბირებში უნდა ჩავაბათ უპარტიო აქტივის მეტი მასა.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პროფ. სადელეგატო ინსტიტუტის მუშაობასაც.

ქ—დ.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა ქალაქის რაიკომის პლენუმი, რომელსაც უჯრედების მდივნები და შტატს გარეშე ინსტრუქტორებიც დაესწრნენ.

პირველად პლენუმმა დაამტკიცა მიმღები კომისიის ოქმები.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ცხელიშვილის მოხსენება პარტგანათლების ქსელის მოსამზადებელ მუშაობათა მსვლელობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოლიტსკოლების რიცხვი წელს 35 იქნება აყვანილი. სკოლებისათვის ბინების მიცემის საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი, ისინი მოთავსდებიან შრომის სკოლების შენობაში.

პროგრამები უკვე დამტკიცებულია, მხოლოდ ცოტათი აფერხებს საქმეს სახელმძღვანელოების დაგვიანება. ეს ნაკლიც მალე იქნება აღმოფხვრილი, რადგან საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს ახლო მომავალში მივიღებთ.

რაიონში დაარსდა ერთი მაღალი ტიპის საღამოს საბჭოთა პარტიული სკოლა, რომელსაც ყავს მუდმივი, ჯამაგირიანი ლექტორები. ამ სკოლაში მეცადინეობის მსურველთა რიცხვი 600 აღემატება, ამათგან მიღებული იქნება 250—300 კაცი.

მესამე საკითხად პლენუმმა მოისმინა ამხ. ხ. კუდრიავცევის მოხსენება პარტ-მუშაობის რაციონალიზაციის შედეგებისა და მომავალ პერსპექტივების შესახებ.

ორგანიზაციის მუშაობის რეგლამენტი—ამბობს ამხ. კუდრიავცევი,—დღემდე ვერ არის სათანადოთ გამომუშავებული. ხშირად სხდომები დაწესებულ დროზე (ორნახევარი საათი) მეტს გრძელდება. მაგალითად: მეხანძრეთა უჯრედის ბიუროს სხდომა 4 საათიდან ღამის 12 საათამდე გაგრძელდა.

არ არის მოწესრიგებული არც საკითხთა განხილვა სხვადასხვა ინსტანციებში. დირექტივა პარტდატვირთვის განაწილების შესახებ ჩვენი ორგანიზაციის მიერ შესრულებული ვერ არის. ხშირად ერთ ამხანაგს აქვს 6—8 დატვირთვა. განსაკუთრებით ძლიერ დატვირთული არიან შტატს გარეშე ინსტრუქტორები, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი, დადგენილების თანახმად ყოველგვარ დატვირთვისაგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ.

შტატგარეშე ინსტრუქტაჟი ორგანიულად უნდა იყოს დაკავშირებული რაიკომთან და იმ უჯრედთან, რომელზედაც იგი მიმაგრებულია. სამწუხაროდ დღემდე ეს ასე არ არის და უჯამაგირო ინსტრუქტორთა დიდი ნაწილიც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს.

საბარათო სისტემა, რომელიც შემოღებულია უჯრედებში გამოცდილებათა და დავალებების აღსარიცხავად, ჯერ-ჯერობით სათანადო შედეგს ვერ იძლევა.

ბიუროების მომავალი გადარჩევის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჩამოთვლილ ნაკლთა აღმოფხვრას.

ამას გარდა რაიკომმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებები პარტ-მუშაობის რაციონალიზაციის საქმის კიდევ უფრო წინ წასაწევად.

ამხ. კუდრიავცევის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეებში. საკითხის ირგვლივ რამდენიმე ამხანაგმა ილაპარაკა.

დასასრულ პლენუმმა მიიღო რეზოლუცია მოხსენების გამო.

საბჭოთა საქართველო

წერილები

მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები

(წერილი ქუთაისიდან)

თანამედროვე ხანა მასწავლებლობისაგან თხოულობს საზოგადოდ პედაგოგიურ განათლებას და თანამედროვე ცხოვრების ცოდნას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინად მასწავლებლობის უმეტესი ნაწილი არ იყო მომ. ინტუიციით, ტრაფარეტულად, მაგრამ მკვიდრ პედაგოგიურ ცოდნას მოკლებული იყო. ხშირად ხდებოდა, რომ მასწავლებელმა კარგად იცოდა ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, სიტყვიერება, მაგრამ ბავში, მისი სულისკვეთება, მიდრეკილება და მისწრაფება მან არ იცოდა. ეს საკითხი განსაკუთრებით არც წამოიჭრებოზადებული პედაგოგიურად. ის მუშაობდა ხოლმე ძველი სკოლის ცხოვრებაში, რადგანაც სკოლის ცხოვრებას მასწავლებელი და მოწაფე კი არ ქმნიდა, არამედ ცირკულიარები.

საბჭოთა ხელისუფლების დროს კი აღზრდა-განათლების საქმე სულ სხვანაირად წარმოებს. ხელისუფლება სახელმწიფო მშენებლობაში მონაწილეობისათვის იწვევს ყოველ პატიოსან მშრომელს. ამიტომ დღეს მასწავლებელი პირველად შეიქნა თავისუფალი თავის დაზგის წინ, დაინახა სიდიადე თავის შრომისა და თავის მომზადების არარაობა. მან კარგად შეიგნო, რომ თავისი პედაგოგიური მუშაობა უნდა ააშენოს ბავშის შესწავლაზე, რომ მისგან პედაგოგიკა თხოულობს თვითეულ ბავშის ინდივიდუალურად შესწავლას.

აქედან წამოიჭრა გადაუდებელი საკითხი ყოველი პედაგოგის წინაშე კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადებისა. ამ არსებითი მომზადების საჭიროებას ჯეროვან პასუხს სცემს ყოველწლივ ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილება მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების მოწყობით. წელსაც ზაფხულზე განყოფილებამ მოაწყო სოფლის ოთხწლედებისათვის ახალგაზრდა მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.

კურსებზე მეცადინეობა დაიწყო პედაგოგიურ ტეხნიკუმში ა. წ. 20 ივლისს 45 მსმენელის შემადგენლობით; კურსების მსმენელები სათანადოდ შერჩეული იყვნენ პედაგოგიურ-ხაზრიან ცხრაწლედებიდან. ისინი ყოველგვარი სასწავლო ნაწილით განყოფილების მიერ უზრუნველყოფილნი იყვნენ. სწავლას ხელმძღვანელობდნენ ქუთაისის საუკეთესო პედაგოგები. კურსებზე ასწავლიდენ პირველი საფეხურის შრომის სკოლის პროგრამების დამუშავებას, სოფლად მუშაობას, კომკავშირის და პიონერთა მოძრაობას, საზოგადო მეცნიერების, ბუნების მეტყველების, წერა-კითხვის სწავლების, მათემატიკის, სამშობლო ენის მეთოდიკებს, აღრიცხვა-აგეგმის შედგენას, სასკოლო თვითორგანიზაციის საკითხის დამუშავებას და მხარეთმცოდნეობას. კურსებზე მუშაობა სწარმოებდა ლაბორატორიული სისტემით. აუდიტორია დაყოფილი იყო პატარა ჯგუფებად და პროგრამის წლიური სქემის გამომუშავების, ტრიმესტრებად დაყოფის, კომპლექსების ჩამოყალიბების და თემებად დანაწილების შემდეგ ყოველ ჯგუფს ეძლეოდა სათანადო თემები დასამუშავებლად კონკრეტ მასალის ჩადებით, როდესაც სამუშაო შესრულდებოდა, ჯგუფი მოხსენებით წარუდგებოდა აუდიტორიას, რომელსაც ხელმძღვანელების დახმარებით შეჰქონდა შიგ კორექტივი. მსმენელები დიდი ყურადღებით და ხალისით მეცადინეობდნენ.

მეცადინეობა კურსებზე დასრულდა 20 აგვისტოს. მსმენელები კმაყოფილნი წავიდნენ სოფლად ახალგაზრდული გატაცებით და იმ ღრმა რწმენით, რომ ისინიც მხურვალე მონაწილეობის მიღებით მარქსისტულად მოაზროვნე ახალგაზრდობის აღზრდაში თავის წვლილს შეიტანენ.

მიხეილ ჩინჩალაძე.

საჭიროა მეტი სიფხიზლე

სალხინოს თემი, სენაკის მაზრა

სალხინოს თემში მოვაჭრე სევერიანე ბასილაია გამომცხვარ პურს 30 კაპეიკად ყიდის გლეხებზე. საინტერესოა იმის გამორკვევა, თუ როგორ მოახერხა ამ ჩარჩმა პურის ფქვილის მარაგის შეძენა, როდესაც ფქვილი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოების ხელშია. როგორც ირკვევა ბასილაიას ფქვილი შეძენილი აქვს იმ მარაგიდან, რომელიც ხელისუფლების მიერ გადმოგზავნილი იყო კურორტ ლებარდესათვის. თუ აგარაკს ზედმეტი ფქვილი მოეპოვებოდა, ის უნდა გადასცემოდა კოოპერაციას და არა ჩარჩ ბასილაიას, რომელიც ტყავს აძრობს გლეხობას.

საჭიროა შემდეგში მაინც მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ ადგილობრივმა ორგანოებმა, რომ სახელმწიფო მარაგიდან პურის ფქვილი კერძო ჩარჩებს არ უვარდებოდეთ ხელში. ბასილაიასთანა ჩარჩები თემში სხვებიც მოიპოვებიან, რომელთა წინააღმდეგ აუცილებელია სათანადო ზომების მიღება.

ადგილობრივი.

გამფლანგველი დაუსჯელია

სოფ. სამიქაო, სენაკის მაზრა

სოფ. სამიქაოში აბაშის სამომხმარებლო კოოპერატივს აქვს თავისი განყოფილება, რომლის ნოქრად ითვლება უჩარდა ცოტაძე. ზემოხსენებული სავაჭრო საქონლის სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას, მაგრამ ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ სავაჭროს ნოქარი ცოტაძე მრავალ ბოროტმოქმედებას არ სჩადიოდეს. უმჯობესია ამის შესახებ მოვიყვანოთ ფაქტები: გასულ წელში აბაშის კოოპერატივის სარევიზიო კომისიამ მოახდინა სამიქაოს განყოფილების რევიზია, სადაც აღმოჩნდა სამას მანეთამდე დანაკლისი. მაგრამ ნოქარს ეს გარემოება საქმის უცოდინარობად ჩაუთვალეს, პასუხისმგებლობა მოხსნეს და სამუშაოზე დასტოვეს. ამან გლეხობაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ საქმე მალე დავიწყებას მიეცა.

წელს, 11 სექტემბერს, აბაშის კოოპერატივის მიერ მივლინებულ რევიზიამ გამოარკვია, რომ ნოქარ ცოტაძეს გაუფლანგავს 857 მანეთი. ამბობენ რევიზია ზერელედ მოხდა, თორემ გაფლანგული უფრო მეტი აღმოჩნდებოდაო და ეს იმ დროს, როდესაც მთელი კოოპერატივის საქონლის ჯამი უდრის 2.088 მანეთს. გარდა ამისა, როგორც კოოპერატივის წევრებისათვის,—ისე არაწევრებისათვის საქონლის ნიხრი ცნობილი არ არის. თითო კვირის ნავაჭრი ფული ცოტაძეს სახლში უძევს, როდესაც ვაჭრობის წესით ეს აკრძალულია.

კიდევ ერთი კურიოზი. ღარიბ გლეხმა მიმართა ცოტაძეს, რომ გაეგზავნა ის აბაშაში საქონლის მოსატანად, რაშიაც ითხოვდა ორ მანეთ ნახევარს. ცოტაძემ მოსწრებულად უპასუხა: რატომ შენი ურმით უნდა მოვიტანო საქონელი. როდესაც მე ურემი და ცალი ხარი მყავს, ცალ ხარს 50 კაპ. ვიქირავებ და ორი მანეთი მე დამრჩებაო. მაგრამ რევიზიის დროს საქონლის მოსატანი თითო ურმის ქირა სამი მანეთი იანგარიშა სათანადო საბუთების წარუდგენლად.

ვფიქრობთ ამის შემდეგ მაინც სათანადო ორგანოები მიიღებენ საჭირო ზომებს სამიქაოს კოოპერატიული სავაჭროს გადასარჩენად სრული დაღუპვისაგან.

თემელი.

მოსაგვარებელი საკითხი

საყულიის თემი, ქუთ. მაზრა

საყულიის თემში სათემო დაწესებულებები ისეთ ადგილას არის მოთავსებული, რომ მათ მოსახლეობის უმრავლესობა ვერ სარგებლობს. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი 13 სექტემბერს საერთო კრებაზე. თუ ეს მდგომარეობა დროზე არ გამოსწორდა შემდეგშიაც მოსალოდნელია უკმაყოფილება.

ჯობია ძირშივე აღმოიკვეთოს ამ უკმაყოფილების მიზეზი და შესაფერის ადგილას იქნეს გადატანილი სათემო დაწესებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხობის უმრავლესობის აზრია საყულიის თემი შეუერთდეს მუხიანის თემს, რითაც საგრძნობლად შემცირდება ადმინისტრატიული ხარჯები. საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას.

ვინმე.

წერილებიდან

ს. სხვავა (რაჭა). სხვავას თემ-აღმასკომის მდივნათ ითვლება ყოფილი მღვდელი პეტრიაშვილი. ის დიდხანს იყო ქრისტეს „მოციქულად“ და ეხლა კი აღმასკომის ბეჭედს ატარებს ანაფორის ჯიბით. პეტრიაშვილი ძალზე დახელოვნებულია ცოლ-ქმარის განქორწინების საქმეში. მას მზად აქვს ამ მიზნისათვის საკუთარი კანონები. გლეხობა უკმაყოფილებას გამოსთქვამს პეტრიაშვილის საქციელით.

ალ. ხიგუა.

ს. დიდი ლილო, (თბ. მაზ.). ჩვენი სოფლის სამანქანო ამხანაგობას აქვს ტრაქტორი, რითაც პირველ რიგში უნდა სარგებლობდეს ღარიბი გლეხობა. მაგრამ ბაგრატ არსოშვილს თავისებურად ესმის ეს ანბანური ჭეშმარიტება და მიზანშეწონილად არ ამუშავებს ტრაქტორს. საჭიროა პირველ რიგში ადგილობრივი ღარიბი გლეხობის მოთხოვნილება იქნეს დაკმაყოფილებული.

მცოდნე.

ს. ლესა, (გურია). ამ სოფელში უქმობდენ რელიგიურ დღესასწაულს „ღვთის მშობლობას“. 16 სექტემბერს გლეხობამ სათანადო მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად დაადგინა აღარ იუქმონ ხსენებული დღესასწაული და ამ დღეს იმუშაონ სასოფლო გზების გასაკეთებლად. დადგენილება ეცნობა მახლობელ სოფლებს.

გ. ხულ-ძე.

ქუთაისი. 11 სექტემბერს გლეხის სახლში მოსამსახურეებმა ღამით მოიყვანეს ძალზე მთვრალი პიროვნება. გამოირკვა, რომ ეს იყო სოფ. ქვედა დიმის ოთხწლედის გამგე ვ. მაჩიტაძე. იბადება კითხვა: რა მაგალითი უნდა მისცეს მან გლეხობას და რა უნდა ასწავლოს ახალგაზრდა თაობას?

გლეხი.

მუშათა ცხოვრება

მუდამ ახალი საკითხები

წარმოების აღორძინება, სახალხო დოვლათის დაგროვება მთავარი პირობაა სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს. ყოველწლიურად იზრდება როგორც ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, ისე გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობაც. ამას მჭერმეტყველურად ადასტურებს საბჭოთა რესპუბლიკების დღევანდელი ეკონომიური და პოლიტიკური სიმტკიცე.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დიდი ენერგიისა და თანხების დახარჯვაა საჭირო, სანამ სავსებით შევსძლებთ მშრომელი მასების გაზრდილ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საქარხნო-საფაბრიკო ნაწარმოებით. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი მრეწველობის აღორძინებისათვის გადადებულ თვითეულ კაპეიკის მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ. სულ მცირედი თანხაც კი არ უნდა იხარჯებოდეს მიზანშეუწონლად, უგეგმოდ. ამასთანავე მთავარი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს ზედმეტი ხარჯების შემცირებისათვის.

სწორედ აქედან გამოდიოდა მმართველი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, როდესაც გამოაცხადა მომჭირნეობის რეჟიმი და მისი ცხოვრებაში მტკიცედ გატარება დაევალა თვითეული წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციას.

მომჭირნეობის რეჟიმის გამოცხადება არ იყო დროებითი მოვლენა, ის არ წააგავს ამა თუ იმ კამპანიის ჩატარებას. მომჭირნეობის რეჟიმი ატარებს მუდმივ ხასიათს და მისი დაცვა საჭიროა ყოველთვის და ყოველგან.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანებში მომჭირნეობის რეჟიმის აუცილებლობაზე ძალიან ცოტას ლაპარაკობენ. ამ რეჟიმის საჭიროება თითქმის გადაავიწყდა კიდეც ზოგიერთებს, ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

გუშინ ჩვენ მოვათავსეთ მუშკორ „კოლხიდელის“ პატარა შენიშვნას თბილისის დეპოს კანტორის შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დეპოს კანტორაში ყოველდღიურად ფუჭდება 10—15 თაბახი საწერი ქაღალდი, რაც გამოწვეულია რემინგტონზე მომუშავის დაბალი კვალიფიკაციით.

მართალია, ეს არ არის მაინცა და მაინც დიდი ზარალი, მაგრამ დამახასიათებელია იმის დასამტკიცებლად, თუ ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში რამდენად აქვს ჯერ კიდევ ადგილი სახალხო ქონების გაუფრთხილებლად მოპყრობას. ასეთი, და კიდევ უფრო დიდი მაგალითების მოყვანა შეიძლება წარმოების სხვა დარგებიდანაც, რაც მთლიანად აღებული უკვე შესამჩნევ ზიანს აყენებს წარმოების აღორძინებისა და სახალხო დოვლათის დაგროვების საქმეს.

პროფორგანიზაციების მოვალეობაა საწარმოო თათბირების დღის წესრიგში დასვან საკითხი მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ და მოაგონონ ადმინისტრაციას მისი უნაკლოდ ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა.

ენი.

სასადილოა, თუ გარყვნილების ბუდე?

მე-9 სამილიციო უბანში, საბჭოთა ქუჩა, № 18, სასადილო „განთიადი“ ეკუთვნის ვინმე ოქროევს. საინტერესოა, თუ საზოგადოების რომელ წრეს ემსახურება სასადილო „განთიადი“ და მისი პატრონი ოქროევი. „განთიადი“ 24 საათის განმავლობაში სავსეა ჯიბგირებით, ხულიგნებით, ლოთებით, მეტაჩე-მეეტლეებით, ფეხშიშველი მეთევზეებით და მეძავი ქალებით. გათენებამდის ისმის გარმონის და ზურნის ჰყიპინი, დოლის ბრაგუნი, გარყვნილ ფრაზებით შეთხზულ ბაიათების სიმღერა.

სასადილოს უკან არის ეზო, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად. ერთ ნაწილში მოთავსებულია ოქროევის ვითომდა ბაღი, სადაც ღამით მოქეიფე ავარები და მეძავი ქალები შეექცევა ღვინოს და შემდეგ ეწევიან გარყვნილებას.

მეორე ნაწილში სცხოვრობენ მდგმურები, რომლებიც მოწამენი არიან ყოველგვარ საზიზღარ მოქმედების. სასადილოს გვერდით ოთახი უქირავს მზარეულს, რომელიც რომ კი ქალების გასაქირავებელ პუნქტს წარმოადგენს. თვით საპირფარეშოც კი ასეთივე მოვალეობას ასრულებს აქ. მოქალაქე ოქროევი ყოველივე ამის ხელის შემწყობია.

ხშირად ლოთები და თანამედროვე ტარიელ მკლავაძეები ასტეხენ ჩხუბს მეძავ ქალებზე. არის ცემა-ტყეპა და ერთი აურ-ზაური. ამ სამ-ოთხი კვირის წინ ერთი კაციც მოკლეს ამ სასადილოში, მაგრამ ნახევარი საათიც არ დაკეტილა ის. თვით საცდელ მობილიზაციის დროსაც კი ვაჭრობდა მაგარ სასმელებით.

სასადილოს პირდაპირ არის მერვე შრომის სკოლა, რომლის მოწაფეებზე, რასაკვირველია ცუდ გავლენას ახდენს ხულიგნების თარეში და მეძავ ქალების გულშემზარავი სიცილ-ხარხარი.

საჭიროა მილიციის სამმართველომ ამ გარემოებას მიაქციოს სასწრაფო ყურადღება, რომ ამით მშვიდობიანი მოქალაქეები გადაარჩინოს ზნედაცემულ ხალხის თავგასულობას და მკლავაძეების მუქარას.

ისარი.

უმუშევარ მეჩექმეთა კოლექტივი

(წერილი თელავიდან)

1926 წელში თელავში შრომის ბირჟასთან დაარსდა უმუშევარ მეჩექმეთა კოლექტივი, რომელშიაც მუშაობდა 32 უმუშევარი. პირველ ხანებში კოლექტივის გამგედ ითვლებოდა აბელ სუქიასოვი და მუშაობაც ნაყოფიერი იყო. შემდეგ სუქიასოვს ფეხი მოტყდა სახელოსნოში და კოლექტივის გამგედ წამოყენებულ იქნა ი. სუხიტაშვილი. გასული წლის ოქტომბერში შრომის სახკომისაგან კოლექტივის მუშაობის გამოსაკვლევად ჩამოვიდა ამხ. დევიძე. აღმოჩნდა, რომ კოლექტივს მთელი ვალები დაუფარავს, როგორც კოოპერატივის, ისე სხვა პირების. ამას გარდა კოლექტივში ქონდათ შეკერილი და შეუკერავი ტყავეული 1000 მანეთის. ნაღდი მოგება 150 მან. ამის გამო შრომის სახკომმა კოლექტივს კიდევ დამატებით მისცა 800 მან. ხოლო თელავის დამზღვევ სალარომ 1000 მან.

1928 წ. აგვისტოში კოლექტივს ხელმეორედ ეწვია შრომის სახკომიდან ამხ. დევიძე. როგორც საგამოკვლევო მასალებიდან სჩანს კოლექტივში ყოფილა დიდი არევ-დარევა.

კოლექტივს უზარალნია 1500 მან. და ამას გარდა 1927 წლის პირველ ოქტომბრიდან არ გადაუხდია დარაბების ქირა (თვეში 60 მან.). არის სხვა დავალიანებაც.

კოლექტივს ქონდა გამომუშავებული კალკულიაცია და ზარალი არ უნდა ქონოდა, მაგრამ „ძაღლის თავი“ სხვაგან მარხია და საჭიროა მისი აღმოჩენა. საქმე იმაშია, რომ კოლექტივის მოანგარიშე ყოველთვიურად აგზავნიდა ანგარიშს შრომის სახკომში, სადაც აღნიშნული იყო 200—300 მან. თვიური მოგება. საკვირველია, რატომ არ მოსთხოვა ბუღჰალტერს რევიზიამ თუ საიდან გამოყავდა ეს მოგება? შრომის სახკომში ხომ არის თელავიდან გადაგზავნილი ყოველთვიური ანგარიში და იქ მაინც გადაათვალიერონ, რომ ნათლად გამოირკვეს ეს საკითხი.

ეხლა საჭიროა შევეხოთ კოლექტივში მუშების მუშაობას. საერთოთ კოლექტივის წესდებაში ნათქვამია, რომ მუშები უნდა იცვლებოდნენ სამ თვეში თუ არა, ექვს თვეში მაინც. მაგრამ აქ მეტყავეთა კავშირი რას აკეთებს? სრულიად არაფერს. მართალია საკმაო უმუშევრები არ არიან თელავში, რომ ყოველ სამ თვეში შეიცვალოს მუშები, მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც 9—10 თვეა რაც მოხსნილია კოლექტივიდან და დღესაც უმუშევრად დადიან.

არის მეორე დაუშვებელი მოვლენაც, რომელიც უფრო უწყობს ხელს უმუშევრობის გადიდებას. კოლექტივში მომუშავეთ აქვთ ნორმა, თითოს ორი წყვილი კვირაში, მაგრამ აქ პირიქით ხდება, რვა საათის განმავლობაში ისინი მუშაობენ სახელოსნოში, შემდეგ კი სახლში მიაქვთ სამუშაო და მთელი ღამე მუშაობენ, ხოლო უმუშევრები კი ქუჩაში დადიან.

ამისათვის არც შრომის ინსპექტორს მიუქცევია ყურადღება. საჭიროა ყველა ჩამოთვლილ დეფექტებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

კახეთის მოამბე.

წესიერებისაკენ მოუწოდეთ ბიუროკრატს

(სად. ჭიათურა)

ბევრჯერ იყო ცნობა გაზეთებში სადგ. ჭიათურის უფროსის ნიკოლაიშვილის შესახებ, რომ ის არის ბიუროკრატი, ცუდად ეპყრობა დაბალ თანამშრომლებს და სხვა, მაგრამ მას გამოსწორებას მაინც ბოლო არ მოეღო. შრომის კანონების დარღვევაშიც ნიკოლაიშვილი არ ჩამორჩება სხვა რომელიმე ადმინისტრატორს. ის ამუშავებს თანამშრომლებს ზედმეტ საათებს და უწერს ნორმალურ საათებს.

ამას წინად საგზაო შრომის ზემხედმა გადაათვალიერა ზედმეტი საათების მაუწყებელი, სადაც ყველაფერი შაბლონური ნაწარმოები აღმოჩნდა. ნიკოლაიშვილი კი ამ დროს საქეიფოდ ბრძანდებოდა სოფელში.

ქვრივებსაც ძალიან წყალობს ჭიათურის სადგურის უფროსი. ვინმე ეუანიას ქვრივი, კავშირის არა წევრი იყო, როდესაც საბილეთო სალაროში მოაწყო. ეხლა კი ვერა ეუანია მტკიცე შტატში აპირობს მოხვედრას. ყველა ეს ნიკოლაიშვილის წყალობაა.

მაშ რა იყო, თუ არა მის მიერ ელმეურნეობის განყოფილებასთან სჯა-ბაასი, რომ „ჩამოვალ და ეს ქალი უნდა მოვაწყოთო“.

ასეთი მოქმედებისათვის საჭიროა უბკომმა და შრომის ინსპექციამ მიიღონ ზომები ნიკოლაიშვილის წინააღმდეგ.

აკაციის ეკალი.

მუშკორთა წერილებიდან

შეიბრალეთ უდანაშაულო პირუტყვი. ყოველ დილით ეორესის ქუჩაზე გაივლის მუშკოოპის ნავთის მზიდველთა „კავალერია“. ნავთის გამყიდველები ისე მიარბენინებენ საწყალ ცხენებს, რომ შეუძლებელია შემდეგში მათი ნაყოფიერი მუშაობა. მუშკოოპის გამგეობავ, შეიბრალე უდანაშაულო პირუტყვი და პასუხი მოსთხოვე ნავთის დამტარებლებს.

მანტიორი.

ტყე

ცის კაბადონზე შავ ღრუბელმა გადაიარა
და არე-მარე შეარყია ჭექა-ქუხილით.
ტყემ შიშის ზარი მეზობელ მთებს გაუზიარა,
მეხის გავარდნის მოლოდინით, კვნესა-წუხილით.
ელექტროდენმა ტალი გაჰკრა ტან-წერწეტ მუხას,
და ლამაზ შტოებს კენწეროში კვამლი ავარდა,
ხე ბალღობიდან მიჩვეული ხან ყინვას, ხან დარს,
ფრთებ გადამწვარი წელში გატყდა და გადავარდა.
მოვიდა გლეხი იფნის სახრით, ხარით, კამეჩით,
და ხის ურემზე დაალაგა ხისავე შეშა,
ტყე მგლოვიარე ცულის პირმა აიკლო კბეჩით,
საქონლის ცოხნას შეუერთდა პატრონის ხვნეშა.
ულრანი სივრცე შეარყია თოფის გრიგალმა,
და ტყვია მიზანს დაცდენილი ვერხვის გულს მოხვდა.
ალბად ჯეირანს ვერ მიაგნო ბედის ყიალმა.
და მის სანაცვალოდ ჭანდრის მოძმე უდროოდ მოკვდა.
აგერ მახლობლად გამვლელ მგზავრთაც დაანთეს ცეცხლი,
და სულგანაბულ ჩვილ ყლორტებმა დაიწყეს თრთოლა,
ნაძვის ქოჩორი, მზის სხივებით ვერ შენავერცხლი,
მწვადის შიშინში ახრჩოლებულ ალმა შებოლა.
მდინარეებმა დაიწიეს, დააკლდათ ძალა,
გვალვამ გაჩეხილ მინდორ-ველში დაისადგურა,
ჭიამ შესჭამა შენობების ნედლი მასალა,
და შავ კალიამ მინდვრის ძღვენი გაანადგურა.
თვალი და გული დანატრულდა ჩრდილებში გავლას,
ბუნების მაღალ პოეზიის გრძნობა ირღვევა,
უფრთხილდით ხალხის ამ საერთო დოვლათს და დავლას,
თორემ საქარას მშრალ უდაბნოდ გადაიქცევა.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

პანაიტ ისტრატი ლენინის რაიონის მუშებთან

გუშინ, საღამოს, პლეხანოვის სახელობის (ნაძალადევის) მუშათა კლუბში შესდგა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მორიგი გამოსვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ცნობილმა მწერალმა პანაიტ ისტრატიმ. პლეხანოვის თეატრის ვეებერთელა დარბაზი გაჭედილი იყო მუშა-მოსამსახურეებით და ლიტერატურული ცხოვრებით დაინტერესებულ ახალგაზრდობით.

უცხოელ სტუმარს დარბაზი მხურვალე ტაშით და ოვაციებით მიეგება. ამხ. ბ. ბუაჩიძის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ სიტყვას მოხსენებისათვის ღებულობს მწერალი ისტრატი, რომელიც ამბობს:

— მთელი ჩემი ცხოვრება სულ ემიგრანტობაში და ხეტიალში გავატარე, ვყოფილვარ მრავალ ხალხებში, ვიცნობ ყველა ქვეყნებს, მაგრამ არსად ისეთი შთაბეჭდილებები არ მიმიღია, როგორც საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში. აქ ყველაფერი ხელს უწყობს მწერალს და ხელოვანს იმისათვის, რომ განავითაროს თავის შემოქმედება. პირობები, რომელიც მწერლის მუშაობისათვის შექმნილია საბჭოთა კავშირში არსებითად და რადიკალურად განსხვავდება იმ პირობებიდან, რომელშიაც უხდებათ მუშაობა კაპიტალისტური ქვეყნების პატიოსან ნიჭიერ მწერლებს.

თავის სიტყვის შემდეგ ნაწილში ისტრატი ამბობს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში დღეს ყველაფერი ფასდება მხოლოდ ოქროთი, მათ ყიდულობენ, როგორც მწერლების შემოქმედებას, ისე თვითონ მწერალსაც. ხელოვნება გადაქცეულია ვაჭრობის საგნად და ასეთ პირობებში ჭეშმარიტად ნიჭიერი მწერლებისათვის და ხელოვანთათვის ძნელი ხდება მუშაობა.

ისტრატის სიტყვის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბ. ბუაჩიძე „თანამედროვე მწერლობის ამოცანებისა და გზების შესახებ“. მოხსენების შემდეგ პროლეტარულმა მწერლებმა წაიკითხეს თავ-თავიანთი ლექსები.

სას.-სამ. მუშათა კონფერენცია

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ძამანაშვილის მოხსენების გარშემო—საქართველოს სასოფლო-მეურნეობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შესახებ, კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ პერსპექტიულ გეგმაში შესაფერისი ადგილი არ უკავია სას.-სამეურნეო მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს, მათის აზრით საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების პერსპექტივასთან მტკიცეთ იქნეს შეთანხმებული მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხიც.

ორატორების ერთი ნაწილი შეეხო მიწათმოწყობის ამოცანებს და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მიწათმოქმედების კომისარიატმა უნდა გააძლიეროს თავისი მუშაობა. აჭარისტანიდან ჩამოსულმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ აჭარისტანში დღესაც არიან ისეთი კულაკური ელემენტები, რომელთაც თავის განკარგულებაში მოეპოვებათ რამოდენიმე ათეული დესეტინა მიწა. აჭარისტანიდან ჩამოსული დელეგატები საჭიროდ სცნობენ, რათა მიწათმოქმედების კომისარიატმა ასეთ რაიონებში პირველ რიგში ჩაატაროს მიწათმოწყობა.

კამათის დროს აღნიშნეს აგრეთვე, რომ ადგილებზე სამუშაოთ არ აგზავნიან მომზადებულ და კვალიფიციურ სპეციალისტებს.

თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. ძამანაშვილმა ყველას გასცა პასუხი და აღნიშნა, რომ მას საშუალება არ ჰქონდა დაწვრილებით გაეცნო კონფერენციისათვის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა, თორემ მაშინ ყველასათვის ცხადი გახდებოდა, რომ იქ ზედმიწევნით არის გათვალისწინებული სას.-სამ. მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი.

უკანასკნელი სხდომა

სოც. დაზღვევის კომიტეტის მუშაობა

სოციალური დაზღვევის კომიტეტის მუშაობისა და მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის სოც. დაზღვევის კომიტეტის თავმჯდომარე, ამხ. ვ. ნარჩემაშვილი.

მომხსენებლის მიერ მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ამჟამად დაზღვეულთა რიცხვი უდრის 114.735 კაცს, აქედან მარტო პენსიონერთა რიცხვი შეადგენს 836 კაცს. კომიტეტმა გამოიმუშავა მოჯამაგირეების დაზღვევის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო 7.000 მოჯამაგირის დაზღვევა მთელ რესპუბლიკაში.

მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმე ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მიღებულია ზომები, რომ დაზღვეულ იქნეს ყველა დაქირავებული მუდმივი მუშა-ხელი სოფლად. მოჯამაგირეთა დასახლებულ ადგილებზე მოწყობილია დამზღვევი პუნქტები, რომლებიც ამავე დროს დახმარებს უწევენ ყველა დაზღვეულებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე, მოსმენილ იქნა რეზოლუციები და მოხდა სას.-სამ. მუშათა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

მეცნიერება და ტეხნიკა

სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე *)

მოკვეთილი თავის გაცოცხლების ცდები

შექმნა ისეთი პირობების, რომლებშიაც შესაძლებელია მთელი ორგანიზმიდან განცალკევებული თავის სიცოცხლის ხანგძლივად დაცვა, წარმოადგენს მეცნიერებისა და ტეხნიკის განსაკუთრებით ძნელ ამოცანას, რომელიც პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემაზე მუშაობდენ მთელი მსოფლიოს მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერები **) ჩვენ ეს ამოცანა გადაჭრით წმინდა მექანიკური გზით, სპეციალურად ამ მიზნით დამზადებულ ავტომატიურ აპარატის საშუალებით. ეს აპარატი მოძრაობაში მოჰყავს ელექტრონის ენერგიას და მისი საშუალებით ხელოვნურად არის დაცული სისხლის მიმოქცევა ცხოველის მოკვეთილ თავში.

ძაღლის თავის განცალკევებას ჩვენ შემდეგნაირად ვახდენდით. ორ ძაღლს უკეთებდით ნარკოზს (ქლოროფორმი და პანტოპონის



ამხ. ა. ლუნაჩარსკი და პროფ. კულიაბკო თვალყურს ადევნებენ მოკვეთილი თავის გაცოცხლების ცდას.

დიდი დოზა). პირველი ძაღლის სისხლში შეჰყავდა პრეპარატი „გერმანინ“, რის გამო მისი სისხლი კარგავდა დაგრეხის უნარს. ამას შემდეგ ძაღლს ფრთხილად ვაცლიდით მთელ სისხლს და ფილტვებს. სისხლს ვასხამდით იმ აპარატის ჭურჭლებში, რომელიც „ხელოვნური გულის“ როლს ასრულებდა, ფილტვებს კი უერთებდით აპარატს. ამის შემდეგ „ხელოვნურ გულს“ შეეძლია ემსახუროს ორგანოთა სიცოცხლესა და ფუნქციებს და იმუშაოს ნამდვილი გულის მაგიერ.

ამ მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ ჩვენ ვიწყებდით მთავარ ოპერაციას, რომელსაც ვასრულებდით ქირურგიის ჩვეულებრივი წესების მიხედვით. ნარკოზის ქვეშ მყოფ ძაღლის კისრის ქვედა ნაწილში ყოველი მხრიდან ვკვეთდით ყველა ქსოვილებს, იმ ქსოვილების გამოკლებით, რომლებიც აუცილებელი იყო სიცოცხლის დასაცავად. ოპერაციის ეს ნაწილი ძნელია იმით, რომ იმ ადგილების გაკვეთის დროს, სადაც გადის სიცოცხლისათვის აუცილებელი მეტად სათუთი ორგანოები (დიდი სისხლსადენი მილები, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი ნერვები), ადვილი შესაძლებელი იყო მათი ნორმალური მუშაობის დარღვევა, რასაც შეიძლებოდა ცხოველის სიკვდილი მოჰყოლოდა შედეგად. როცა ოპერაციის შუაგულში ძაღლს რაიმე მიზეზის გამო სუნთქვა უჩერდებოდა, ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ გამოუვალი ხდებოდა: ჩვენს განკარგულებაში არ იყო საშუალება, რომ ცოცხალი გული ისე საიმედოთ აგვემუშავებია, როგორც „ხელოვნურ გულს“ ვამუშავებდით.

ოპერაციის გათავების შემდეგ ძაღლის თავი სხეულთან შეერთებული რჩებოდა მხოლოდ კისრის ძვლით და რამოდენიმე წვრილი სისხლსადენი მილით. თავის სიცოცხლე გრძელდებოდა ასეთ პირობებში, მაგრამ ზოგჯერ ჩვენ ხვდებოდით მოწმე მოვლენის, რომელიც გრძნობის დაკარგვას წააგავდა. ამის შემდეგ იწყებოდა ყველაზე გადამჭრელი მომენტი. საჭირო იყო თავის სრულიად განცალკევება სხეულისაგან და მისი შეერთება აპარატთან („ხელოვნურ გულთან“). ჩვენ ვცდილობდით ეს ოპერაცია ისე შეგვესრულებია, რომ მოკვეთილი თავის სიცოცხლე ერთი წუთითაც არ შეწყვეტილიყო. ამისათვის ჩვენ აპარატის მილებს უერთებდით მხოლოდ ზოგიერთ სისხლსადენ მილებს, რომლებიც თავს კვებავენ სისხლით. ამის შემდეგ ჩვენ ვამუშავებდით აპარატს—„ხელოვნურ გულს“ და სისხლი იწყებდა მიმოქცევას თავის სისხლსადენ მილებში, ხელს უწყობდა ძაღლის ნამდვილი გულის ცემას. ამის შემდეგ საჭირო იყო დანარჩენი სისხლსადენი მილების გადაჭრა და მათი შეერთება აპარატთან, ე. ი. თავის სრულიად განცალკევება სხეულისაგან. მრავალ შემთხვევებში ამ დროს სიცოცხლის ნიშნების აშკარა დარღვევა არ ყოფილა შემჩნეული.

ამ პერიოდში ცდა ასეთ მდგომარეობაშია: ავტოჟექტორი—„ხელოვნური გული“ მილებით შეერთებულია მოკვეთილი თავის სისხლის მილებთან. თავი თეფშზე დევს და პირველად ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას სძინავს,—თვალები დახუჭული აქვს და მოძრაობა არ ემჩნევა. მეტ სიცოცხლეს იჩენს აპარატი,—მისი სვლა ავტომატიურად იცვლება, მოტორები გუგუნებენ და ხელოვნური სუნთქვის აპარატი შიშინებს.

სჩანს, თუ როგორ მოძრაობს სისხლი ყველა მილში, სჩანს მისი ცირკულიაცია დახურულ წრეში, ისე როგორც ეს ცოცხალ ორგანიზმში ხდება. სჩანს რომ თავისკენ მიდის ალისფერი სისხლი,—მაშასადამე ის ჟანგბადით მდიდარია,—ხოლო უკან ბრუნდება მუქი, მოლურჯო, რაც იმას ამტკიცებს, რომ დაჟანგვის პროცესები თავში ნორმალურად ხდება.

მოკვეთილი თავი უმოძრაოდაა და უსიცოცხლოდ მიტომ გვეჩვენება, რომ ის ღრმა ძილშია. ოპერაციის დროს ხომ ნარკოზის გაძლიერება დაგვეჭირდა და ეხლა მისი მოქმედება სავსებით იჩენს თავს. მიუხედავათ ამისა თავიდანვე ადვილად შეგვიძლია გამოვარკვიოთ, რომ თავი ცოცხალია. საკმაოა შევეხოთ თვალის რქოვან გარსს, და უპე მაშინვე შეიკუმშება. ცოტა უფრო გვიან (20—30 წუთის შემდეგ) სიცოცხლის ნიშნები უფრო შესამჩნევი ხდება. ეხლა თავი მოძრაობს ყველა სუსტი გაღიზიანების გამო. თვალის უპე არა მარტო შეხებით იკუმშება, არამედ სულის შებერვით ცალკე ბეწვებზე (წამწამებზე, ულვაშებზე) შეხებით. ყურს რომ უბწკინოთ, ყური მაშინვე შექანდება ისეთივე დამახასიათებელი მოძრაობით, როგორც ცოცხალ ძაღლს სჩვევია.

თავის უფრო ძლიერ და ხანგრძლივ მოძრაობას იწვევს ცხვირის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება. ერთხელ ამნაირი ცდის დროს თავი ისე ძლიერ ამოძრავდა, რომ კინაღამ მოსწყდა კისრის სისხლის მილებთან მიმაგრებულ ხელოვნურ მილს, დაიწყო სისხლის დენა და თავი ხელით უნდა გაგვეჩერებია თეფშზე. ფართოდ აღებდა პირს და ისე აღრჭენდა კბილებს, თითქოს ყეფას ან ღრენას ეპირებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში მოხერხდა იმის გამორკვევა, რომ თავის მხედველობის ორგანოსაც რჩება თავისი ფუნქციის შესრულების უნარი, ვინაიდან ელექტრონის ლამპის ანთება იწვევდა თვალების დახუჭვას.

გემოვნებისთვის არა სასიამოვნო ნივთიერების (ქინაქინა) ჩადებამ პირში ერთხელ ის კი მოიწვია, რომ ენა ამოძრავდა ამ ნივთიერების უკან გამოსაგდებათ.

საჭმლის (ძეხვის ან ყველის) ნაჭერი თავმა გადაყლაპა და გამოაგდო საყლაპავი მილის უკანა მონაკვეთიდან, მოკლედ რომ ვსთქვათ, მოკვეთილი თავი გარეგანი ნიშნებით და მოძრაობით არაფრით არ განსხვავდება ნარკოზით დაძინებული ძაღლის ნორმალური თავისაგან. მოკვეთილი თავის სიცოცხლის შენარჩუნება ხერხდებოდა რამდენიმე საათის (3 ნახ. ს.) განმავლობაში. ბევრი ეჭვს გამოსთქვამდა,—შეიძლება თუ არა სიცოცხლედ ჩაითვალოს ის, რასაც ჩვენ ვხედავდით?

შეიძლება თუ არა შენარჩუნებულ იქნას ცენტრალურ ნერვიული სისტემის სიცოცხლე ხელოვნურ პირობებში? ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს იძლევა მოჭრილი თავის სიკვდილი. მართლაც, სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატის შეჩერება ყოველთვის იწვევდა ტიპიური აგონიის და სიკვდილის სურათს. თავი ფართოდ აღებდა პირს, თითქოს სცდილობდა სუნთქვას, შემდეგ თვალის გუგა ფართოვდებოდა (როგორც ეს სიკვდილის დროს ხდება), თვალები „შუშის ფერი“ ხდებოდენ, იმღვრეოდნენ და მალე თავი სრულებით უმოძრაო ხდებოდა. სკვდილი კი, აშკარაა, მხოლოდ ცოცხალ რამეს შეუძლია.

რა შედეგები მოგვცა ამ მუშაობამ და რა პერსპექტივებს გვიშლის? ჩვენ ამ საკითხს მოკლედ შევეხებით და მხოლოდ მთავარს მოვიხსენიებთ. უწინარეს ყოვლისა ჩვენი ცდებით დამტკიცებულია, რომ ცენტრალურ ნერვიულ სისტემას შეუძლია კარგა ხნის იცოცხლოს და ფუნქციები შეინარჩუნოს ხელოვნურ პირობებში. შემდეგ ეს ცდები გვაიძულებს გადავათვალიეროთ ჩვენი შეხედულებები სიცოცხლისა და სიკვდილის პროცესებზე. ცდების დროს ჩვენ არა ერთხელ შევამჩნიეთ, რომ მოჭრილ თავს სიკვდილიდან სხვადასხვა დროის გასვლის შემდეგ სიცოცხლის ნიშნები უბრუნდებოდა. ერთხელ ძაღლი უკვე ოპერაციის დროს მოკვდა და ჩვენ კიდევ 8 წუთს განვაგრძობდით ოპერაციას უკვე ლეშზე. ამის შემდეგ მთელი 30 წუთის განმავლობაში სისხლის ხელოვნურმა მიმოქცევამ ვერ დასძლია სიკვდილი, მაგრამ შემდეგ ჩვენ მოწმე ვიყავით, რომ თავს დაუბრუნდა სიცოცხლის ნიშნები—თავი აღებდა პირს და სხ. ბუნებრივად იბადება კითხვა—სადაა სიკვდილისა და სიცოცხლის საზღვარი? ხომ არ შეიძლება, რომ სიკვდილს ბევრ შემთხვევაში, სანამ კიდევ არ დაწყებულა ორგანიზმის უჯრედების დაშლა, სიცოცხლე დაუბრუნდეს მკვდარ ორგანიზმს, თუ გაცოცხლების უფრო გაუმჯობესებული მეთოდები იქნება გამოყენებული?

ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი სიკვდილი დასაწყის პერიოდში „მოჩვენებითი“ სიკვდილია და მხოლოდ უფრო გვიან ეს პროცესი დაუძლეველი ხდება.

მოკვეთილი თავის გაცოცხლების ცდა. სხეულისაგან განცალკევებულ თავის გაცოცხლების მომენტი.

ჩვენ კიდევ ერთი მოვლენა შევამჩნიეთ, რომელიც ეჭვს ბადებს იმაში, რომ სიკვდილი, როგორც ფიზიოლოგიური მდგომარეობა, პასიური ხასიათისაა. საქმე იმაშია, რომ მოკვეთილი თავი განსაზღვრულ პირობებში ჰკარგავს სწრაფი სიკვდილის უნარს სისხლის მიმოქცევის სრულებით შეწყვეტის შემდეგ. წინააღმდეგ ჩვეულებრივი პირობებისა, მოკვეთილი თავი კიდევ 2—3 წუთის განმავლობაში ინარჩუნებს მთელ რიგ რეფლექსებს. ამ მოვლენას ჩვენ ვუწოდებთ „შეფერხებული სიკვდილი“. მისმა შესწავლამ იმ შეხედულებამდე მიგვიყვანა, რომ „ნორმალური“ სიკვდილის დროს (მის დასაწყის სტადიაში) თავს იჩენენ „თვითშეფერხების“ აქტიური პროცესები. ამ საკითხის საქსებით გამორკვევას და შეფერხების წინააღმდეგ მომქმედ საშუალებების პოვნას შესაძლებელია ექნეს არა მარტო სამეცნიერო-თეორეტიული მნიშვნელობა.

მთელი რიგი ფართო ბიოლოგიური პრობლემების აღძვრის გარდა, მოკვეთილი თავის მეთოდი შეიძლება დიდი მნიშვნელობა ექნეს ცენტრალური ნერვიული სისტემის ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის შესწავლის საქმეში,—ე. ი. იმ საკითხის გამოსარკვევად თუ როთ იკვებება ტვინი, რას გამოჰყოფს სისხლში თავისი მუშაობის დროს და დაღლისას ყოველივე ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ორგანის თავისებათა უფრო ღრმა ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენება ფართო პერსპექტივებს შლის იმ ორგანის შეუწყვეტლივ გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის, რომლის ფუნქციასაც ადამიანის გონება, ნებისყოფა და გრძნობები შეადგენენ.

ექ. ს. ბრიუხონენკო.

ულტრა-იისფერი სხივები ქალაქში

შედარებით დიდი ხანია, რაც შეამჩნიეს, რომ მზის სინათლის ულტრა-იისფერი სხივები გაცილებით ძლიერად მოქმედობს სახლების სახურავებზე, ვიდრე ქუჩების დონეზე. ამის გამო გამოსთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ულტრა-იისფერ სხივებს აკავებს რაღაც ნივთიერება, რომელსაც ქალაქების ქუჩების ჰაერი შეიცავს, გამოკვლევებმა, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად ლონდონში მოახდინეს, ცხადჰყვეს, რომ ეს ნივთიერება არის ოზონი, რომელიც დიდი რაოდენობით წარმოიშვა ქალაქის ჰაერში ქალაქის ტრამვაის ხაზის გასწვრივ მიმავალ ელდენის ე. წ. „ნელი დაცლის“ ზეგავლენით“.

სამხედრო ტეხნიკა

თანამედროვე სამხედრო ავტომობილები

თანამედროვე სამხედრო ტეხნიკა უდიდეს ყურადღებას აქცევს ჯავშნიან ავტომობილებსა და ტანკებს. არმიის მოტორიზაციის მხრივ განსაკუთრებით დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული წინ ინგლისს, ახალი ჯავშნიანი ავტომობილები სრულიად არ ჰგვანან პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ეპოქის სუსტ მანქანებს, რომლებსაც მოქმედების მცირე რადიუსი ახასიათებდა. საგრძნობად გაიზარდა სისწრაფე ჯავშნიან ავტომობილების, რომლებსაც ცალკე შემთხვევებში შეუძლიათ 80 კილომეტრის გავლა საათში. გაუმჯობესდა შეიარაღებაც. თუ წინად ჯავშნიანი ავტომობილები ორი სამი ტყვიის მფრქვეველით ან მსუბუქი ზარბაზნით იყო შეიარაღებული, თანამედროვე ავტომობილები წარმოადგენენ ბორბლებზე დადგმულ ნამდვილ ფორტებს. ინგლისის არმიის მძიმე ჯავშნიანი ავტომობილები შეიარაღებულია 10 ტყვიისმფრქვეველით, რომელთა შორის არის ისეთები, რომლებიც ისვრიან ჯავშანის გასახვრეტ ტყვიებს. გარდა ამისა, ეს ჯავშნიანი ავტომობილები შეიარაღებულია რამდენიმე მსუბუქი ზარბაზნით. ასეთი „ბორბლებზე დადგმული ფორტი“, მტრის ბანაკთან მიახლოვების დროს, განმანადგურებელ ცეცხლს ანვითარებს. თითქმის ყველა თანამედროვე ჯავშნიანი ავტომობილები იმგვარად არის დამზადებული, რომ გერმეტიულად იხურება (ე. ი. გარედან ჰაერი ვერ შევა შიგ) იმ შემთხვევისათვის, თუ მათ მოუხდა გაზით მოწამლულ რაიონში მოქმედება, ასეთ ავტომობილში მოწყობილია ჰაერის გამწმენდავი მოწყობილობა, რომელიც ავტომობილში დაგროვილ ჰაერს აგროვებს ფილტრში, სწმენდს და შემდეგ ეს ჰაერი ისევ ავტომობილში ბრუნდება.

საგრძნობათ გაუმჯობესდა აგრეთვე ჯავშანიც. ამჟამად ჯავშანი კეთდება სამი ფენიდან, რომელთაგან ორი გარეთა ფენა სპეციალურად გამომწვარ ფოლადიდანაა დამზადებული. შუა ფენა—რბილია, მისი დანიშნულებაა—ტყვიებისა და ყუმბარების ნამსხვრევების დაკავება. გამოგონებულია სპეციალური მინები, რომელსაც ტყვია ვერ ამტვრევს და სხვ.

სად იყო პირველი ადამიანების სამშობლო

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი-პალეონტოლოგი—ჰენრი ოსბორნი ახალ შეხედულებას გამოსთქვამს საკითხზე, თუ სად იყო პირველი ადამიანების სამშობლო. ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ „ჩვენი წინაპრები ხეებზე ცხოვრობდენ და ბინადრობდენ რომელიღაც თბილ, ტყეებით დაფარულ ქვეყანაში“. ოსბორნი ამტკიცებს, რომ ამგვარი ქვეყანა ვერ შექმნიდა ნიადაგს იმ დიდ პროგრესიულ ცვლილებებისათვის, რომელთაც უნდა გამოეწვიათ კაცობრიობის მოდგმის შექმნა. უფრო სარწმუნოა, თუ დავუშვებთ, რომ ეს უკანასკნელი პროცესი მიმდინარეობდა მაღლობ და ნაკლებად ნაყოფიერ კუთხეებში, სადაც ბრძოლას არსებობისათვის ჰქონდა უფრო გამწვავებული ხასიათი, სადაც ხშირი იყო საჭმელის ნაკლებობა და სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა სამუშაო და საბრძოლველ იარაღების დამზადებას. შემდეგ ოსბორნი აღნიშნავს, რომ ცხოველთა სამყაროში ცვლილებები ხდებოდა გეოლოგიურ ცვლილებათა ზეგავლენით. ოსბორნის აზრით, ადამიანის წინაპრებიც ამ გეოლოგიურ ცვლილებათა ზეგავლენის ქვეშ ვითარდებოდნენ. ოსბორნი ფიქრობს, რომ პირველი ადამიანები ცხოვრობდნენ იქ, სადაც თანამედროვე მონღოლეთი და ტიბეტი.

მშენებლობის ტეხნიკა ძველ ეგვიპტეში

მეცნიერებისათვის დიდი ხნის განმავლობაში გამოცანას წარმოადგენდა ის გარემოება, თუ როგორ ახერხებდენ ეგვიპტელები უზარმაზარ შენობის (მაგ. პირამიდების, ობელისკების აგებას) იმ დროს, როცა მათ გარდა პრიმიტიულ მექანიზმებისა და იარაღების მეტი არაფერი მოეპოვებოდათ. ინგლისელმა არქეოლოგმა რიჩარდ ენგელბახმა იმ ადგილის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, სადაც ერთ დროს უდიდესი ობელისკი იდგა, გადასჭრა ეს ამოცანა, ყოველ შემთხვევაში ობელისკების მიმართ.

ენგელბახის აზრით, ეგიპტელები იმ ადგილას, სადაც ობელისკი უნდა დაედგათ, აკეთებდნენ ხელოვნურ გორაკს, რომლის სიმაღლე ობელისკის სიმაღლეს უდრიდა, გორაკის ერთი მხარე დაქანებული იყო. გორაკის შუაგულში თხრიდენ ღრმა ჭას, რომელშიც შემდეგ სილას ყრიდენ. გამზადებულ ობელისკს მოათრევდნენ გორაკზე და უშვებდენ ჭაში. ობელისკი თავისი სიმძიმით აწვებოდა სილას (რომელსაც თანდათანობით იღებდენ) და ეშვებოდა დაბლა, სანამ არ მიაღწევდა წინასწარ გამზადებულ კვარცხლბეკამდი. ამის შემდეგ ხელოვნურ გორაკს სთხრიდენ.

ტყვიის ამოღება მაგნიტის საშუალებით

მედიცინაში მაგნიტის გამოყენების საინტერესო შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამერიკის ერთ-ერთ კლინიკაში. კლინიკაში მოიყვანეს კანადელი, რომელსაც ძლიერ აწუხებდა 1913 წელს მიღებული ჭრილობა.



მაგნიტის საშვალებით ტყვიას A წერტილიდან გადმოანაცვლებიეს B წერტილში, საიდანაც მოხერხდა მისი ამოღება.

გამოკვლევით, რომელიც რენტგენის სხივებით მოახდინეს გამოირკვა, რომ პაციენტას ერთ-ერთ ფილტვში ჩარჩენილია 1½ დიუმიანი ტყვია. სცადეს ტყვიის ამოღება ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი საშუალებით, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან ტყვია ღრმად იყო ჩაჭრილი ორგანიზმში, მაშინ ავადმყოფს გულზე გარედან მიადევს მაგნიტი, და მისი საშუალებით ტყვია გადაანაცვლეს ისეთ ადგილზე, საიდანაც მისი ამოღება სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ტროპიკული მალარიის ეპიდემია

აგვისტოს დასაწყისში ათინაში და პირეიში (საბერძნეთი) შემჩნეულ იქნა ტროპიკული მალარიის ერთ-ერთი სახეობის—ე. წ. „დენგე“-თი დაავადების ცალკე შემთხვევები. ზოგიერთი ცნობებით ეს ავადმყოფობა საბერძნეთში სირიიდანაა შეტანილი, ავადმყოფობა გრძელდება 7—8 დღეს და თუმცა იშვიათად თავდება სიკვდილით, მაგრამ ძლიერ ასუსტებს ორგანიზმს. ავადმყოფობა გადადის მწერების, უმთავრესად კოღოების კბენის საშუალებით. სულ მცირე დროის განმავლობაში. ავადმყოფობამ საშინელი ეპიდემიის ხასიათი მიიღო. ყოველდღიურად ავად ხდებოდა არა ნაკლებ 10,000 კაცისა. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში ცხოვრება თითქმის ჩაკვდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეპიდემია პირეიში, სადაც დაიხურა 300 მაღაზია და 700 წარმოება.

მსოფლიოში უდიდესი სამხედრო აეროპლანი



მსოფლიოში უდიდესი სამხედრო აეროპლანი (ბომბების გადმოსაყრელად) „ინფლექსიბლ“ ეკუთვნის ინგლისს. მასზე დადგმულია სამი მძლავრი მოტორი. თუ რამდენად დიდია ეს აეროპლანი, ამის წარმოდგენას იძლევა მისი შედარება იქვე მდგომ ადამიანთა ფიგურებთან

---

*) ექ. ს. ბრიუხონენკოს ამ წერილში მოკლედ არის აღწერილი ის ცდები, რომლებიც მან ექ. ს. ჩეჩულინთან ერთად ჩაატარა საკავშირო ს.მ.უ.ს. სამეცნიერო ტეხნიკურ საბჭოს სამეცნიერო ქიმიურ-ფარმაცევტიული ინსტიტუტის ფარმაკო-ტერაპევტიულ განყოფილებაში. უფრო დაწვრილებით ეს ცდები აღწერილია სამეცნიერო ქიმიურ-ფარმაცევტიული ინსტიტუტის „შრომებში“ (1928 წ.) და პოპულიარულად ჟურნალ „ისკრი ნაუკი“-ს №№ 5 და 6-ში (1928 წ.)

**) ეს შეეხება თბილსისხლიან ცხოველებს. ცივსისხლიან ცხოველებისათვის კი თავის იზოლიაციის მეთოდი პირველად შემუშავა პროფ. ა. ა. კულაბკომ, რომელმაც მსოფლიო სახელი მოიხვეჭა თავისი მუშაობით განცალკევებულ ორგანოებზე.

ჩადრის მოხსნის კამპანიის წინასწარი შედეგები აჭარისტანში

აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში (8 წელი) უკანასკნელ ხანამდე არც ერთხელ არ დასმულა ჩადრის მოხსნის საკითხი. მხოლოდ 1928 წელში პარტიულ-კომკავშირელთა მასების უშუალო მონაწილეობით დადგა დღის წესრიგში ეს აქტუალური და საკმაოდ რთული საკითხი. ამის შემდეგ ყურადღება მიიპყრო საკითხმა იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბრძოლა იქნას წარმოებული ჩამორჩენილ ყოფა-ცხოვრებასთან და ცრუმორწმუნეობასთან აჭარისტანის სოფელში. აუცილებლად უნდა მომხდარიყო გარდატეხა აჭარისტანის „ფუხარას" ყოფა-ცხოვრების განახლების მხრივ და „ფუხარამ" ამას მიაღწია კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით. პარტიას უნდა დაეჭირა მარქსისტულ-ლენინური გამოცდა ამ დიდ საქმეში, ვინაიდან მას უხდებოდა შეტაკება დიდ რელიგიურ საკითხთან, რომელსაც ასი წლის ფესვები აქვს და რომელიც ბევრ ადგილას დღესაც რჩება თავის ძველ მდგომარეობაში.

საზოგადოებრივი აზრის მომზადება ამ საკითხის ირგვლივ ზედმიწევნით საფუძვლიანად სწარმოებდა და შეიძლება ითქვას, ცალკე პატარა შეცდომების გამონაკლისით, რომლებიც არსებით როლს არ თამაშობენ, ეს მომზადება წარმატებით ჩატარდა და მან დადებითი შედეგები მოგვცა. თუ როგორი იყო აჭარისტანის მშრომელი მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი, ეს ნათლად სჩანს შემდეგი მოვლენიდან. კონფერენციაზე გამოსულები ამბობდნენ: **„როგორ შეუძლია აჭარელ კომუნისტს, კომკავშირელს ან საბჭოთა და პარტიულ მუშაკს ილაპარაკოს დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის განთავისუფლებაზე კაპიტალიზმის მონობისაგან, როცა მან ვერ შესძლო თავისი ცოლი და და გაეთავისუფლებია მონობისაგან. როცა იგი არ ხსნის მათ ჩადრს და არ აძლევს საშუალებას მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაში"-ო.**

ეს სწორი მარქსისტული მიდგომა იყო პრაქტიკული მუშაობის საფუძველი და ამასთანავე შემოწმება იმისა, თუ როგორ ახორციელებენ პარტიის ლოზუნგებს თვით პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები ერთის მხრით და საბჭოთა-საზოგადოებრივი აქტივი მეორეს მხრით.

აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მეოთხე პლენუმზე დაისვა და ფართოდ იქნა განხილული ჩადრის მოხსნის საკითხი, რის შემდეგაც გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ამ მეტად მნიშვნელოვანი კამპანიის პრაქტიკულად მომზადება.

კამპანია დაიწყო 20 ივლისს ხულოს მაზრაში. კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის კომისია მოქმედებდა შემდეგნაირად: მან მოიწვია სამაზრო კომიტეტების პლენუმები, პასუხისმგებელი მუშაკები მიამაგრა იმ რაიონებს, სადაც ტარდებოდა კამპანია, შეიმუშავა სათანადო ინსტრუქციები და ხელმძღვანელობდა საკითხის ფართოდ განხილვას უჯრედებზე, და ბოლოს, მოიწვია საპუნქტო მიტინგები პრაქტიკული შედეგებისათვის.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკე უმნიშვნელო შეცდომებს, ამ კამპანიამ არსებითად კარგი შედეგები მოგვცა. რასაკვირველია, ამას ხელს უწყობდა ობიექტიური პირობებიც, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ თუ რამდენიმე ხნის წინედ აჭარისტანის სოფელში ვერავინ (ძალიან ორთოდოქსალური კომუნისტიც კი) ვერ ბედავდა აღეძრა ჩადრის მოხსნის საკითხი, რადგან მას ერთ ალიაქოთს აუტეხდნენ. ეტყოდნენ: „ეს რელიგიისა და არსებულ ჩვეულებათა შეურაცხყოფაა, რის გამოც ჩვენ დავსტოვებთ საბჭოთა მიწა-წყალს და ქემალის თურქეთში გადავსახლდებით"-ო,—მათ თვითონ დაინახეს, რომ თვით ქემალმა თურქეთში საკანონმდებლო წესით ჩაატარა ჩადრის მოხსნის რეფორმა. ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას ხელს უწყობდა აგრეთვე ისიც, რომ აჭარისტანის მშრომელთა ძირითადი მასა თანდათან თავისუფლდება ყოფილი ხალხის (ბეგების, ხოჯების, მოლების, ვაჭრების და კულაკების) პროვოკაციული ხმებისა და კონტრ-რევოლუციონური აგიტაციისაგან.

ძალიან დიდი როლი ითამაშეს ამ მოძრაობაში ხოჯებმა. ხულოს მაზრაში ორი-სამი ხოჯა აშკარად გამოდიოდა მიტინგებზე და ამბობდა, რომ „ყურანში (მაჰმადიანთა სამღვთო წიგნი) არაფერია ნათქვამი ჩადრზე, ეს წარმოადგენს მრავალი ხნის ჩვეულებას და მისი მოხსნა ცოდვა არ არისო".

ამ მოვლენამ, თავის-თავად ცხადია, ერთის მხრით საშუალება მოგვცა უფრო გადაჭრით და სწრაფად გადაგვეწყვიტა ჩადრის საკითხი, მეორეს მხრით კი გამოიწვია რელიგიის, ხოჯების და მოლების ავტორიტეტის სწრაფი დაცემა მშრომელთა ფართო მასების თვალში.

რასაკვირველია, აქაც ჰქონდა ადგილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების (განსაკუთრებით კულაკების) ჩურჩულს. ისინი სიტყვა-სიტყვით ამბობდნენ: „ხოჯები ამ გამოსვლით დიდ ცოდვას სჩადიან ღმერთის წინაშე, მაგრამ რადგან ისინი დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდნენ სარწმუნოებას, მათ ეპატიებათ ასეთი საქციელი, ხოლო ჩვენთვის, თუ მათ გავყვებით და იმათსავით მოვიქცევით ეს დიდი ცოდვა იქნება, რასაც ღმერთი არ გვაპატიებს"-ო.

ამ ციტატიდან სჩანს, რომ ზემოხსენებული სიტყვები აშკარა კონტრ-რევოლუციონურ ელემენტებს ეკუთვნის. მათ თავისი გამოსვლით უნდოდათ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემა, მაგრამ ეს ცდა ამაო შეიქნა; პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი აჭარისტანის მთელ მშრომელ მასებში დღითი-დღე იზრდება, რასაც ამტკიცებს თუნდაც ის, რომ მათი ნახევრად ფარული გამოსვლა რელიგიის დასაცავად უნაყოფო გამოდგა.

ამ კამპანიის ერთ-ერთ დეფექტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კამპანია ნავარაუდევი იყო უმთავრესად პარტიულ-კომკავშირელთა მასებისათვის, რის გამოც მცირე მუშაობა იქნა ჩატარებული აჭარისტანელ უპარტიო გლეხთა შორის. კამპანიის მასალებიდან კი სჩანს, რომ ჩადრის ახდით ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი სოფლის მშრომელი მასები, რომელთა ჩაბმა ამ საქმეში ადვილად შეიძლებოდა.

გლეხებმა, (განსაკუთრებით ღარიბ უპარტიოებმა) რიცხვით 28 კაცმა, ხულოს მაზრაში ჩადრის ზეიმით მოხსნის დღეს თავიანთი ცოლები და დები უჩადროდ გამოიყვანეს. ასეთი შემთხვევებს ნაწილობრივ ადგილი ქონდა სხვა მაზრებშიაც. ეს მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომისიას არ ჩაუტარებია წინასწარი მუშაობა მათ შორის.

ჩადრის მოხსნის კამპანიის წინასწარი შედეგები აჭარისტანის ოთხ მაზრაში (ხულოს, ქედის, აჭარისწყალის და ქობულეთის) ასეთია: ჩადრი მოიხსნა 595 აჭარელმა-ქალმა და რაც მთავარია, ფართოდ გავრცელდა „უჩადროდ სიარულის" იდეა.

თვით ქალები ამბობენ (თუ არაფერს ვიტყვით მოხუც-ქალებზე), რომ „ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა ჩადრის მოხსნა, მაგრამ ქმრები, ძმები და მამები არ გვრთავდნენ ნებას, ეხლა კი ამ იდეას მხარს უჭერს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენც ხალისით ვიხსნით ჩადრს"-ო.

აქედან ცხადია, თუ რამდენად არის განვითარებული აჭარელ ქალებს შორის სურვილი, მისწრაფება, მოიხსნან ჩადრი, დაინახონ სინათლე, გახდნენ საზოგადოებრივი მუშაკები და მიიღონ მონაწილეობა სოციალისტური მშენებლობის მუშაობის ყველა დარგში.

იყო შემთხვევა, როცა პარტიის ზოგიერთი უჯრედის ცალკე წევრები და კომკავშირელები (ხულოს მაზრაში) რელიგიური ჩვეულების გავლენას დაემორჩილნენ. ესენი იმის მაგივრად, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კამპანიაში და ექადაგნათ ჩადრის მოხსნის იდეა, ილაშქრებდნენ კამპანიის წინააღმდეგ ყოველგვარი პროვოკაციული ხმებით, და მიტინგებზედაც კი არ ცხადდებოდნენ; ერთმა კომუნისტმა (ხულოს მაზრაში), რომელსაც ორი ცოლი ჰყავდა, მიტინგზე უჩადროდ გამოიყვანა მოხუცი ცოლი (რათა ამით თვალები აეხვია სხვებისათვის ა. ი.), ხოლო ახალგაზრდა ცოლი სახლში დასტოვა და მას ნება არ მისცა ჩადრი მოეხსნა.

პარტიაში ასეთ შემთხვევით მოხვედრილ ელემენტების წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული სათანადო ზომები, ისინი გამორიცხულ უნდა იქნან კომპარტიის რიგებიდან, თუ რასაკვირველია, ეს მათ შეგნებულად ჩაიდინეს. შეგნებულად, ხაზს უსვამთ ამ სიტყვას იმიტომ, რომ იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთი ამხანაგი ვერ გაერკვა კამპანიაში და მისი როლი ნათლად ვერ გაითვალისწინა.

ასეთი ამხანაგების წინააღმდეგ უნდა მივიღოთ მხოლოდ აღმზრდელობითი ზომები.

წინასწარი შედეგების მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას,რომ კამპანიამ გამოააშკარავა პარტიულ და კომკავშირელთა მასების დიდი წინსვლა ჩადრის მოხსნისა და ჩადრისადმი დამოკიდებულების მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარისტანის სოფელში დადიოდა სხვადასხვა პროვოკაციული ხმები, უპარტიო მასა არ ჩამორჩა ამ მნიშვნელოვან საკითხში და პირიქით, ზოგიერთ ადგილას კომუნისტებსაც კი გაუსწრო წინ.

ვინაიდან პარტიულ და კომკავშირის, პროფესიონალური და საბჭოთა აქტივი შეგნებულად და აქტიურ მონაწილეობას იღებდა კამპანიაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის მცხოვრებთა შორის უკვე არსებობს ერთგვარი გარდატეხა ჩადრის მოხსნის სასარგებლოდ.

შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ „ჩადრის მოხსნის კვირეული", რომელიც განზრახულია გაიმართოს 1-დან 7 ოქტომბრამდე, და შემდეგ აჭარელ-ქალთა რესპუბლიკანური ყრილობა 15 ოქტომბერს, უფრო გააფართოვებს დაწყებულ მუშაობას და გააღრმავებს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს—ჩადრის მოხსნის საქმეს.

ა. მჟავია.

სასოფ. სამეურნეო გადასახადი

სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის კამპანია

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამ. გადასახადის განყოფილების ცნობით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის საქმე წინად არ იძლეოდა გარანტიას, რომ შეძლებული მეურნეობები არ დარჩებოდენ სათანადო სისწორით დაუბეგრავი.

ახალი კანონის გამოცემის შემდეგ მდგომარეობა ამ მხრივ გაცილებით გაუმჯობესებულა და ის რაიონები, სადაც სჭარბობენ შეძლებული მეურნეობანი, იხდიან 30—50 პროცენტით მეტ სას.-სამ. გადასახადს, ვიდრე გასულ წელს. ამასთანავე იმ რაიონებში, რომლებშიაც სჭარბობს წვრილი მეურნეობა, გადასახადი გასულ წელთან შედარებით შემცირებულია 25—30 პროცენტით (ოზურგეთის, შორაპნის და ზუგდიდის მაზრები).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სას.-სამ. გადასახადის კონტინგენტი წელს გადიდებულია. ეს გადიდება გამოწვეულია ერთი მხრით სასოფლო-მეურნეობის საერთო ზრდით და მეორე მხრივ პროცენტული დანართებითა და ინდივიდუალური დაბეგვრით.

გადასახადის ზრდა სხვადასხვა რაიონებში გამოწვეულია დასაბეგრ ობიექტების რაოდენობისა და კერძო მეურნეობათა შემოსავლის გადიდებით. მაგალითად სოფ. პლატეში (ახალციხის მაზ.) მეურნეობის საშუალო შემოსავალი 1927—28 წელში უდრიდა 800 მანეთს წინანდელი აღრიცხვით ამ სოფლის მეურნეობათა საშუალო შემოსავ. გაზრდილია 82 %—ხოლო გადასახადი გადიდებულია შედარებით მეტი რაოდენობით. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გადასახადისაგან ამ სოფელში წელს განთავისუფლებულია მეურნეობათა ორჯერ მეტი რიცხვი, ვიდრე გასულ წელს.

საგადასახადო თანხის ზრდის მეორე ფაქტორი არის პროცენტული დანართი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ რაიონებში, სადაც მეურნეობის საშუალო შემოსავალი აღემატება 300—400 მანეთს.

მაგალითად სოფელ გორელოეში (ახალქალაქის მაზრა)დასაბეგრ ობიექტის რაოდენობა არ გაზრდილა, მაგრამ პროცენტული დანართებით გადასახადი გადიდებულია 40 პროცენტით.

კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა

საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მოიპოვებიან მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი ატარებს ექსპლოატატორულ ხასიათს. ასეთ მეურნეობებში შემოსავლის წყარო (როგორც მაგალითად საქონლის ყიდვა-გაყიდვა, სპეკულაცია ღვინით, არყით და სხ.) ძალიან ძნელი აღსარიცხავია, მაგრამ საადრიცხვო კომისიები ყოველ ღონეს ღებულობენ, რომ აღურიცხავად არ გამოეპაროთ შემოსავლის არც ერთი წყარო.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კულაკური მეურნეობები წელს გადასახადს იხდიან გაცილებით მეტს, ვიდრე წინა წლებში იხდიდნენ. მაგალითად ქალაქ ლუქსემბურგში ორი კულაკური მეურნეობა წელს იხდის თითო ორი ათას მანეთამდე გადასახადს, რაც რამოდენიმეჯერ აღემატება მათი გასული წლის გადასახადს.

წინანდელ საადრიცხვო კამპანიას მთელ რიგ დადებითი შედეგებთან ერთად აქვს დეფექტები: ზოგიერთი საშუალო შეძლების მეურნეობანი დაბეგრილი არიან გადაჭარბებით. გადაჭარბებით არის აღრიცხული ზოგიერთი არა სამიწადმოქმედო შემოსავალი და ნაწილობრივ დამახინჯებულია ზოგიერთ არაშრომითი მეურნეობათა ინდივიდუალური წესით დაბეგვრის მეთოდი.

ამ დეფექტების გამოსასწორებლად ამჟამად ფინანსთა სახ. კომისარიატს მიღებული აქვს მთელი რიგი სასწრაფო ზომები.

შემოდგომის თესვა

დღემდე ჩატარებულ მუშაობის შედეგები

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ა. წ. 17 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოში შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად დაარსებული იქნა რესპუბლიკანური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ ამხ. **ს. ჟულელი**, მოადგილეთ—ამხ. **რასულ-ზადე**, წევრები: ამხ. **ნაფეტვარიძე, ცაგარელი** („სოფლის კავშირი"-დან), **კალატოზოვი** (სახ.-სამ. ბანკი), **სიხარულიძე** (მიწა-ტყის კავშირიდან), და **სააკიანი** (შინა-ვაჭრობის კომისარიატი).

კომისია, დადგენილების თანახმად, დაუყონებლივ შეუდგა მუშაობას მოსახლეობისათვის სათესლე მასალის, მუშა-საქონლის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და კრედიტების თავის დროზე მისაწოდებლად.

თესვის კამპანიის ჩასატარებლად კომისიამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით განზრახული იყო შემდეგი ღონისძიებების ჩატარება: 1) შემოდგომაზე დასათეს ფართობის გადიდება 800,000 ჰექტარამდე, 2) კოლექტიურ მეურნეობებისათვის და ხელ-მოკლე მეურნეთათვის 330.000 ფუთ სათესლე მასალის დამზადება და მიწოდება, რისთვისაც კომისია გამოითხოვა 627.000 მანეთი, 3) მუშა-საქონლის შესაძენად (1.200 სულის) კომისიამ აგრეთვე გამოითხოვა 120.000 მანეთი; 4) მანქანა-იარაღების შესაძენად—350.000 მ. ამ რიგათ გეგმის მიხედვით შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად სულ საჭირო იყო 1.097.000 მანეთი.

ამ გეგმის შესასრულებლად სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დღემდე გაიღო შემდეგი თანხები: სათესლე მასალის შესაძენად 205.000 მ., მუშა-საქონლის შესაძენად—85.000 მან., სას.-სამ. იარაღ-მანქანების დასამზადებლად—210.0000 მანეთი, საკვებ ბალახის დასათეს ფონდის ადგილობრივ დაარსებლად—70.000 მ. სულ 570.000 მანეთი.

რესპუბლიკანურ კომისიის მიერ დღევანდლამდე ჩატარებულია შემდეგი მუშაობა: იმ მარაგიდან, რომელიც მოიპოვებოდა კომისიის განკარგულებაში, სათესლე მასალა მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის განაწილებული იქნა შემდეგი რაოდენობით: ახალციხის მაზრას—2000 ფ. ხორბალი, ბორჩალოს მაზრას—2000 ფ. ხორბალი და 1500 ფ. ქერი, გორის მაზრას—5000 ფ. ხორბალი და 2500 ფ. ქერი. კახეთის მაზრას—9500 ფ. ხორბალი და 5500 ფ. ქერი, თბილისის მაზრას—6000 ფ. ხორბალი და 2500 ფ. ქერი, სამხრეთ-ოსეთს—2500 ფ. ხორბალი და 500 ფ. ქერი, ქუთაისის—1000 ფ. ხორბალი, რაჭა-ლეჩხუმს—2000 ფ. ხორბალი და 1000 ფ. ქერი, შორაპნის—1500 ფ., სენაკის მაზრას—2000 ფ. ჭვავი, ზუგდიდის მაზრას—6000 ფ. ჭვავი. სულ 31.500 ფ. ხორბალი, 13.500 ფ. ქერი და 8000 ფ. ჭვავი. საერთო რაოდენობით—53.000 ფ. გარდა ამ რაოდენობისა ამ დღეებში კიდევ განაწილებული იქნება 85.000 ფ. ხორბალი და 15.000 ფ. ქერი.

მუშა-საქონლის შესაძენად მაზრებს შორის სულ განაწილებული იქნა 85.324 მანეთი, აქედან უღარიბეს გლეხებისათვის სესხათ დასარიგებლად—47.876 მ. და კოლექტიურ მეურნეობებისათვის—37.448 მ. მაზრების მიხედვით მუშა-საქონლის შესაძენად ფული გადაეგზავნათ: კახეთის მაზრას—14.048 მ., თბილისის მაზრას—16.200 მ., გორის —13.000 მან., ბორჩალოს—6.500 მ., ახალციხის —4.500 მან., შორაპნის—6.100 მ., ქუთაისის—5.000 მ., რაჭა-ლეჩხუმს—9.400 მ., სენაკის—4.500 მ., ზუგდიდის—5.200 მ., სამხრეთ-ოსეთს—3.875 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები განაწილებული იქნა: 716 გუთანი, 11 ფარცხი, 46 სათესი და 15 ტრაქტორი.

უნდა აღინიშნოს, რომ „ზაკსელმაშს" შეკვეთილი ჰქონდა 276,324 მანქანა, აქედან მან დღემდე „სოფლის კავშირს" ჩააბარა მხოლოდ 144,210 მ., ე. ი. დაკვეთა შესრულდა მხოლოდ 53 პროც.

შემკეთებელი სახელოსნოები მუშაობენ შემდეგ მაზრებში: თბილისის მაზრაში—3 სახელოსნო, აქედან ერთი მოძრავი, გორში—1, ბორჩალოში—1, კახეთის მაზრაში—1. გარდა ამისა თბილისში მუშაობს 1 ცენტრალური სახელოსნო სრული დატვირთვით. გორის და ბორჩალოს მაზრებში ახალ სახელოსნოების მოსაწყობად გადადებულია 38.000 მანეთი.

კომისიის მიერ მიღებულია ზომები, რათა მაზრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები შემოდგომის თესვის კამპანიისათვის გამოყენებული იქნეს მთელი 100 პროცენტით.

მაზრებში თესვის კამპანიას ხელმძღვანელობენ სამაზრო თესვის სამეულები.

შემოდგომის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა თავის მხრივ მიიღო შემდეგი ღონისძიებები: ადგილობრივ აგრონომიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ აქტიური და უშუალო მონაწილეობა მიიღონ კამპანიაში და ყოველ მხრივ დახმარება გაუწიონ გლეხებს; გააძლიერონ თესლის სარკვევ პუნქტების მუშაობა როგორც თესლის გაწმენდის, ისე მის წამლობის საქმეში; გარდა ამისა წინადადება მიეცათ გასაქირავებელ პუნქტებს, რათა პირველ რიგში დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს და უღარიბეს გლეხებს, ხოლო წითელ-არმიელთა ოჯახებს უფასოდ.

ამასთანავე მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის გასაძლიერებლად მაზრებში დაგზავნილია ინსტრუქტორები და საჭირო რაოდენობის წამლეულობა.

საბჭოს დეპუტატების უკან გაწვევის წესი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა ახორციელებდნენ ამომრჩევლები მათ მიერ ამორჩეული დეპუტატების უკან გაწვევის უფლებას.

დეპუტატების უკან გაწვევა სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოებიდან შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი სისტემატიურად არ ესწრებიან საბჭოს, სექციების ან კომისიების სხდომებს, არ ემორჩილებიან მაღლა მდგომ ორგანოთა დადგენილებებს, არ ასრულებენ საბჭოს დავალებებს, ან ამომრჩევთა დირექტივებს, არ უდგენენ ამომრჩევლებს თავის მუშაობის რეგულიარულ ანგარიშებს, უღირსად ეპყრობიან მოსახლეობას ან სჩადიან სხვა ისეთ რამეს, რაც დაუშვებელია საბჭოს წევრებისათვის.

დეპუტატების უკან გაწვევის საკითხი შეუძლია აღძრას სათანადო საბჭომ, ამომრჩევლებს ერთ მესამედზე არა ნაკლები რაოდენობით. პროფესიონალურმა ორგანიზაციამ, უღარიბეს გლეხთა ყრილობებს, გლეხთა ურთიერთ დამხმარე სალაროებს, ქალთა სადელეგატო კრებებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

დეპუტატის უკან გაწვევის საკითხს სწყვეტს ამომრჩეველთა კრება ხმის მარტივი უმრავლესობით და ამ გადაწყვეტილების განსაჩივრება არ შეიძლება.

ტერნაწილების საერთო შეკრებაზე

მეორე ქართულ დივიზიის ბანაკში

თუშები და ფშაველები პირველი მსროლელნი არიან

საერთო ტერშეკრება წელს შედარებით უკეთეს პირობებში ტარდება, ვიდრე წინეთ. გაუმჯობესდა კვების საკითხი ნივთიერი მომარაგება და სხვ. ყველა ცვალებადელებმა მიიღეს ახალი ტანსაცმელი. ლენკარვები გამდიდრდა მოწყობილობით. გარდა ამისა, წელს თავის დროზე იქნა მიღებული ზომები იმ პირების განთავისუფლებლად სამხედრო სამსახურიდან, რომელთაც არ ეხებოდათ სამხედრო სამსახური ოჯახურ პირობების გამო.

ცვალებადელთა მომზადების სისტემაში უპირველესი ადგილი უჭირავს სროლას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცვალებადელნი ცდილობენ კარგ შედეგებს მიაღწიონ სროლაში, პირველ მსროლელებად გამოდიან ცვალებადელი ფშაველები და თუშები. „მაგათ ერთი ტყვიაც კი არ ეკარგებათ ტყვილად",—ამბობენ ხოლმე მეთაურები.

ამჟამად მთელი ყურადღება მიქცეული აქვს ტყვიისმფრქვეველებიდან სროლის საქმეს. ტყვიისმფრქვეველის მოწყობილობა შესასწავლი აქვს ყველა ცვალებადელს, ხოლო ამჟამად სწარმოებს ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

პარტიული მუშაობა შეკრებაზე

სწავლების წარმატებით მიმდინარეობა შეკრებაზე უმთავრესად უნდა მიეწეროს პარტიულ ორგანიზაციის გაძლიერებულ მუშაობას. 4 დღით ადრე შეკრების დაწყებამდის ჩატარებული იქნა პარტაქტივის წინასწარი შეკრება, რომლის დროს დამუშავდა საკითხები პარტიულ ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მომავალ შეკრებაზე.

თუ რამდენად მომზადებული აღმოჩნდა პარტიული ორგანიზაცია საერთო შეკრებასათვის იქიდანაც სჩანს, რომ შეკრების პირველ დღისათვის ყველა განაყოფებში უკვე ჩამოყალიბებული იყო პარტიის უჯრედები, ზოგში კი ეს უჯრედები ყალიბდებოდა გზაში, საერთო შეკრების ადგილზე მისვლამდის.

სროლის სხვადასხვა მომენტები საერთო ტერშეკრებაზე (№ ქართული ლეგიონი)

შეკრებაზე წელს პირველად იქნა შემოღებული მეკარვეთა ინსტიტუტი. მეკარვეები გამოყოფილი იქნენ გამოცდილ პარტიულებსა და კომკავშირელების რიგებიდან. მათი საშუალებით სწარმოებს ცვალებადელთა ფართო მასების კულტ. პოლიტიკურ მოთხოვნილებათა შესწავლა. ამ შესწავლამ დაგვანახვა, რომ ცვალებად შემადგენლობის ზოგ ნაწილში არიან ცრუმორწმუნეობის და სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციების მიმდევარნი. ამის გამო გაძლიერებული იქნა ანტირელიგიური მუშაობა საერთო შეკრებაზე.

მთელ ყურადღება მეკარვეებისა მიქცეულია იმისაკენ, რომ ცვალებადელებში განავითარონ საბრძოლო თვისებები და მეთაურებს დახმარება გაუწიონ ცვალებადელთა სამხედრო და პოლიტიკურ სწავლების საქმეში. ცვალებადელ ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს ემჩნევა ლტოლვა პარტიისაკენ. ვინაიდან მათი პარტიაში მიღება ერთი თვის განმავლობაში შეუძლებელი ხდება, პარტიასთან ახლო მდგომ პირთა სიები ეგზავნება ადგილობრივ სამოქალაქო პარტუჯრედებს სათანადო დახასიათებით.

შეკრებაზე შესაძლებელი შეიქნა კომკავშირის მუშაობის გაშლაც. უმრავლეს განაყოფში ჩამოყალიბებულ იქნა კომკავშირის პარტდამხმარე ჯგუფები. მთელ თავის მუშაობას კომკავშირელები აწარმოებენ პარტიულ ორგანიზაციის დახმარების ხაზით.

აქტივობა მატულობს

შეკრების პირველ დღიდანვე ცხადი შეიქნა, რომ ცვალებადელი დღეს სულ სხვაა, ვიდრე იყო წინა წლებში. მეთაურები ერთხმად ამოწმებენ, რომ ცვალებადელნი დიდ ინტერესს იჩენენ სამხედრო მეცადინეობისადმი. განსაკუთრებით აინტერესებს მათ შეჯიბრება სროლაში კარგად აქვთ მათ შეთვისებული იარაღის მატერიალური ნაწილი. ადგილმდებარეობასთან შეგუება და სხვ. ბევრ მათგანს სურს გახდეს უმცროსი მეთაური. გამოსთქვამენ აგრეთვე ძირითად შემადგენლობაში გადარიცხვის სურვილს.

ცვალებადელებს ემჩნევა აგრეთვე სხვადასხვა სასწავლებლებში შესვლის დიდი სურვილი, რაც მოწმობს ცვალებადელთა კულტურულ-პოლიტიკურ აქტივობის ზრდას. მაგალითად ერთ-ერთ ლეგიონში, თუ შარშან იყო შემოტანილი მხოლოდ რამოდენიმე განცხადება სასწავლებელში შესვლის შესახებ. წელს ასეთ განცხადებების რიცხვმა მიაღწია 200-დე.

საუკეთესო გამოხატულებას აქტივობის [illegible] ზრდა პოულობს სკოლის გარეშე მუშაობაზე. ვინაიდან შეკრებაზე ჩასატარებელი მუშაობა განსაზღვრულია საათობით და წუთობით, სკოლის გარეშე მუშაობის ცენტრი გადატანილია მასიურ მუშაობისაკენ.

დივიზიის პოლიტიკურ განყოფილების მიერ გამოცხადებულ კონკურსმა საუკეთესო საღამო-წარმოდგენაზე ფეხზე დააყენა ყველა სკლუბო მუშაკები. ყველგან ლაპარაკობდნენ, აკრიტიკებენ დადგმულ წარმოდგენებს, მიუთმენლად ელიან შემდეგ დადგმებს, მსჯელობენ, თუ ვინ გამოვა პირველ ადგილზე და მიიღებს ჯილდოს—სამაგიდო საათს, შეფასებულს 200 მანეთად.

კონკურსისათვის საღამოები იდგმება მრავალფეროვან შინაარსით. აქ არის პიესები, იუმორისტული გამოსვლები, სიმღერები, მომღერალთა გუნდები, გარმონი, სოლო სხვადასხვა სამუსიკო ინსტრუმენტებზე, ცეკვა და სხვა განსაკუთრებული სიყვარულით ცვალებადელებში სარგებლობენ მომღერალთა გუნდები, დაკვრა ჩონგურზე, თარზე და სხვა. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ტარდება თვით ცვალებადელთა ძალებით ეს საღამოები დიდ ინტერესს იწვევენ წითელ-არმიელებში. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ საბანაკო საზაფხულო თეატრი ვერ იტევს მსურველთა ერთ მეოთხედსაც.

კარგად არის გაშლილი კინო-მუშაობაც. მუშაობს „გოსვოენკინო"-ს ორი მოძრავი კინო.

გაზეთებს აგვიანდება

წელს დიდი მოთხოვნილება გაზეთებზე. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი გაზეთებით მომარაგების საქმეში. საქმე იმაშია, რომ ქალაქ გორში თბილისის გაზეთებს ადგილობრივი მოსახლეობა ღებულობს იმავე დღის კერძო საგენტოს საშუალებით. სამხედრო ნაწილები კი გაზეთებს ღებულობენ ფოსტიდან. ფოსტაში კი შუადღეზე მოსული გაზეთები ინახება მეორე დღემდე და მხოლოდ 24 საათის შემდეგ რიგდება კუთვნილებისამებრ. რამდენჯერმე დაისვა ეს საკითხი საფოსტო დაწესებულებების წინაშე, მხოლოდ უშედეგოთ. გორის ფოსტის მომუშავენი თვლიან, რომ არცა ისე დიდი ნაკლია, თუ გაზეთები ერთი დღით შეინახება ფოსტაში.

მუშგლეხინი შეკრებაზე

შეკრების პირველ დღიდანვე იქ მუშაობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურო, რომელიც არჩევს ცვალებადელების საჩივრებს და განცხადებებს.

სასპორტო მუშაობა

შეკრებაზე წარმოებულმა გაცხოველებულმა მუშაობამ ვერ შეუშალა ხელი სასპორტო [illegible]. ამჟამად სწარმოებს სასპორტო შეჯიბრებები სადივიზიო პირველობაზე. შეჯიბრებებს ესწრება მრავალი ცვალებადელნი. რაც იმას მოწმობს, რომ ინტერესი ფიზკულტურისადმი ყოველწლიურად მატულობს. გაიზარდა აგრეთვე მეთაურთა შემადგენლობის მონაწილეობა სასპორტო საქმეში

სემინარები

20 სექტემბრიდან შეკრებაზე დაიწყო მეცადინეობა შეკრების გარეშე მომუშავეთა აქტივის სემინარებზე. ამ მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით გაუმჯობესდება სამხედრო მუშაობა მოსახლეობაში, ეს კი ტერნაწილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ი. რუდოვსკი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

საკავ. საზოგადოება „ელექტროსტროი"-ს მომავალი მუშაობა ამიერკავკასიაში

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაადგინა დაავალოს ამიერ-კავკ. წარმომადგენლობას მოსკოვში აღძრას შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს წინაშე საკავშირო საზოგადოება „ელექტროსტროი"-ს საერთო საკავშირო მნიშვნელობის ორგანიზაციად ცნობის შესახებ.

ამასთანავე დადგენილია ეთხოვოს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს, რომ ამიერ-კავკასიისათვის გადადებული იქნეს 600.000 მან. საზოგადოება „ელექტროსტროის" პაების შესაძენად.

კომისიის დაარსება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით დაარსდა სპეციალური კომისია ამხ. ბაგიროვის (თავმჯდომარე), ბირიოშევის, ივანიანის, მირზაბეკიანის, ჩხენკელის და ხოფერიას შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ერთი თვის განმავლობაში დაამუშაოს საკითხი ამიერ-კავკასიაში ბამბის მოსავლიანობის გასადიდებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახკომისარებს ამხ. ბუნიატ-ზადეს, ჯულელს და ა. ერზინკიანს დაევალა მონაწილეობის მიღება აღნიშნულ კომისიის მუშაობაში.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საზოგადოების წარმომადგენლად ამიერ-კავკასიაში დაამტკიცა ა. მ. ხაჩიევი.

დაქირავებული შრომის გამოყენება გლეხთა მეურნეობებში

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო სპეციალური კომისიის დაარსება გლეხთა მეურნეობებში დაქირავებითი შრომის გამოყენების ძირითადი პირობების შესამუშავებლად და დაავალა რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს გამოსცენ სათანადო დადგენილება იმ მეურნეობების შესახებ, რომლებზედაც არ ვრცელდება გლეხთა მეურნეობებში დაქირავებითი შრომის გამოყენების შესახებ არსებული „დროებითი წესები".

საქ. სახკომსაბჭოში

სამკურნალო აღმშენებლობა კასპის ცემენტის ქარხანასთან

წინადადება მიეცა სმუ საბჭოს კასპის ცემენტის ქარხანასთან მოაწყოს ამბულატორია 4 საწოლით და მედპერსონალისათვის საჭირო ბინები; ხოლო რადგან მარტო ამბულატორია ვერ დააკმაყოფილებს ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებას, წინადადება მიეცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს რესპუბლიკის სამკურნალო აღმშენებლობის გეგმით გაითვალისწინოს კასპში საავადმყოფოს აგება ხსენებულ აღმშენებლობის სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე.

ამასთანავე წინადადება მიეცა გორის სამაზრო აღმასკომს მიიღოს მონაწილეობა საავადმყოფოს ასაგებად საჭირო ხარჯში და აღმასკომის მონაწილეობის რაოდენობის შესახებ შეუთანხმდეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს.

ფონდის განმანაწილებელი ინსტანციების შემცირება

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო ღარიბ გლეხთათვის სესხის მისაწოდებლად არსებული ფონდის განმანაწილებელი ინსტანციების რიცხვის შემცირება.

მუდმივი სახელმწიფო პურის ფონდის ორგანიზაციის შესახებ

წინადადება მიეცა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთაც აქამდე ვერ შეუსრულებიათ სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს 1928 წ. მაისის 29-ის დადგენილება—მუდმივი სახელმწიფო პურის ფონდის ორგანიზაციის შესახებ, ასეთი მოიყვანონ სისრულეში ა. წ. სექტემბრის ბოლომდე.

ამ დადგენილების სისწორით განხორციელებისათვის ზედამხედველობის გაწევა დაევალა ფინსახკომს.

როგორ იწერება ჩვენს გაზეთებში სასამართლოს ანგარიშები

მე განზრახვა მაქვს ამ მცირე წერილში გაკვრით შევეხო იმას, თუ როგორ იწერება ჩვენს გაზეთებში სასამართლოს ანგარიშები. ავიღოთ გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს (გაზეთი „ახალი სოფელი"-ც არ შეადგენს გამონაკლისს) სასამართლოს განყოფილებები. აღნიშნულ გაზეთებში სასამართლოს ანგარიშები იბეჭდება ისე, რომ თავის გადმოცემით ეს ანგარიშები ხშირად მოგაგონებენ ძველ ბურჟუაზიულ პრესას. ბურჟუაზიული გაზეთები მისდევდნენ სენსაციას, მათი ხელობა იყო უმნიშვნელო ამბავი და შემთხვევა გაებერათ როგორც სათაურით, ისე შინაარსით, მაგრამ ასეთი გზა და წერის მანერა ჩვენი მუშურ-გლეხურ პრესისათვის ხომ დაუშვებელია.

მოვიყვანოთ ამონაწერი გაზეთ „კომუნისტი"-დან და გაზეთ „მუშა"-დან. მე ავღნიშნავ მაგალითებს ორ-სამ ნომრიდან:

პირველი: „პ. ჩაკვეტაძეს ვანანებ ჩემს გალახვას, თუ ბიჭი ვყოფილვარ, ჩემი ხელით ჩავაძაღლებ მაგ არამზადას. ლადარიასაგან ყველაფერი მოსალოდნელია. მართლა არ მოჰკლას ჩაკვეტაძე. მოვაწყოთ საქმე ისე, რომ ორივე შევარიგოთ — იძახდნენ მეზობლები; დატრიალდნენ შუაკაცები, მაგრამ ვერ მოხერხდა შერიგება.

ღამეა...

— გაჩერდი, ხელი არ გაანძრიო!

— ვინა ხარ?

— მე ისა ვარ, რომელიც შენ ამას წინათ „მარიფათიანად" გალახე — სთქვა ომანაძემ და ესროლა". (გაზ. „კომუნისტი", № 190, სასამართლოს განყოფილება, სათაური „შურისძიება").

მეორე მაგალითი: „ერთ დღეს ეპიფანე და გრიგოლ ასათიანებმა ნადიმი გამართეს. სტუმრებიც შეზარხოშდნენ და მასპინძელიც. საულ ახვლედიანი ეპიფანე ასათიანს შეეჯიბრა პირველობაზე ღვინის სმაში.

— მომიტანეთ ყანწი, დაიძახა თამადა ახვლედიანმა, — მოუტანეს ყანწი.

დალია და გადასცა ეპიფანე ასათიანს.

— კაცო, დალიე ჩქარა, სხვებიც უცდიან...

ეპიფანე თავჩაქინდრული ზის და ყურადღებას არ აქცევს თამადის სიტყვას.

— ცოცხალი ხარ თუ არა, ყმაწვილო, თუ ღვინის სმა არ შეგიძლია, ეხლავე განაცხადე". (იხ. გაზ. „კომუნისტი" № 190, სასამართლოს განყოფილება. სათაური: „ტრაგედია ქეიფის დროს").

მესამე: „მაგრამ ალექსანდრეს უბედურება იმაში იყო, რომ ქალს სიყვარულს ვერ უმხელდა. ეს იყო ასე ვსთქვათ: „შორით წვა და შორით დაგვა". ეს ამბავი იცოდა მისმა მეგობარმა ივანე მენაღრიშვილმა, რომელსაც უზიარებდა თავის გულის ტკივილს და სთხოვდა რჩევა-დარიგებას.

— განა მით დასაწუნი ბიჭი ვარ!— ამბობდა ალექსანდრე.

ბნელ ოთახში ორაგველიძე გადავიდა შეტევაზე. ქალს თანდათან უხევს ტანსაცმელს. ქალი იბრძვის, ყვირის, მაგრამ ხედავს, რომ საქმე წახდა. ორაგველიძე არ სტოვებს „ბრძოლის ფრონტს" და სხვა. (იხ. გაზეთი „კომუნისტი" № 200, სასამართლოს განყოფილება. სათაური — „ბნელ ოთახში").

ჩავყვეთ ქვევით:

იმ დროს ოთახიდან გამოდის თვით ლიუდმილა, რომელიც თვალში დოუჯდა ნოე ჩინტლაძეს და ასეთი საუბარი ჩამოუგდო:

— რამდენი წლის გთხოვდით, რატომ ასე აჩქარდით, როგორ გიყვარს ქმარი?

[illegible] ხელში, ულვაშები ტახის კუდივით დაიგრიხა. ნეკებზე [illegible] გაეშვა და დილიდან საღამომდე კორდიეს ქალს უთვალთვალებდა და მას ლექციებს უკითხავდა თავისუფალ სიყვარულის შესახებ.

— დამანებეთ თავი, თორემ ყველაფერს ქმარს ვეტყვი.

— აფსუს, აფსუს, შენი პატრონი ასე გაცხოვრებდეს — ამაზე ცოდვა შეიძლება?!

— თუ დამნებდებით, ეს [illegible] დაიხევა და ნივთებიც არ ჩამოგერთმევათ". (იხ. გაზეთი „კომუნისტი" № 200, სასამართლოს განყოფილება, სათაური: „იდეალური სიყვარულის მოტრფიალენი").

ახლა ავიღოთ მაგალითი გაზეთ „მუშა"-დან.

„ავშენდი კაცი, აწი რაღა მიჭირს, ამბობდა იგი, ე. ი. ნოე ჩინტლაძე.

— აბა, მდივანო, ჩასწერე.

— ვასრულებ თქვენს ბრძანებას ამხანაგო კომენდანტო — იყო პასუხი.

— მშვენიერო ლიუდმილა, მე თქვენ მიყვარხართ — გახდით ჩემი. მე თვეში 75 მანეთი მაქვს. ღმერთივით გაცხოვრებთ და გამომშვიდობების დროს მდივანმაც და კომენდანტმაც ქალს მაგრად ჩამოართვეს ხელი. ახვლედიანმა, ე. ი. მდივანმა, ხელი დაუჭლიმა ქალს, მხოლოდ ჩინტლაძემ მრავალმნიშვნელოვნად გაუხიჩა (თუ გაუხიცინა? კ. ხ.) ხელზე ქალს".

ეხლა ვიკითხოთ: ვის ესაჭიროება ამგვარი დიალოგები და დეტალები?!

ამა თუ იმ პიროვნების ბოროტ-მოქმედება, დანაშაულობა, ცხადია, უნდა იქნეს აღნიშნული და გაშუქებული პრესაში, მაგრამ მოკლეთ და სხარტათ.

გეცანით—წაიკითხეთ მოსკოველი გაზეთები, მაგალითად „პრავდა" და „იზვესტია", სადაც თითქმის ყოველ დღე იბეჭდება სასამართლოს ანგარიშები. როგორაა ისინი შედგენილი? დიდი და მნიშვნელოვანი სასამართლოს პროცესების შესახებ იწერება სულ მოკლედ, მაგრამ შინაარსიანი და საქმიანი ანგარიშები და ისიც არა პროცესის წინ, როგორც ეს ჩვენშია შემოღებული პრაქტიკაში (ნეტავ ვინ დააწესა?), არამედ სასამართლოს პროცესის მსვლელობის, ან მისი დასრულების შემდეგ, რაც მიზანშეწონილია. სასამართლოს ყველა ის ანგარიშები, რომელნიც იბეჭდება ადგილობრივ გაზეთებში, შეიძლება თამამად შემოკლდეს 60-70 პროცენტით. გამოვა საქმიანი მასალა გაზეთებისათვის.

სასამართლოს ანგარიშების შედგენის დროს ავტორის ფანტაზიის აღმაფრენას ფრთები უნდა შეეკვეცოს.

მე ხშირად მსმენია ჩვენი გაზეთების ხელმძღვანელებისაგან სიტყვიერი საჩივარი იმის შესახებ, რომ რედაქციებში ძალზე ბევრი მასალები გროვდება დაუბეჭდავი, რადგანაც გაზეთის ფურცლები ვერ იტევს ყველა მასალებს. ეს საჩივარი საფუძველს არ არის მოკლებული. ამიტომ საჭიროა გატარდეს რაციონალიზაცია მასალების შერჩევაში და მათ შემოკლება-შეკვეთებაში.

ერთი სიტყვით ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს სასამართლოს ანგარიშების წერას ისეთი მანერით, როგორც ეს დღეს არის აღნიშნულ გაზეთებში.

კ. ხომერიკი.

რედაქციისაგან. ჩვენ კმაყოფილებით ვბეჭდავთ ამხ. ხომერიკის კრიტიკულ შენიშვნას გაზეთის ერთ-ერთ დიდ მნიშვნელოვან განყოფილების შესახებ. ავტორი უთუოდ მართალია, როდესაც სწერს, რომ გაზეთები არ უნდა მისდევდნენ სენსაციას, ფაქტებს უნდა აღნიშნავდნენ სხარტათ და გადაუჭარბებლად. ამ მხრივ მართლაც ჰქონდა ზოგჯერ ადგილი შეცდომებს სასამართლოს განყოფილებაში. მაგრამ არ შეიძლება გავიზიაროთ ამხ. ხომერიკის აზრი იმის შესახებ, თუ როგორი კილოთი უნდა იწერებოდეს სასამართლოს განყოფილების ზოგიერთი ანგარიშები და მამხილებელი ხასიათის წერილები. საყოველთაოთ ცნობილია, რომ იუმორი ხშირად გაცილებით უფრო ამართლებს მიზანს, ვიდრე ფაქტების „პროტოკოლურად" აღნიშვნა. ამიტომ ვერ გავილაშქრებთ საზოგადოთ იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენს გაზეთებში იბეჭდებოდეს წერილები პატარა ფელეტონის ჟანრით. სწორეთ მოსკოვის პრესა, რომელსაც იხსენიებს ამხ. ხომერიკი, ხშირად მიმართავს ამგვარ ხერხს ხოლმე ჩვენი საზოგადოების უარყოფით მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფელეტონური ჟანრი, რასაკვირველია, სრულიადაც არ გულისხმობს, რომ ჩვენს გაზეთებში დასაშვებია სენსაცია და მკითხველების არაჯანსაღ გრძნობების გაღიზიანება. ამ მხრივ ამხ. ხომერიკის წერილში მოყვანილი ზოგიერთი ფაქტები ყურადღების ღირსია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ იშვიათად ვხვდებით მკითხველებისაგან გაზეთების შესახებ საქმიანი კრიტიკული შენიშვნებს. რედაქციებს ამ მხრივ, სამწუხაროდ არ ანებივრებენ. ამხ. ხომერიკის წერილი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ამ შემთხვევაში. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება ხშირად მოვისმინოთ კრიტიკა თვითკრიტიკის გამტარებელ უძლიერეს იარაღის—პრესის შესახებ, რომ გამოვასწოროთ ის დეფექტები, რომლებიც როგორც ყოველ საქმეში, საგაზეთო მუშაობაშიც უთუოდ არის.

ხილის სახმობი ქარხნების ამუშავება

ს. შ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ცნობით, 1-ლი ოქტომბრიდან ამუშავებული იქნება შინდისის ხილის სახმობი ქარხანა (გორ. მაზრაში). დეკემბრიდან კი ამუშავდება ასეთივე ქარხანა სოფ. მეჯვრის ხევშიაც. გარდა ამისა სწარმოებს მუშაობა, ქალ. ახალციხეში ხილის ახალი სახმობი ქარხნის ასაგებათ.

ამ ახალი ხილის სახმობ ქარხნების უზრუნველსაყოფად შესაფერი მუშა-ხელით, ს. შ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ინიციატივით სოფ. ტყვიავის (გორ. მ.) ხილის სახმობ ქარხანასთან მოწყობილ იქნა ხილის სახმობი ქარხნების კვალიფიკაციურ მუშათა მოსამზადებელი კურსები. კურსები გაიხსნა აგვისტოს ბოლო რიცხვებში. ამ კურსებზე გაგზავნილი იყო 32 გლეხი რაიონებიდან, სადაც სწარმოებს ქარხნების აგება.

დღეს მიხდება კურსების მსმენელთა პირველი გამოშვება კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან ქარხნებში სამუშაოთ. კურსების გამოშვებაზე და შინდისის ხილის სახმობი ქარხნის ამუშავებაზე დასასწრებათ მიემგზავრებიან—ს. შ. უ. ს., მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენლები.

ღვინის დამზადება

წელს „საქართველოს ღვინო" დაამზადებს 600.000 ვედრო ღვინოს და 700.00 გრ. სპირტს. —უცხოეთში გატანილი იქნება 85.000 ვედრო ღვინო. — ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

საზოგადოება „საქართველოს ღვინო"-ს სავაჭრო განყოფილების ცნობით მიმდინარე წელს ღვინის ახალ მოსავლიდან მთელ რესპუბლიკაში „საქართველოს ღვინო" დაამზადებს 600.000 ვედრო ღვინოს.

ღვინო დამზადებული იქნება მევენახეთა ამხანაგობებისა და მევენახეობის რაიონებში არსებულ სოფლის კავშირების საშუალებით. კახეთში დამზადებული იქნება 260.000 ვედრო ღვინო, იმერეთში—270.000 ვედრო, ღვინის დანარჩენი რაოდენობა კი დამზადებული იქნება ბორჩალოსა და სხვა რაიონებში.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ღვინო" წელს ღვინის დამზადებს ისეთ რაიონებში, როგორიცაა საჩხერე და ხიდისთავი (გორის), სადაც წინეთ ღვინო მოყავდათ მხოლოდ შინაურ საჭიროებისათვის. წელს კი ამ რაიონებში „საქართველოს ღვინო" ღვინოს დაამზადებს დიდი რაოდენობით, კონიაკის და სპირტის დასამზადებლად. საჩხერისა და ხიდისთავის გლეხები ამრიგად საგრძნობ შემოსავალს მიიღებენ, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მევენახეობის განვითარებას ამ რაიონში.

გარდა ამისა „საქართველოს ღვინო" წელს გაასაღებს საკუთარ ქარხნებში საშუალოთ დამზადებულ 700.000 გრ. კონიაკის სპირტს და „სოფლის კავშირი" მიერ დამზადებულ 4.500.000 გრადუს ჭაჭის არაყს.

დღემდე სპეციალურ ამხანაგობებსა და საკრედიტო ამხანაგობებთან დადებულია ხელშეკრულებები ღვინის დამზადების შესახებ და ავანსის უკვე გაცემულია დასამზადებელ ღვინის ღირებულების 25 პროცენტი.

ფასებს როგორც ყურძენზე, ისე ახალ ღვინოზე აწესებს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

„საქართველოს ღვინო" წელს გარდა საბჭოთა კავშირის ბაზრებისა, 60.000 ვედრო ღვინოს და 25.000 ვედრო შემაგრებულ ტკბილ გაიტანს უცხოეთში. „საქართველოს ღვინო"-მ შარშანაც გაიტანა უცხოეთში, კერძოდ გერმანიაში, ქართული ღვინოები, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით მიიღეს, მაგრამ ქართულ ღვინოების უცხოეთში ფართოდ გავრცელებას ხელი შეუშალა მაღალმა ფასებმა. მიღებულია ზომები ზედნადებ ხარჯების შესამცირებლად და გასატან ღვინოებზე ფასების დასაკლებლად.

გასულ წელთან შედარებით წელს ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს, ხოლო [illegible] დაიწყება მოგვიანებით. რომ ადგილობრივ სწორედ ისეთი ხარისხის ღვინოები იქნება დამზადებული, რომლებზედაც ბაზარზე მოთხოვნილებაა.

„საქართველოს ღვინომ" მევენახეობის რაიონებში მიავლინა სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ უხელმძღვანელებენ ღვინის დამზადების საქმეს. საქართველოში წელს „საქართველოს ღვინო"-ს გარდა ღვინოების დამზადებით აწარმოებს მხოლოდ სახალხო მამულების ტრესტი.

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ გამგეობის წინაშე „საქართველოს ღვინო"-სათვის 2.500.000 მან. მიცემის შესახებ სესხად ღვინის დასამზადებლად.

ახალ მოსავლის ღვინის გასასაღებლად უკვე დადებულია [illegible] რუსეთის, უკრაინის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ღვინის შემსყიდველ ორგანიზაციებთან.

„საქართველოს ღვინის" მიზანია ხელი შეუწყოს მევენახე-მეღვინე გლეხების კოოპერირებას და ღვინის ბაზრიდან სავსებით განდევნოს კერძო ვაჭრები.

სოფლის საკითხები

(ნახული და გაგონილი)

II.

ქორწინების ახალი კანონი

ახალი კანონით, ქორწინების მმაჩის რეგისტრაციაში გატარება სავალდებულო არ არის.

— როგორ მოგწონს, ივანე, ქორწინების ახალი კანონი?—შევეკითხე ზემო-მაჩხანელ გლეხს ივანე ბოსტოღანაშვილს.

— ჩემის აზრით, მოსაწონი არ არის.—მიპასუხა მან.—ჩვენ თანდათან ვივიწყებთ ძველ ადათ-წესებს და ვუდგებით ახალ ცხოვრებას. ქორწინების მმაჩის რეგისტრაციაში გატარებასაც თანდათან შევეჩვიეთ და დღეს იშვიათად, რომ ვინმე წავიდეს ეკლესიაში ჯვარის დასაწერად და თუ რეგისტრაციაში გატარება სავალდებულოდ არ დარჩა, ბევრი ისევ ეკლესიებს დაუბრუნდება და გაუმაძღარი მღვდლების მსხვერპლი გახდება.

— გარდა ამისა,—ამბობს ნიკა ბოსტოღანაშვილი,—ახლად შეუღლებულთ მმაჩში სთხოვენ ექიმის მოწმობას ჯანმრთელობის შესახებ და თუ რომელიმე მათგანმა ასეთი მოწმობა არ წარადგინა, შეუღლების ნებას არ აძლევენ. ასეთი წესი ხელს უშლის უმთავრესად ვენერიულ ავადმყოფობის გავრცელებას, რაც დღეს თითქმის ყველა დაბა-სოფლებშია მოდებული. რეგისტრაციაში გატარება თუ სავალდებულო არ იქნება და ყველას თავისუფლად შეეძლება შეუღლება, ავადმყოფობა უფრო გავრცელდება, ჩამომავლობა დაკნინდება, ბევრის ოჯახი დაიღუპება.

— წარსულ შემოდგომაზე—ამბობს გიო სეხნიაშვილი—ჩემმა მეზობელმა დაიწერა ჯვარი. ქალ-ვაჟის მშობლები მოითხოვდნენ, რომ ჯვარის-წერა რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ეკლესიაში მომხდარიყო ჯერ, რასაკვირველია, დაიბარეს მმაჩის გამგე, რომელიც მოვიდა, თან დავთარი მოიტანა, შესაუღლებელ ქალ-ვაჟს ჯანმრთელობის მოწმობა ჩამოართვა, დავთარში ჩაწერა ახლად შეუღლებულთა სახელი, გვარი და სხვა ცნობები, ხელი მოაწერინა რამდენიმე მოწმეს და, ერთის სიტყვით, შესრულდა ყველაფერი ის, რაც საჭირო იყო. ამის შემდეგ მშობლებმა გადაიფიქრეს მათი ეკლესიაში წაყვანა და ზედმეტი ხარჯების გაწევა, თქვეს: ეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მმაჩის გამგემ შეასრულა, რეგისტრაციაში გატარება სახალხოთ მოხდა, ქვეყანამ გაიგო, რომ ჩვენი შვილები კანონიერად შეუღლდნენ და ეკლესია რაღა საჭირო არისო. რეგისტრაციაში გატარება რომ სავალდებულო არ ყოფილიყო, მაშინ ეკლესიაში მოხდებოდა მათი ჯვარის-წერა და მღვდელსაც ეს უნდოდათ.

რატომ არ გვივარგა გზები

ყოველ არჩევნების დროს ამომრჩევლები ახალ საბჭოს ავალებენ გზების და ბოგირების შეკეთებას. იშვიათია ისეთი „ნაკაზი", რომელშიც პირველ რიგში გზების და ბოგირების შესახებ არ იყოს ლაპარაკი.

არა მარტო არჩევნების დროს, როცა კი სასოფლო ყრილობა მოხდება, თუნდაც ის სულ სხვა საქმისათვის იყოს მოწვეული, უეჭველად გზებზე და ბოგირებზე ჩამოვარდება ლაპარაკი.

ეს საკითხი ყველაზე მტკივნეული საკითხია სოფლის ცხოვრებაში და ამავე დროს ყველაზე მოუგვარებელი.

შიგა და შიგ ორმოები და ჩახრამული ადგილები, მაღლობებიდან წამოსული ქვიშა-სილა და მით დაფერდოებული გზები,—აი, ჩვენი გზების სურათი.

გზების ასეთი მდგომარეობა ხელს უშლის კულტურის შეტანას სოფლად, მეურნეობის განვითარებას, აღებ-მიცემობას, სოფლის ქალაქთან კავშირს. სამაგიეროდ წელში სწყვეტავს საქონელს, საგონებელში აგდებს გლეხობას.

ასეთი მდგომარეობაა კარგ ამინდებში, ხოლო ავდრიან ამინდებში და ზამთარში შეუძლებელი ხდება ერთი სოფლიდან მეზობელ სოფელში გადასვლა, ზოგჯერ მთელი თვეობით სწყდება მიმოსვლა.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა და მიუხედავათ იმისა, რომ თემსაბჭოებს აქვთ საშუალება გზების შესაკეთებლად, ამ საკითხს მაინც ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა.

რა თქმა უნდა, ყველგან გზატკეცილებს ვერ გავიყვანთ, ვერ განვაახლებთ, მაგრამ იმას კი შევძლებთ, რომ გზა აქა-იქ შევასწოროთ, ნიაღვრისაგან ჩამოლეკილ ქვიშა-სილისაგან გავწმინდოთ.

მართალია, მთავრობა აუარებელ ფულს ხარჯავს გზების და ბოგირების შეკეთებაზე, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. მეორეც ის, რომ ეს ფული უმთავრესად გზატკეცილების კაპიტალურ შეკეთებას ხმარდება. სასოფლო გზების შეკეთება, ნაწილობრივ გზატკეცილებისაც, დამოკიდებულია მოსახლეობის თვითმოქმედებაზე, ადგილობრივ თემსაბჭოების უნარზე და გამჭრიახობაზე.

გზის მდგომარეობა სარკესავით გიჩვენებთ ადგილობრივ თემსაბჭოების მოქმედებას და უმოქმედობას.

რუსული ანდაზაა: მითხარ ვისთან მეგობრობ და გეტყვი—ვინ ხარო. ამ შემთხვევაში მე ვიტყოდი: მითხარ რა მდგომარეობაშია თქვენი გზები და გეტყვი—როგორ მუშაობს ადგილობრივი თემსაბჭო.

მაგალითისათვის გადავათვალიეროთ ყოფილ სიღნაღის მაზრის თემები. ქვემო-მაჩხაანიდან დაადგებით გზატკეცილს და გესიამოვნებათ—მშვენიერი გზებია. თვით მაჩხაანის სასოფლო გზა ისეა გაფართოებული, გეგონებათ რუსთაველის პროსპექტიაო. გადახვალთ საბოდბისხევში და ყოველ ნაბიჯს გადადგმაზე შეხვდებით ოღრო-ჩოღრო გზებს, შიგა და შიგ ორმოებს და დაფერდოებულებს. გასცდებით საბოდბისხევს, შეუდგებით სიღნაღის რაიონის გზატკეცილს და თვალი და გული გაგიხალისდებათ.

რა მიზეზია, რომ მაჩხაანისა და სიღნაღს შუა მდებარე თემს—ბოდბისხევს—ასეთი ცუდი გზები აქვს?

მიზეზი ერთია: ადგილობრივ თემსაბჭოს უმოქმედობა და გულგრილობა. მას გზის შეკეთება არ გაუძნელდებოდა, მაგრამ საამისოდ „თავი არ გაიცხელა".

ზოგანაც იმით ხსნიან გზების შეუკეთებლობას, რომ გლეხობას პური არ მოუვიდა, საქონელი დაეხოცა, დაზარალდა და ძნელი იყო მათი ბეგარაზე გამოყვანაო.

საგზაო ბეგარა იმდენად შეღავათიანია, რომ გლეხობა როგოც არ უნდა დაზარალდეს, უარს მაინც არ იტყვის გზის შეკეთებაზე.

ღარიბი გლეხობა და საკრედიტო ამხანაგობები

ღარიბი გლეხობა ხშირად უსაყვედურებს სოფლის საკრედიტო ამხანაგობებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერში სოფლის საკრედიტო ამხანაგობები სტყუიან, ბევრში მათზე მაღლა მდგომი ორგანიზაციებიც არიან დამნაშავე და თუ გლეხობის საყვედური სოფლის საკრედიტო ამხანაგობებს ხვდება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხობას უშუალოდ მათთან აქვს საქმე.

რაში გამოიხატება საყვედური?

პირველი: საკრედიტო ამხანაგობიდან ყველას—ღარიბსაც და შეძლებულსაც—თანაბარ პროცენტებში ეძლევა სესხი და მათ მდგომარეობას არავითარ განსხვავებას არ აძლევენ. ღარიბი გლეხობა ამ შემთხვევაში შეღავათით არ სარგებლობს.

საჭირო კი არის, რომ განსხვავება იყოს. ანგარიში უნდა გაეწიოს ყოველ მათგანის მეურნეობას და შეძლებას. ღარიბს უფრო ნაკლებ პროცენტებში უნდა ეძლეოდეს სესხი და ვადაც უგრძელდებოდეს.

მეორე: ღარიბ გლეხებს ზოგჯერ კიდევ თავდებს სთხოვენ, რომელიც უეჭველად შეძლებული უნდა იყოს, რომ თუ თვითონ ვერ შესძლო გადახდა, თავდებს მაინც გადაახდევინონ.

რასაკვირველია, ყოველი შეძლებული გლეხი ცდილობს თავი აარიდოს თავდებობას, რომ მას სხვისი ვალის გადახდა არ მოუხდეს და თუ მაინც უდგება თავდებათ, სამაგიეროს პატივისცემას ინაზღაურებს, ის თავის მხრივ აძლევინებს პროცენტებს: მუშაობაში იხმარიებს, ექსპლოატაციას უწევს.

ამ მდგომარეობას მთავრობამ შარშანვე გაუწია ანგარიში და დაადგინა: სესხი მიეცეს გლეხს მისი მეურნეობის ღირსების მიხედვით პირადი ნდობის ქვეშ სესხით შეძენილ ქონების გირავნობის ქვეშ და აგრეთვე გლეხკომების და სხვა ორგანიზაციების თავდებობით.

ეს დადგენილება რომ სწორად და უცვლელად ტარდებოდეს ცხოვრებაში,—ღარიბ გლეხობას დავიხსნიდით კულაკების ექსპლოატაციისაგან.

მესამე: ზოგჯერ მიღებულ სესხით ვერ სარგებლობს ღარიბი გლეხობა. ვთქვათ, ღარიბ გლეხს მოუკვდა ხარი და სამაგიერო ხარის შესაძენად საკრედიტო ამხანაგობას სთხოვა 80 მანეთი. საკრედიტო ამხანაგობა 80 მანეთის მაგივრად აძლევს 30—40 მანეთს. ამ ფულით გლეხი ველარც ხარს ყიდულობს და ისიც უბრალოდ ეხარჯება. ზოგიერთ შეძლებულ გლეხს კი ორას მანეთობით აძლევენ.

მეოთხე: გლეხს ზოგჯერ რამდენიმე თვის განმავლობაში უხდება სიარული საკრედიტო ამხანაგობაში სესხის მისაღებად. მას შეტანილ განცხადებაზე დროზე არ აძლევენ პასუხს. საქმეს აჭიანურებენ, მუშაობას აცდენენ, აწვალებენ და ბოლოს ან აძლევენ, ან სულაც არა.

მეხუთე: ზოგიერთი მოვალე ბოროტად სარგებლობს მიღებულ სესხით: ვალის გადახდის ვადას აცილებს, შეგნებულად არ შეაქვს ვალი, იქნებ შემრჩესო. ზოგი კი მართლა ვერ ახერხებს ვადაზე ვალის გადახდას და საამისოთ აქვს კიდეც საპატიო მიზეზები.

ამის გარჩევაში არ შედის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა, ყველა მათ საქმეს სახალხო სასამართლოში ასაჩივრებს და მისი საშუალებით ინაზღაურებს გასესხებულ ფულს.

საჭიროა გავარჩიოთ: ვინ არ იხდის ვალს, რა მიზეზით და მხოლოდ ამის შემდეგ მივმართოთ სასამართლოს.

მოჯამაგირენი კავშირის გარეთ

ჩვენი მიზანია, რომ ყოველი მოჯამაგირე კავშირის წევრი იყოს. მაშინ მას ადვილად ველარავინ დაჩაგრავს. მაგრამ მოჯამაგირისთვის გაძნელებულია კავშირში შესვლა. მოჯამაგირის კავშირში მიღება რამდენიმე თვე და ზოგჯერ მთელი წელიწადი ჭიანურდება.

კავშირში შესვლის მსურველმა მოჯამაგირემ უნდა დაწეროს განცხადება და შეიტანოს ადგილკომში. ადგილკომმა თუ დაამტკიცა, შემდეგ გადააქვს საზოგადო კრებაზე დასამტკიცებლად, რომელიც თვეში ერთხელ იწვევა, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ სამ თვეში ერთხელაც ვერ შესდგეს. ბოლოს დასამტკიცებლად გადადის სამაზრო კავშირში. სამაზრო კავშირი ადგილკომის მიერ წარდგენილ საბუთებს ეყრდნობა და მექანიკურად ამტკიცებს.

ამის შემდეგ მოჯამაგირეს შეუძლია წავიდეს სამაზრო კავშირში და საწევრო წიგნაკი მიიღოს, მაგრამ ზოგჯერ ისიც ხდება, რომ გამოწერილი წიგნაკი უქმდება, პატრონამდე ველარ აღწევს, რადგან ამ ხნის განმავლობაში მოჯამაგირე ან სხვა სამუშაოზე გადადის, ან-და სხვა მაზრაში მიდის.

კავშირში შესვლა განსაკუთრებით გაძნელებულია ნახევრად პროლეტარულ მოჯამაგირეობისათვის, ესე იგი, იმათთვის, ვისაც თავისი პატარა მეურნეობა აქვს.

კავშირი ყოველი ასეთი წევრის მიღების დროს არკვევს: მთავარ საარსებო წყაროს შეადგენს თუ არა შრომის გაქირავება და წელიწადში რამდენ თვეს უხდება დაქირავებით მუშაობა.

ეს ასეც უნდა იყოს, რომ კავშირში უცხო ელემენტები არ შეეპარნენ.

საჭიროა იმის გაგება, თუ დაქირავებული რომელ კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ ამას გაგება რამდენიმე თვეობით არ უნდა ჭიანურდებოდეს.

ზოგანაც ვერ ერკვევიან ამ საკითხში და ნახევრად პროლეტარებს უარს ეუბნებიან კავშირში მიღებაზე.

ასეთი გაუგებრობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას. კავშირში დაუბრკოლებლივ უნდა მივიღოთ ნახევრად პროლეტარული ელემენტებიც და მათთვისაც ისევე უნდა გავაადვილოთ კავშირში მიღება, როგორც დანარჩენ მოჯამაგირეობისათვის.

ცხვრის ტყავში გახვეული მგლები

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პარტიისა და კომკავშირისაკენ მხოლოდ ღარიბ-ღატაკი გლეხობა და მშრომელი ახალგაზრდობა მიილტვოდა. მაშინ ოდნავ შეძლებული გლეხებიც კი გაურბოდნენ პარტიას და კომკავშირს, შვილებსაც კი არ აძლევდნენ კომკავშირში შესვლის ნებას, სირცხვილად მიაჩნდათ.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა. დღეს ბევრმა პარტიისაკენ იბრუნა პირი და ყოველი საშუალებით ცდილობს იქ შეძვრომას.

ზოგიერთი ტიპები ყოველ ხვრელს ეძებენ პარტიისა და კომკავშირისაკენ გზის გასაკაფავად.

მათ ამით უნდათ თავისი მდგომარეობის განმტკიცება, ბნელი საქმეების მოჩახრაკება, თბილი ადგილების შოვნა, გადასახადის შემსუბუქება და ყოველგვარი „ხიფათის" თავიდან აცილება.

მართალია, ყველა ასეთებისათვის მაგრად ჩაკეტილია პარტიის და კომკავშირის კარები, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც ახერხებს შეძვრომას. აი, ამის მაგალითიც:

ტიბაანში ცხოვრობს კულაკი ილია ათანელიშვილი, რომელსაც დაქირავებული ჰყავს ოთხი მოჯამაგირე, და, საერთოდ, დიდი ცხოვრების და ქონების პატრონია. მისმა სტუდენტმა შვილმა, ვანო ათანელიშვილმა, კომკავშირის ადგილობრივ უჯრედში შესვლა რომ ვერ მოახერხა, გორის მაზრაში წავიდა დროებით და იქაურ ორგანიზაციაში შევიდა. შემდეგ უნივერსიტეტის უჯრედში ამოყო თავი და დაიწყო „მუშაობა". ყველას თავისი „სისაწყლით" თავს აბრალებდა, სტიპენდიას თხოულობდა და ალბად მიიღებდა კიდეც, რომ მის თანამესოფლე ამხანაგებს ამისათვის ყურადღება არ მიექციათ. მათ გამოაშკარავეს ათანელიშვილის ვინაობა და უჯრედმაც დაუყოვნებლივ გარიცხა.

საინტერესო აქ ის არის, თუ ვინ იყვნენ ვანო ათანელიშვილის თავდებები პარტიაში შესვლის დროს. თუ არ იცნობდნენ, რატომ უწერდნენ ხელს და თუ იცნობდნენ—რაღას მოუწერეს.

კომუჯრედი და ადგილობრივი საკითხები

ზოგან დღესაც შეხვდებით, რომ კომუჯრედები თავისათვის ეწევიან კარჩაკეტილ ცხოვრებას, ხოლო სოფლის ცხოვრება თავისათვის მიმდინარეობს. ზოგანაც კომუჯრედები ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივ საკითხებს და მთელი საათობით ლაპარაკობენ ჩემბერლენზე, რაც გლეხობისათვის მოსაწყენი ხდება, ის თანდათან გულს იცრუებს და აღარ მიდის კრებებზე.

რასაკვირველია, თავის დროზე ჩემბერლენზედაც უნდა ითქვას, მაგრამ ადგილობრივი საკითხებიც არ უნდა გამოგვრჩეს.

ზემო-მაჩხაანის კომუჯრედი, როგორც სჩანს, ასეთ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. აქაური კოოპერატივის ნოქრის ბოროტმოქმედება აქ ყველამ იცის, ყველა მასზე ლაპარაკობს—დიდი და პატარა, პარტიული და უპარტიო, მაგრამ ზომებს არავინ იღებს, ადგილობრივ კომუჯრედს არც კი დაუსვამს ეს საკითხი.

მეტი ყურადღება ადგილობრივ საკითხებს! ეს გამოაცოცხლებს კომუჯრედების მუშაობას.

ვ. აბრამიშვილი.

ქრონიკა

მისალმება საქართველოს ცაკს

საქართველოს ცაკმა სურამიდან მიიღო შემდეგი მისალმებელი დეპეშა: სურამის რაიონის სასამართლოს მსაჯულთა კრება, რომელსაც დაესწრო 131 კაცი, მხურვალეთ მისალმება საქართველოს უზენაეს ხელისუფლებას საქართველოს ცაკს და ფიცსა სდებს, რომ მტკიცედ დაიცავს ოქტომბრის მონაპოვარს და საბჭოთა მართლმსაჯულებისა და რევოლიუციონურ კანონიერების გზით გააძლიერებს ბრძოლას მუშათა და გლეხთა მტრების წინააღმდეგ".

პროფ. გრიგოროვიჩის გამგზავრება

პროფ. გრიგოროვიჩი, რომელიც მოწვეული იყო ს. მ. უ. ს. მიერ ფერო მარგანეცის ქარხნის აგების საკითხების შესასწავლად, გუშინ გაემგზავრა ერევანში.

პროფ. გრიგოროვიჩთან ერთად გაემგზავრა ს. მ. უ. ს.-თან არსებულ ფერო-მარგანეცის საკითხის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი ინჟ. ედიბერიძე.

ნედლი ბამბის ფასი 1928—29 წელში

ამიერ-კავკ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს დადგენილებით, მებამბე გლეხებს ნედლ ბამბაში მიეცემათ იგივე ფასი, როგორც გასულ წელს.

კოოპერაცია ვალდებულია ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტს ჩააბაროს დახარისხებული ნედლი ბამბა. ნედლ ბამბაში კოოპერაციას მიეცემა ერთნაირი ფასი მთელ ამიერკავკასიაში კოოპერაცია ვალდებულია გლეხებისაგან ჩაიბაროს დახარისხებული ნედლი ბამბა და ფასი გლეხებს მისცეს მიღებულ ბამბის ხარისხის მიხედვით.

თბილისის ალმასკომში

◆ **კირის ქარხანა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ძეგვში ააგოს კირის ქარხანა. ქარხნის აგება დაიწყება მომავალ წლიდან.

◆ **არხი.** ალმასკომმა დაადგინა ამუშავებული იქნეს გერმანელების ახალშენში (დიდუბეში) დღემდე გაუქმებული სარწყავი არხი.

სახ.-სამ. ბანკში

◆ ულარიბეს გლეხთა კოოპერატიულად შეკავშირების მიზნით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 20.000 მანეთი.

◆ **სესხი.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ულარიბეს გლეხებისათვის და კოლექტიურ მეურნეობებისათვის სესხად დასარიგებლად გადასდო 59.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ პროფსაბჭოს მე-8 პლენუმი შესდგება 2 ოქტომბერს.

◆ **ქალების საველე შეჯიბრება.** შაბათს, 29 და კვირას 30 სექტემბერს საქართველოს მონადირეთა კავშირი ყარაიას რაიონში აწყობს ჯგუფიან ქალების საველე შეჯიბრებას. შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის ჩაწერილი ქალები წარმოდგენილი უნდა იქნეს შეჯიბრების ხელმძღვანელის პ. ეორდანიას განკარგულებაში ყარაიას სადგურზე შაბათს, დილის 8 საათზე. მსაჯებათ დანიშნულნი არიან მოსკოვიდან მოწვეული ბ. ვოსტრიაკოვი, ა. სარაჯიშვილი და ე. მარკოვი.

ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

(15 სექტემბრისათვის)

სექტემბრის პირველ ნახევრის განმავლობაში საქართველოში ადგილი ჰქონდა ხშირ წვიმებს და ნისლიან ამინდს. ტემპერატურა იდგა ნორმალურზე ქვევით. გამონაკლისს წარმოადგენდა თბილისის და კახეთის მაზრები, სადაც შედარებით თბილოდა.

საქართველოს დანარჩენ ადგილებში წვიმებთან ერთად ხანგამოშვებით ჰქროდა ძლიერი ქარი, რომელმაც საგრძნობი ზიანი მიაყენა სიმინდის ყანებს. ამასთან ერთად ზოგიერთ მაზრებში და კერძოდ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნიაღვრებმაც დააზიანა ნათესები.

სომხეთში, განსაკუთრებით ერევნის ფარგლებში იდგა მაღალი ტემპერატურა.

აზერბეიჯანში იდგა მშრალი და თბილი ამინდი.

მეტეოროლოგიურ პირობებს შეფასების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ წვიმებმა შეანელა გვალვა და ადგილებს საშუალება მიეცა დაეწყოთ საშემოდგომო თესვა. დასავლეთ საქართველოში ძვირფას კულტურებისათვის არ იყო ხელსაყრელი პირობები გრილი ამინდის გამო.

ბაღ-ვენახების და ძვირფას კულტურების მდგომარეობა 15 სექტემბრისათვის გამოიხატება შემდეგ ციფრებში. საქართველოში სიმინდის ყანების მდგომარეობა უდრიდა 3,0; ბამბის—3,0; ვენახები—3,3; ხილის ბაღები—2,9; თამბაქო—2,6. აზერბეიჯანში—ბამბა—3,3; ვენახი—3,6; ხილის ბაღები—3,4; სომხეთში—ბამბა—3,4; ვენახი—3,8 ხილის ბაღები—2,4; თამბაქო—3,3.

წინა საანგარიშო პერიოდთან (15 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე) შედარებით საქართველოში სიმინდების ყანების მდგომარეობა გაუარესდა 3,3 პროცენტით, მთელ ამიერკავკასიაში ბამბისა და ვენახების მდგომარეობა უცვლელია, ხილის ბაღების მდგომარეობა გაუმჯობესებულია 3,7 პროცენტით.

საერთოდ კი 15 სექტემბრისათვის ყველა კულტურების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია შარშანდელთან შედარებით.

მოანგარიშეთა გადამზადება

26 სექტემბერს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოანგარიშეთა გადამზადება. გადასამზადებელ კურსებზე მეცადინეობდა სულ 140 მოანგარიშე.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ჩატარებული იქნა მსმენელების გამოცდა. მიუხედავათ ამისა, რომ კურსები მოკლევადიანი იყო, გამოცდებმა დაამტკიცა, რომ მსმენელები საკმაოდ არიან მომზადებული ანგარიშწარმოების იმ ახალი ფორმების გასატარებლად, რომლებიც შემოღებული უნდა იქნას ახალ წესდებაზე გადასვლისთანავე.

კურსების შენახვა დაჯდა დაახლოებით—8.500 მანეთამდე.

ახლო მომავალში ასეთივე კურსებს აფხაზეთში აწყობს აფხაზეთის სასოფლო სამეურნეო ბანკი.

კვერცხის დამზადება

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ შეიმუშავა შინაური ბაზრის საჭიროებისათვის კვერცხის დამზადების გეგმა. ამ გეგმის თანახმად კვერცხის დამზადება საქართველოში დავალებული აქვს „სოფლის კავშირს", რომელმაც სექტემბრიდან მარტამდე უნდა დაამზადოს 21 ვაგონი კვერცხი. მთელი დამზადებული რაოდენობის 50 პროცენტი გასასაღებლად გადაეცემა მუშკოოპს, 20 პროცენტი საგზაო-სატრანსპორტო კოოპერაციას, 15 პროცენტი „ზაკვოენპო"-ს და 15 პროცენტი ბათომის მუშათა კოოპერატივს.

გარდა ამისა რწმუნებულის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე, რომ კვერცხის დამზადების საქმეში ჩაბმული იქნეს „აიგიუხკოოპი" ან რომელიმე სხვა ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციას დაევალოს ოქტომბრიდან იანვრამდე კიდევ 11 ვაგონი კვერცხის დამზადება.

შემთხვევები

მძარცველის დაპატიმრება

კახეთის სამაზრო მილიციამ შეიპყრო ხოჟ. ქვემო სლვანის მცხოვრები კობე მიხეილის ძე აჭაიძე, რომელმაც 27 ივნისს შუა-მთის გზაზე გაძარცვა აგრონომი გიორგი მთვარელიშვილი. მანვე წინანდლის გზაზე ღამით გაძარცვა მოქ. გიორგი მათუზოვი, რომელსაც წაართვა სხვადასხვა ნივთები და ფული. მას ბრალდება აგრეთვე მგზავრების გაძარცვა სოფ. შაქრიანთან.

დაჭრა

26 სექტემბერს ვერის ბორანთან უცნობმა პირმა დანით მძიმედ დასჭრა ალექსანდრე მაღლაკელიძე, რომელიც სასწრაფოდ გადაიყვანეს კამოს სახ. საავადმყოფოში.

ქურდობა

26 სექტემბერს ყაზბეგის ქ. № 8 გაქურდეს სამსონ არჯევანიძის ბინა;—ამავე დღეს მორგებული გასაღების საშუალებით გუნიბის ქ. № 50 მდებარე სახლიდან მოიპარეს 250 მან. ნივთები;—ამავე დღეს (სიონის ქ. № 24) გაქურდეს ელისაბედ ხოშტარიშვილის ბინა;—გაქურდეს ოსებ დავლაშერიძის ბინა (თებრუკის ქ. № 26). აკოფ აირაპეტოვის ბინის გაქურდვისათვის შეიპყრეს უცნობი პირი.

ბავშვის დაკარგვა

ქ. ზუგდიდის რკ. გზის საწყობის თანამშრომელი ანტონ კაზარის ძე სტეპოვი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას ამ ათი წლის წინად დაეკარგა და ასტღიკ კაზარის ასული სტეპოვი. მისი დაკარგვა მოხდა შემდეგ პირობებში: პატარაობაშივე დაობლებულნი უპატრონოთ დარჩენილი და-ძმა მოსამსახურედ წაუყვანია ვიღაც მოქალაქეს. ამ უკანასკნელს სტეპოვის და სტღიკ გაუტანებია უცნობ კაცისათვის. ამ დღიდან მის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. არც იმ კაცის სახელი და გვარი იციან, რომელმაც წაიყვანა მცირეწლოვანი ქალი. ძმა ანტონ სტეპოვი სთხოვს ყველას, ვინც იცის რამე მისი დის შესახებ, აცნობოს შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სადგურის საწყობის თანამშრომელს ანტონ სტეპოვს.

სასამართლო

კინაღამ დაიღუპა უდანაშაულო კაცი

ლითონის ტრესტში დავალებათა აღმასრულებელ აგენტის თანამდებობაზე მსახურობდა ნესტორ ალექსანდრეს ძე ლოლუა.

მისი მოვალეობა იყო სხვადასხვა დაწესებულებებიდან დავალიანების აკრეფა და, აკრეფილ ფულის ჩაბარება დანიშნულებისამებრ ტრესტის სალაროში.

ლოლუა უშუალოდ ექვემდებარებოდა ინსტრუქტორ გურიევს, რომლისთვისაც უნდა ჩაებარებინა აკრეფილი ფული.

ლოლუამ გაფლანგა 4.000 მანეთამდე. ეს არაფერი.

საინტერესოა ის ამბავი, თუ როგორ აპირებდა ლოლუა უდანაშაულო კაცის გაუბედურებას.

როცა მოსთხოვეს ლოლუას ანგარიშის ჩაბარება ამ 4.000 მანეთის ბედის შესახებ, ლოლუამ ინსტრუქტორ გურიევზე მიუთითა და განაცხადა: იმას მოჰკითხეთო.

მოჰკითხეს გურიევსაც. კაცი განცვიფრებული დარჩა. არაფერი არ იცის ამ თანხის შესახებ.

ლოლუამ პორტფელიდან ამოაძრო ქაღალდი, რომელიც ადასტურებდა იმას, რომ აღნიშნული თანხა მიიღო გურიევმა, რაზედაც უკანასკნელი ხელს აწერს.

გურიევმა დახედა ხელწერილს, ნამდვილად მისი ხელისმოწერაა. კინაღამ ჭკუა დაჰკარგა კაცმა.

ადმინისტრაციამ აცნობა ეს ამბავი სათანადო ორგანოებს და გურიევს მაგრად მოჰკიდეს ხელი.

გურიევი ატრიალებს ხელში ამ ხელწერილს და აღარ იცის რითი დაამტკიცოს უდანაშაულობა.

მოითხოვა ექსპერტების გამოწვევა. შეეჭვდა თავის ხელწერილის სისწორეში.

გამოიძახეს კალიგრაფიული ექსპერტიზა. ექსპერტებმა უდაოდ სცნეს, რომ ხელისმოწერა გურიევს ეკუთვნის, მაგრამ ეჭვი მათ აღუძრა იმ გარემოებამ, რომ ქაღალდი იყო ძველი, გაცვეთილი და უბრალო შეუიარაღებელი თვალით ძნელი იყო გადაჭრით ერთი აზრის გამოტანა.

ქაღალდი გადაიგზავნა შესამოწმებლად უნივერსიტეტის ფოტოგრაფ-ქიმიკოსის ტოდუაშვილის ლაბორატორიაში.

ექსპერტად სხვებთან ერთად მოწვეულ იქნა ხელოვნების აკადემიის პროფესორი გრინევსკი. ხელწერილი გასინჯულ იქნა სპეციალური აპარატით („სვეტო-ფილტრ") და გამოირკვა შემდეგი:

ლოლუას ხელში ჩაუვარდია რაღაც ძველი ქაღალდი, სადაც გურიევი სულ სხვა ტექსტზე აწერდა ხელს. ლოლუას ეს ძველი ტექსტი ოსტატურად ამოუშლია და ჩაუწერია ახალი: ვითომ მის მიერ გაფლანგული თანხა ჩააბარა გურიევს. ხელწერილი ხომ ძველი დარჩა.

ასე ღუპავდა ლოლუა უდანაშაულო კაცს. არ გაუვიდა ოინი. ლოლუა დაპატიმრებულ იქნა.

საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

განაჩენი „ტექსტილტორგ"-ის № 2 მაღაზიის თანამშრომელთა საქმეზე

გუშინ ნაშუადღევის ორ საათზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი.

სასამართლომ ექსპერტების დასკვნის და საქმეში დაგროვილ საბუთების მიხედვით დატაცებულ საქონლის ღირებულება განსაზღვრა 6.000 მანეთის რაოდენობით.

საქონლის სისტემატიური ქურდობა დაუმტკიცდა სამ ბრალდებულს: გამგის თანაშემწე ალექსანდრე აზიზოვს, კონტრალიორს ალექსანდრე კევხიევს და გამყიდველ ნოქარს პავლე კობახიძეს.

სამივეს მიესაჯა ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და დაეკისრათ დატაცებულ საქონლის ღირებულების ანაზღაურება „ტექსტილტორგისათვის".

მაღაზიის ყოფ. გამგეს მიხეილ გურგენიძეს არ დაუმტკიცდა მონაწილეობა ქურდობა-დატაცებაში, მაგრამ იმ უყაირათობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა და მით გაუადვილა სხვებს ბოროტმოქმედების ჩადენა, გურგენიძეს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

გრიგოლ ოვანესოვი და კონსტანტინე ლაზგე ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და განთავისუფლდნენ.

მსჯავრდადებულთ შეეფარდა ამნისტია.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. ბერიშვილი, სახალხო მსაჯულები: კერესელიძე, კიკალიშვილი, პროკურორი—გ. ტატიშვილი, მდივანი—თ. მერკვილაძე.

გაფლანგვა და ძალა-უფლების გადამეტება

ელექტრო-ტეხნიკური ტრესტის ბათომის განყოფილების გამგე ნიკოლოზ მიხეილის ძე სიროტკინი ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივას სრულებითაც არ სთვლიდა თავისთვის სავალდებულოდ და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ „მოსაზრებებს" ემყარებოდა.

სასტიკად აუკრძალეს სიროტკინს 1000 მანეთზე მეტი ნისიის მიცემა დაწესებულებებისათვის. მიუხედავათ ამისა სიროტკინმა განუსაზღვრელი კრედიტი გაუხსნა დაწესებულებებს.

ეს კიდევ არაფერი. კერძო პირებსაც დიდათ პატივს სცემდა სიროტკინი. კერძო პირებისათვის საქონლის გაცემა სასტიკად ჰქონდა აკრძალული, მაგრამ სიროტკინი როგორც მოგახსენეთ, თავის „საკუთარ მოსაზრებებით" მუშაობდა.

შედეგი ასეთი „მუშაობისა" გამოიხატა იმაში, რომ ერთი წლის განმავლობაში დაწესებულებამ იზარალა 1407 მანეთი.

ესეც ამას მიუმატეთ 620 მანეთი, რომელიც სიროტკინმა მიითვისა და გაფლანგა.

ასეთი იყო გამგე სიროტკინის „მოღვაწეობა" ბათომში.

სიროტკინი გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით სასტიკი იზოლიაციით.

ბერ.

ფიზკულტურა და სპორტი

წყლის სპორტის დღესასწაული

საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურის ცენტრალურმა ბიურომ განიხილა: ბათუმში ჩატარებულ სპორტის დღესასწაულის შედეგები და დაადგინა ბათომელ ჯომარდების მუშაობა ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად. ამასთანავე მსაჯებს და ბათომის წყალსადგურის წევრებს გამოეცხადოთ მადლობა დღესასწაულში აქტიური მონაწილეობისათვის.

ბიურომ აგრეთვე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა პროფსაბჭოს წინაშე, რათა ბათომის წყალსადგურის საჭიროებისათვის ერთდროულად გადადებული იქნეს 600 მანეთი.

ფიზკულტურის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები

რესპუბლიკაში კავშირის წევრთა შორის ფიზკულტურის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ფიზკულტურის ცენტრალურმა ბიურომ გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს ფიზკულტურის ინსტრუქტორთა, 2 თვიანი მოსამზადებელი კურსები. კურსების მოსაწყობად ბიურომ პროფსაბჭოდან გამოითხოვა 1000 მანეთი.

შემუშავებული გეგმით ადგილობრივ პროფორგანიზაციებმა კურსებზე გამოგზავნილ თვითეულ კაცზე თვეში უნდა გადაიხადონ 50 მანეთი.

ბიურომ შუამდგომლობა აღძრა პროფსაბჭოს წინაშე, რათა წინადადება მიეცეს კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და ადგილობრივ პროფორგანიზაციებს ფიზკულტურისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტის 15 პროცენტი დახარჯული არ იქნეს პირდაპირი დანიშნულების გარეშე.

ახალი სექციები

ფიზკულტურის ბიურომ დაადგინა ბიუროსთან დაარსებული იქნეს მძლეოსნობის, ქალოსნობის და მონადირეთა სექციები.

ფეხბურთის სექცია

ფეხბურთის სექცია დამტკიცებული იქნა შემდეგი შემადგენლობით: მდივანი (თავმჯდომარე), კელენჯერიძე, იოსავა, საშკოვი, ბიბილაშვილი და ვოლსკი.

რკინის გზაზე

ორთქლმავლების დაჯახება

26 სექტემბერს სადგ. ლენინაკანში მანევრების დროს მოხდა ორთქლმავლების დაჯახება.

დაჯახება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ორივე ორთქლმავალი ლიანდაგს ასცდა და საგრძნობლად დაზიანდა.

სწარმოებს კვლევა-ძიება.

ახალი სატარიფო ცხრილი

გზათა სახალხო კომისარიატისა და რკინისგზელთა ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებით ა.-კ. რკინის გზებზე მომუშავე ადმინისტრატიულ-ტეხნიკური და სააღრიცხვო საკონტროლო პერსონალის გადაყვანა ახალ სატარიფო ცხრილზე გადიდო 1929 წ. 1-ლ იანვრამდე.

ტეხნიკურ უშიშროებისათვის

ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ თხოვნით მიმართა გზათა სახალხო კომისარიატს, რათა შემოღებულ იქნას სამი ახალი თანამდებობა უფროს ინჟენერებისათვის.

აღნიშნულ თანამდებობაზე მოწვეული პირები გამოყენებულ იქნებიან ა.-კ. რკინის გზებზე უშიშროების ტეხნიკის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ნარევი

ინგლისელი მილიონერები

ამ რამდენიმე ხნის წინად გამოქვეყნდა გარდაცვალებულ ინგლისელ მილიონერ ჯორჯ ფილსის ანდერძი. აღმოჩნდა, რომ მის მიერ დატოვებული ქონება უდრის 100 მილიონ მანეთს. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი მემკვიდრეობა უკანასკნელ ხანებში. მაგრამ მრავალ ჯერ კიდევ ცოცხალ ინგლისელ მილიონერს უფრო მეტი ქონება აქვს.

ინგლისის მთავრობის უკანასკნელი სტატისტიკური საგადასახადო ცნობები ამტკიცებენ, რომ 1928 წ. დასაწყისისათვის ინგლისში ითვლებოდა 562 კაცი, რომელთა ქონება მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლები არ იყო. ამ მილიონერების უკანასკნელი წლის შემოსავალი შეადგენს 55.812.673 გირვ. სტერლინგს, ე. ი. 99.000 გირ. სტერლინგს თითოზე, რაც შეეხება მათ მფლობელობაში მყოფ კაპიტალის რაოდენობას, იგი დაახლოებით ორჯერ მაინც უნდა სჭარბობდეს მათ წლიურ შემოსავალს. ამრიგად ხსენებულ 562 „მოქალაქის" ხელშია ზღაპრული სიმდიდრე—10 მილიარდ მანეთზე მეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ახლანდელ კონსერვატიულ მთავრობაში შედის ოთხი მილიონერი: საავიაციო საქმეთა მინისტრი **სამოუელ ხორნი**, საავიაციო საქმეთა მინისტრის ამხანაგი—**ფილიპ სესუნი**, გზათა მიმოსვლის მინისტრი—**ვილფრიდ ეშლი** და სუტერლენდის ჰერცოგი, შოტლანდიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი თემთა პალატაში. პირველი სამი მინისტრის მილიონები საბანკო მახინაციებით დაგროვდა.

რაც შეეხება მთავრობის პარტიას პარლამენტში, ლორდთა პალატაში არის ხუთი მილიონერი-კონსერვატორი: ვესტმინსტერის ჰერცოგი, ნორტუმბერლენდის ჰერცოგი (მაღაროების პატრონი, რეაქციონურ გაზეთ „მორნინგ პოსტი"-ს გამომცემელი), ნორფოლკის ჰერცოგი, მარკიზი ბიუტე და გრაფი დერბი.

თემთა პალატაში კონსერვატორების სკამებზე ზის ოთხი მილიონერი: ნავთის მეფე ლი სამუელი, ხელოვნურ აბრეშუმის ქარხნების პატრონი პოლკოვნიკი გრეტონი.

დანარჩენი მილიონერებიდან მრავალი შედის კონსერვატიულ პარტიაში და მასში თამაშობს ცოტად თუ ბევრად აქტიურ როლს. არის ერთი-ორი მილიონერი, რომლებიც მუშათა პარტიის წევრად ითვლებიან და დიდ თანხებს აწვდიან პარტიას. ასე მაგალითად, სიგარების ცნობილმა ფაბრიკანტმა მილიონერმა **ბერნარდ ბაირონმა** მუშათა პარტიის საარჩევნო ფონდში შეიტანა 50.000 მანეთი. თავისთავად ცხადია, რომ მაკდონალდი და მისი პარტია შეეცდებიან არ აწყენინონ და ყოველგვარი საშუალებით მოიგონ „მუშათა" მთავრობის მომხრე ამ მილიონერების გული.

„ახალი შალიაპინი" ინგლისში

უელსში (ინგლისში) ტრადიციულ ნაციონალურ მუსიკალურ - ვოკალურ დღესასწაულზე პირველი ჯილდო არიის «Достиг я высшей власти» (ოპერა „ბორის გოდუნოვი") შესრულებისათვის მიიღო უმუშევარმა მემაღაროე **ჯონ უილიამსმა**, მუსიკალური კრიტიკოსები აღფრთოვანებული არიან უილიამსის ხმით და მას შალიაპინს ადარებენ.

პრინცი ვიდი არ კარგავს გამეფების იმედს

გერმანელმა პრინცმა ვიდმა, რომელიც ალბანეთის „დამოუკიდებლობის" გამოცხადების დროს—1913 წ.—ალბანეთის ტახტზე წამოასკუპეს, 1914 წ. კი იძულებული გახდა ალბანეთიდან გაქცეულიყო, ახმედ-ზოგუს გამეფების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ის უარს არ ამბობს თავის უფლებაზე ალბანეთის ტახტზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი აუწყებს კოლექტივების ყველა წინამძღოლებს, მათ თანამშრომლებს და პიონერკომისიის წევრებს, რომ შაბათს, 29 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე თბილისის ალმასკომის დარბაზში შესდგება თათბირი. ყველა პიონერ-მუშაკების და პიონერ-კომისიის წევრების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. დღის წესრიგში სდგას: საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცეკასთან არსებული პიონერთა ცენტრ. ბიუროს პლენუმის შედეგები და მიმდინარე საკითხები.

ხაზ. უნივერსიტეტის აგრ. ფაკ. არსებული ს. ა: ლ: კ: კ: უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 28 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია უჯრედის მორიგი დახურული სხდომა. ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, 28 სექტემბერს, დილის ათ საათზე ამხ. ილიკო ტაბიძეს ევალება გამოცხადდეს საქ. ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში ამხ. მახარაძესთან.

ქ. ფოთში—ნახუტურის სასაფლაოზე 30 სექტემბერს, კვირას, ნაშუადღევს 4 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ძვირფას და მუდამ ჩვენთვის დაუვიწყარის

შალიკო კონსტანტინეს ძე რუხაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს მწუხარებით გულმოკლული დედა ეფროსინე, ბებია დარია და დეიდა ცოცო. (ნ. მ.)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მელანო თომას ასული, შვილები: ილიკო, ლადო და ლოლი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს საყვარელ მეუღლის და მამის

მათე გაბრიელის-ძე რუსიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათომში, (ბინა მე-3 ე ინტერნაციონალის ქ., 10) 4332

სახქინმრეწვის კინოები

განთიადი		ელისო	რეჟისორი ნ. შენგელაია
პროლეტარი ავლაბარი			ოპერატორი ვ. კერესელიძე
მინიონი	დადგმის მე-2 კვირა	ელისო	
აპოლო	დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან	თამილა	ფ. დიუშენის რომანის მიხედვით
სოლეი	თავისი დადგმით გრანდიოზ. ფილმი	სპარტაკი	
ეთერი	რიჩარდ ტოლმეჯი საუკეთესო სურათში	მე დეტექტივი ვარ	
პალასი	სეზონის საუკეთესო სურათი	გაყიდული მადა	
დარბაზი	ლილი და დიმიტრი ყიფიანი სურათში	ჭორი	რეჟისორი—პერესტიანი

ანონსი: მალე მოსკვინი საუკეთესო სურათში: ადამიანი იშვა. 0—21

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს საყოველთაოდ, რომ თანახმად მოქმედ სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულებისა, დაწესებულებებმა, საწარმოებმა და კერძო პირებმა 1928-29 საბიუჯეტო წელში საგადასახადო კამპანიის ჩასატარებლად უნდა დაიცვან შემდეგი ვადები:

ქალაქებში და დაბებში, სახლების, სასტუმროების და მოწყობილ ოთახების კომენდანტები და მმართველები მოვალენი არიან წარუდგინონ თავიანთ რაიონის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებს **არა უგვიანეს ა. წ. 15 ოქტომბრისა**, დაწესებულ ფორმით, სიები იმ მოქალაქეთა რომლებიც ბინადრობდნენ სახლებში 1928 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის, აგრეთვე სიები ამავე სახლებში მოთავსებულ საწარმოოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა.

სოფლის ადგილებში საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრავ მოქალაქეთა სიების შედგენა და წარდგენა ევალებათ თემ-ალმასკომებს. მათ მიერ სიები უნდა წარუდგინონ ინსპექტორს—**არა უგვიანეს ა. წ. 1-ლ ნოემბრისა.**

ქვემოჩამოთვლილი დაწესებულებანი და პირები მოვალენი არიან წარადგინონ **არა უგვიანეს ა. წ. 1-ლ ნოემბრისა**, დაწესებულ ფორმით ცნობები.

1. ალმასკომების სამაზრო საფინანსო განყოფილებებში—დაწესებულებებმა, საწარმოებმა და ცალკე დამქირავებლებმა—სიები წარსულ წელში მათთან სამსახურში მყოფ იმ პირთა, რომლებიც ღებულობდნენ პროცენტულ ჯილდოს (ინსტრუქციის §§ 14 და 15) და დასაბეგრი არიან საუზრო საგადასახადო კომისიებში (ფორმა № 2);

2) რესპუბლიკის ფინსახკომებში—სააქციო საზოგადოებებმა, საურთიერთო ნდობის საზოგადოებებმა, ყოველგვარი ამხანაგობებმა და ნადებმა სიები თავიანთ აქციონერების, პაის და ანაბარის მქონეთა და სამმართველოს თავიანთ ორგანოების წევრთა (ფ. № 3);

3) ალმასკომების სამაზრო საფინანსო განყოფილებებში—ადგილობრივ ალმასკომებს სათანადო განყოფილებებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებმა—სიები რეგისტრაციაში გატარებულ თავისუფალ პროფესიის პირთა;

4) რესპუბლიკის ფინსახკომებში—სახელმწიფო საწარმოებმა, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და სააქციო საზოგადოებებმა, აგრეთვე კერძო საწარმოებმა, რომლებიც ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ თავიანთ ანგარიშგება-ცნობები კომისიონერების და შუამავლების შესახებ, რომელთაც ეძლეოდათ ჯილდო.

5. პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებს—თემთა ალმასკომებმა—სიები ყველა იმ პირთა; ა) რომლებიც ფლობენ გასაქირავებელ შენობებს და რომლებსაც აღებული აქვთ ასეთები იჯარით და ბ) რომლების სარგებლობაში ბაღები და ბოსტნები სარეწაო ხასიათისა.

ყველა მოქალაქენი, რომელთა საერთო წყაროებიდან შემოსავალი აღემატებოდა ადგილებში: 1-ლი ზოლის—800 მანეთს, მე-2-რე ზოლის — 700 მან., მე-3-ე ზოლის—600 მან. და მე-4 ზოლის—500 მან. მოვალენი არიან არა უგვიანეს ა. წ. 15 ნოემბრისა წარუდგინონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სათანადო უბნის ინსპექტორებს დაწესებულ ფორმით დეკლარაციები მათ მიერ მიღებულ შემოსავლის შესახებ.

მუშებს, მოსამსახურეებს და სახპენსიონერებს შეაქვთ დეკლარაციები მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ მიღებული აქვთ გარდა ხელფასისა ან პენსიისა სხვა წყაროებიდანაც შემოსავალი, რომელიც აღემატებოდა ადგილებში 1-ლი ზოლის—1200 მანეთს, მე-2-რე ზოლის—1080 მან., მე-3-ე ზოლის—960 მან. და მე-4 ზოლის—900 მან.

მუშების, მოსამსახურეების და სახპენსიონერების გადასახადი ხელფასის ან პენსიის რაოდენობის მიხედვით, უკეთუ აღნიშნული შემოსავალი თვეში აღემატება ადგილებში: 1-ლი ზოლის 100 მანეთს, მე-2-რე ზოლის—90 მან., მე-3-ე ზოლის—80 მან. და მე-4 ზოლის—75 მან., უნდა გამონაგარიშებული იქნეს, დაწყებული 1929 წლის 1-ლ იანვრიდან, ხელფასის ან პენსიის მიმცემ დაწესებულებათა და კერძო პირთა მიერ. გადასახადის არა სისწორით დაბეგვრაზე მათ შეუძლიათ შეიტანონ საჩივრები პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორთან.

მუშების, მოსამსახურეების და სახპენსიონერების ხელფასიდან და პენსიიდან დაკავებული გადასახადი უნდა შეტანილი იქნეს დაწესებულებათა, საწარმოოთა და კერძო დამქირავებელთა მიერ ფინსახკომის სალაროებში სამი დღის განმავლობაში დღიდან დაკავებისა.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების დარღვევისათვის დამნაშავენი იქნებიან სათანადოდ დაჯარიმებულნი. რაც შეეხება სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოოთა ხელმძღვანელებს, ისინი ამავე დანაშაულისათვის პასუხისგებაში იქნებიან მიცემული დისციპლინარულად და, სათანადო შემთხვევებში, სისხლის სამართლის წესით.

ცნობების და ბლანკების მიღება შეიძლება სათანადო უბნის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიაში.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარი
მგალობლიშვილი.

გადასახადთა სამმართველოს უფროსის მაგ. ჩიქოვანი.

ნ. 1624

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 1 ოქტომბერს 1928 წ. დილის 1 საათზე სახლში № 51 ღვინის აღმართზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის არშაკ და მარია ედიგაროვების მოძრავ ქონებას: 350 ვედრა ღვინოს (თეთრი და წითელი) შეფასებულს 1050 მანეთად, გვერდწითელის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახ. სანოტ. კანტ. წარწერისა 14 სექტ. 1928 წ. თარიღით, № 138. ნ. 1631

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

გამოვიდა და ურიგდება

ხელისმომწერლებს

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგიის 2 ტომი

(მე-16 მე-18 საუკუნოებ.)

მოთავსებულია შემდეგი ავტორები:

1. სერაფიონ სოკრატის-ძე საბაშვილი, 2. უცნობი ავტორი—ვეფხვის ტყაოსნის გაგრძელება, 3. უცნობი ავტორი—იოსებ ზილიხანიანი, 4. ქაიხოსრო ომაიშვილი ჩოლოყაშვილი, 5. თეიმურაზ 1-ლი, 6. გარსევან ჩოლოყაშვილი, 7. ნოდარ ფარსადანის-ძე ციციშვილი 8. ბარძიმ ვაჩნაძე, 9. უცნობი ავტორი—რუსუდანიანი, 10. უცნობი ავტორი—მეფეთა სალარო, 11. არჩილ მეფე, 12. იაკობ შ მოქმედელი, 13. იოსებ ტფილელი, 14. სულხან-საბა ორბელიანი, 15. ვახტანგ მე-6, 16. პეტრე ჩხატარაის-ძე, 17. თეიმურაზ მე-2, 18. მამუკა ბარათაშვილი, 19. დავით გურამიშვილი, 20. დიმიტრი სააკაძე, 21. ვახტანგ ორბელიანი, 22. დიმიტრი ორბელიანი, 23. ანტონ ქათალიკოსი, 24, ზაქარია გაბაშვილი, 25. ბესიკი, 26. საითნოვა, 27. მზე-ჭაბუკ ორბელიანი, 28. დიმიტრი ორბელიანი, 29. მამუკა გურამიშვილი, 30. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, 31. დავით სარდალი, 32. მანანა, 33. მერიან ბატონიშვილი, 34. მარიამ ბატონიშვილი, 35. ქეთევან ბატონიშვილი, 36. თეკლა ბატონიშვილი, 37. ფარნაოზ ბატონიშვილი, 38. დავით ბატონიშვილი, 39. სოლომონ ლეონიძე, 40. პეტრე ყარიბი (ლარაძე), 41. დავით რექტორი, 42. ზაალ ბარათაშვილი, 43. პარამ ბარათაშვილი, 44. გიორგი თუმანიშვილი, 45. დიმიტრი თუმანიშვილი, 46. ოთარ ქობულაშვილი, 47. გოდერძი ფირალიშვილი, 48. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

სულ 320 გვერდი, გრძელდება ხელისმოწერა. წიგნების შეძენის მსურველები თვითეულ ტომის ფასს (2 მან. და 40 კაპ.) იხდიან წიგნის მიღების დროს და ბეთ შემოაქვთ შემდეგი ტომის ანგარიშში 1 მანეთი, რომელიც გამოექვითებათ მორიგი ტომის მიღების დროს. მე-3 ტომი (მე-19 საუკუნე) დაიბეჭდება მხოლოდ ხელისმომწერთათვის. წიგნის დაკვეთა შეიძლება: თბილისი ლენინის ქ. № 32

ნ. 1625. რედაქტორი ია ეკალაძე.

თანახმად ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის დადგენილებისა

(ოქმი № 22) ა. წ. 21 სექტემბრიდან

დაიწყო ს.მ.უ.ს. ტრესტების აჭარისტანის სავაჭრო კანტორის ლიკვიდაცია

კანტორის კლიენტებს ეძლევათ გაფრთხილება განუცხადოს თავისი ყოველგვარი პრეტენზიები სალიკვიდაციო კომისიას ორი კვირის განმავლობაში დღიდან ლიკვიდაციის დაწყებისა, რის შემდეგაც არავითარი განცხადება აღარ იქნება მიღებული.

ნ. 1633 სალიკვიდაციო კომისია.

სრ. საქართველოს სახდაზღვევის კანტორა

ამით აცხადებს ქალ. თბილისის, ბათუმის და სოხუმის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ცალკე დაქირავებულ პირთა საშუალებით მოქალაქეებს დაურიგდებათ უწყებები, მათი გადასახადის დაზღვევისგანაკვეთის რაოდენობის ჩვენებით, მაგრამ ფულის მიღების ნება, ზემოხსენებულ პირთ არ აქვთ.

აგრეთვე აღარ ივლიან ოჯახებში ფულის ამკრეფლები, როგორც ეს ხდებოდა წასულ წლებში.

ამიტომ მოქალაქეები ვალდებულნი არიან 1928/29 საოპერაციო წლის ხვედრი განაკვეთი შემოიტანონ უშუალოთ სახდაზღვევის სალაროში—ტფილისში—ალმასკომის ქუჩა № 8, ბათუმში და სოხუმში ადგილობრივ სახდაზღვევის აგენტებში.

ფულის შემოტანის უკანასკნელ ვადათ დაწესებულია ა/წ. 31 დეკემბერი, 31 დეკემბრის შემდეგ განაკვეთზე დაერიცხება დღეში 0,2% საურავი ანუ 6 კაპ. მანეთზე თვეში.

მომავალი წლის 1-ლ აპრილიდან შემოუტანელი პრემია გადახდებათ უდავო ადმინისტრატიული წესით.

სრ. საქართველოს სახდაზღვევის კანტორა

3—1 4324

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 1 ოქტომბერს 1928 წ. დილის 2 საათზე სახლში № 24 ბოჭორიშვილის შესახვევში პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მ. მ. დავით, ვახტანგ და ელისაბედ როსტომაშვილების უძრავ ქონებას შერეული აგურის მასალისგან აგებულ ერთ შენობას—ერთ სართულიან სახლს 80 ოთხკუთხედ საჟენ მიწაზე, რომელიც შესდგება 6 ოთახისაგან და 2 სამზარეულოსაგან. სახლი გაიყიდება სომხეთის სატყეო-სამრეწველო ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის სამაზრო საქალაქო სასამართლოს მიერ 1928 წლის 26 ივლისის თარიღით გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა № 451/2. ეს სახლი გასასყიდათ შეფასებულია ერთი ათას ცხრას მანეთად. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს სამ. საპროც. კოდექსის 301, 310, 311, 312 და 313 მუხლებში გათვალისწინებულ წესების დაცვით. 4331

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

ამით აცხადებს, რომ 3 ოქტომბერს 1928 წ. დილის 12 საათზე სოფ. კარაჯალაში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ასად გიულ ალი ოღლის მოძრავ ქონებას: ორი ხარს, ერთი პოვოსკას და 800 ფუთ თივას შეფასებულს 750 მანეთად, ალა მალი ჯაფარ-ოღლის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 27 მარტს 1928 წ. თარიღით. № 30 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1631

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ 29 სექტემბერს 1928 წ. წითელ-წყაროზე დილის 11 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ვართან თანდილოვის და გიორგი გონაშვილის, რომელიც აღწერილია 64 კავკას. კავალერის, მე-2 განსაკუთრებულ კავალერიის ბრიგადის ვალში, თანახმად სიღნაღის მაზრის მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა 30 ივლისს 1928 წ. № 594. სია გასასყიდ ქონებისა: 1) ვართან თანდილოვის სახლი ერთი სართულიანი ქვიტკირისა ოთხი ოთახით და ერთი კუხნით, დახურული დრანით, შეფასებული 500 მან., 2) გიორგი გონაშვილის სახლი ერთ სართულიანი, შვიდი ოთახით და ორი კუხნით დახურული თუნუქით შეფასებული 1000 მან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა დაიცვან სამ. სამ. საპ. კოდექსის 311 და 312 მუხლები. ნ. 1632

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ქუთაისში 9 ოქტომბერს დილის 2 საათზე ჯაფარიძის ქუჩის 1-ლი შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** არონ იოსებისძე მიხელაშვილის ერთი ორ სართულიანი სახლის, აშენებულია შერეული მასალისაგან ხის და ქვის, რომლის ნაწილი კედლების ხის არის გალესილი კირით, დახურულია ჟესტით, ზედა და ქვედა სართულში მოთავსებულია ოთხი საცხოვრებელი ოთახი თითო სამზარეულოთ. შეფასებული 1200 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, ოზურგეთის რკ. გ. სადგურის ძიების დასაკმაყოფილებლად და ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ, სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. 4338

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს.—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—1

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ლსმენი—11—78. 25—1.

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილ. 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დილის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმა

ს. ი. ვოლოხვა

განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბეჟანის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი

თოდაძე

დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია. თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმა

ი. ვ. ხანდამოვა

განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპერის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1)

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება, სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. დ საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საქმიო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი

გიორგი ნიკოლოზის-ძე

ონანოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—19

დაჰკარგა: კომკავშირის მანდატი № 41843 და პროფკავშირის წიგნაკი № 31966, მიხეილ არტემის-ძე ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 4335

დაჰკარგა: კავშირის წიგნაკი № 30934/541, ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი № 54541 და საანგარიშო წიგნაკი № 441, ნიკოლოზ იესეს-ძე წუწუნავას სახელზე, ჩ. გ. 4336

დაჰკარგა: თბილისის მუშათა კოოპერატივის წიგნაკი № 18940, იაკობ აბობაძის სახელზე, ჩ. გ. 4334

დაჰკარგა: პირადობის მოწმობა მოცემული სეფიელი თემალმასკომიდან № 1916 და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მოცემული ქ. მოსკოვის მე-42-ე სამხედრო კომისარიატის მაგიდიდან № 387, ვლადიმერ ანდრიას-ბართაიას სახელზე, ჩ. გ. 4330

დაჰკარგა: ატესტატი № 60, გაცემული ზანის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მიერ, ელისაბედ ანდრიას ასული კვაშილავას სახელზე, ჩ. გ. 4328

დაჰკარგა: საბჭოთა და სავაჭრო მუშათა კავშირის საწევრო წიგნაკი № 685, სიმონ ესაკიას სახელზე, ჩ. გ. 4326

დაჰკარგა: სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი, ივანე თუხარელის სახელზე, ჩ. გ. 4325

დაჰკარგა: პირადობის მოწმობა მოცემული სახალხო განათლების სკოლის სახელოსნოებიდან, ილიკო გეგელიძეს სახელზე, ჩ. გ. 4327

დაჰკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, ზოსიმე ილარიონის-ძე ხოჯავას სახელზე, ჩ. გ. 4333

დაჰკარგა: ატესტატი 1923 წელში ქ. ხონში ჰუმანიტარულ-ტეხნიკუმის დამთავრების, ოლღა გრიგოლის ასული ბაბუძეს სახელზე, ჩ. გ. 4329

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამ ოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.